

ევროპისკენ ჰერი, ჰერი!

A3



უშეცდომო პირველი საცდელი ფრენა

A5



ავტომობილები ფრენას სწავლობენ

B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 28 აპრილი, 2005 წელი. №96 (956)

ფასი 50 თეთრი

# სტიქიით მიყენებულმა ზარალმა 15-20 მილიონ ლარს მიაღწია

## პრეზიდენტი მოსახლეობას კომპენსაციებს და დიზელის ხელახლა დარიგებას ჰპირდება

თეა თედლიაშვილი
*გორიდან*

*გუშინ, მტკვრის ადიდების შედეგად დაზიანებული ისტორიული ძეგლი უფლისციხე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მოინახულა. ადიდებულმა მტკვარმა სოფელ ქვახვრელისა და უფლისციხის მოსახლეობის სახლები და ნაკვეთები დატბორა. პრეზიდენტის სტუმრობის შემდეგ მოსახლეობას იმედი გაუჩნდა, რომ ხელისუფლება გასაჭირში არ მიატოვებს. შიდა ქართლში შექმნილია საგანგებო სიტუაციების სამხარეო სამობილიზაციო შტაბის ცხელი ხაზი, სადაც დარეკვა სტიქიით დაზარალებულ ადამიანებს შეუძლიათ. ხელისუფლების წარმომადგენელთა თქმით, მხარის მეორე დიდი მდინარე ლიახვი მოსახლეობას საფრთხეს აღარ უქმნის.*

სოფელ უფლისციხეში მოვარდნილმა მდინარემ ათეულობით ოჯახი დააზარალა. ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით, 15 ოჯახი ევაკუირებულია. ისინი სოფლის იმ მხარეს მდებარე ოჯახებში ჩაასახლეს, რომლებსაც მტკვარი საშიშროებას არ უქმნის. დატბორილია საგარაკო სახლებიც, სადაც მუდმივი მოსახლეობა არ არის. ჯერჯერობით, ზარალის ოდენობა არ განუსაზღვრავთ, თუმცა, როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, ყველა დაზარალებული ოჯახი დახმარებას ცენტრალური ბიუჯეტიდან მიიღებს.

მიხეილ სააკაშვილი სოფელ ქვახვრელისა და უფლისციხის მოსახლეობას შეხვდა და საწვავის დარიგებას ხელმეორედ შეჰპირდა.

**"მართალია, ერთხელ უკვე დარიგდა დიზელი, მაგრამ ამ დახმარებას სოფლის მოსახლეობა ხელმეორედ მიიღებს. ასევე გამოვყოფთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, რომ ამ ხალხმა ისევ დაამუშაოს ნაკვეთები. აქ რამდენიმე ოჯახი სახლ-კარის გარეშე დარჩა,**

გაგრძელება A2 გვერდზე



თეა თედლიაშვილის ფოტო

მიხეილ სააკაშვილი უფლისციხის ერთ-ერთი მოსახლის ეზოში.

# რუსეთის მოქალაქეობა - სწრაფად და იაფად

## ლეგალიზაციის უტყუარი გზა საეჭვო პირებისათვის

*აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში, ბოლო წლების განმავლობაში, აქტიურად მიმდინარეობდა რუსეთის ფედერაციის პასპორტების გაცემა, რომელსაც რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურები ადგილზე ახორციელებენ. შედეგად, დღეს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მოსახლეობის 90 პროცენტი რუსეთის ფედერაციის მოქალაქე და რუსული პასპორტის მფლობელია.*
*როგორ ხდებოდა წლების განმავლობაში რუსული შიდა პასპორტების და საერთაშორისო პასპორტების გაცემა, რა უფლებები ენიჭებათ მათ მფლობელებს და რა უარყოფითი შედეგები აქვს აღნიშნულ კამპანიას საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლასთან მიმართებაში, გაზეთ "24 საათს" ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარმა სამმართველომ მიაწოდა.*

ნინო გომართელი

აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში პასპორტიზაციის კამპანია ადგილზე მოქმედი ორგანიზაციების - "რუსულ თემთა კონგრესისა" და "სლავიანსკი დომის" მეშვეობით ხორციელდებოდა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობა განსაკუთრებულად აღნიშნავს ამ პროცესში სწორედ ორგანიზაცია "რუსულ თემთა კონგრესის" ხელმძღვანელის გენადი ნიკიტჩენკოს (დონეცკის ოლქის, ქ. ენაკიევოს მკვიდრი, ე.წ. "ლეონის ორდენის" კავალერი) როლს.

**"სარგებლობს რა რფ სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ს და თანამემამულეებთან კავშირის კომიტეტის, საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო სამსახურის დეპარტამენტისა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან არსებული მოქალაქეობის საკითხების კომისიის სრული მხარდაჭერით, აქტიურად ეწევა ანტიქართულ საქმიანობას,"** - ხაზგასმულია "24 საათისათვის" საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს მიერ მიწოდებულ ინფორმაციაში.

რაც შეეხება პასპორტიზაციის პროცესს და პირობებს, პროცედურა ასეთი იყო - რუსეთის მოქალაქეობის მიღების მსურველს უნდა შეევსო წინასწარ გამზადებული განცხადების ბლანკი, რომელშიც ის ითხოვდა მოქალაქეობის გაფორმებას. რუსეთის მოქალაქეობის მიღების საფუძველს ამ შემთხვევაში წარმოადგენდა სსრკ სიმბოლიკიანი სამოქალაქო და ეგრეთწოდებული საზღვარგარეთის პასპორტები, საბჭოური ნიმუშის დაბადების მოწმობები და სეპარატისტთა შს ორგანოების მიერ გაცემული ფორმა ნომერი 9 (დროებითი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა). გადასახადის თანხა მერყეობდა 50-დან 100 რუსული რუბლის ფარგლებში.

რუსეთის მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში სსრკ პასპორტში ისმებოდა შესაბამისი შტამპი და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბეჭედი, ხოლო სსრკ სიმბოლიკიან, ეგრეთწოდებულ საზღვარგარეთის პასპორტში კეთდებოდა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დამოწმებული, მოქალაქეობის დამადასტურებელი შიდნადები.

2003 წლიდან კი, თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის დამადასტურებელი შტამპის მქონე პირებზე რუსეთის ფედერაციის ე.წ. საზღვარგარეთული პასპორტების გაცემა დაიწყო. პასპორტის მისაღებად საჭირო მოსამზადებელ პროცედურასა და გაფორმებას, დაახლოებით, 4 თვე სჭირდებოდა.

აღნიშნული დოკუმენტი რუსეთის მოქალაქეობას უდასტურებს იმ პირს, რომელიც ცხოვრობს საზღვარგარეთ და მას იგივე უფლებებს ანიჭებს, რაც რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს (სახლის, ნაკვეთის, ბინისა და ავტომანქანის შეძენის უფლება) აქვთ. თუმცა, პენსიისა და სოციალური შეღავათების მისაღებად აუცილებელია რუსეთის შიდა საერთოსამოქალაქო პასპორტი, რისთვისაც საზღვარგარეთული პასპორტის მფლობელი უნდა დადგეს დროებით (ნახევარი წლით) რეგისტრაციაზე რუსეთის რომელიმე საპასპორტო უწყებაში და რეგისტრაციის ადგილის მიხედვით მიმართოს განცხადებით შიდა პასპორტის მისაღებად. ორი თვის განმავლობაში მას მიეცემა რუსეთის შიდა პასპორტი, რომელშიც აღინიშნება პირის დროებითი მიწერის ადგილი.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ამბები

### ბულგარეთის ხელისუფლება საქართველოს პარლამენტისგან თანადგომას ითხოვს



ბულგარეთის მოქალაქეებს ლიბიაში სიკვდილით დასჯა ემუქრებათ. ქვეყანა ცდილობს, საზოგადოებრივი აზრის მობილიზებით, გადაარჩინოს თავისი მოქალაქეები.

A2

## უცხოეთი

### ლუკაშენკოს კრიტიკოსთა რიცხვი იზრდება



ბელორუსში თითქმის შეუძლებელი გახდა მშვიდობიანი პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვა.

A5

**იურიდიული ოფისი „გაპი"**
**და გაზეთი "24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.**

A7

## ამინდი

| | 28/4 | 29/4 | 30/4 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 24 | 23 | 26 |
| ქუთაისი | 18 | 20 | 21 |
| ბათუმი | 15 | 16 | 18 |
| სოხუმი | 15 | 14 | 16 |
| ფოთი | 16 | 18 | 18 |
| თელავი | 24 | 23 | 26 |
| ზუგდიდი | 17 | 19 | 20 |
| გორი | 18 | 18 | 22 |
| ახმეტა | 24 | 23 | 26 |
| ჭიათურა | 18 | 19 | 21 |
| გაგრა | 17 | 16 | 14 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8200 |
| ევრო | 2.3518 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4601 |
| რუბლი | 0.0655 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | ავტომობილი | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |


# სტიქიამ თბილისი დაინდო... 29 აპრილამდე

ირმა კახურაშვილი

*კოკისპირული წვიმით მიყენებულ ზარალს ჯერ არავინ ითვლის. მის ანაზღაურებას საქართველოს მთავრობა სარეზერვო ფონდისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით გეგმავს. წვიმასგადარჩენილ დედაქალაქელთა ყურადღებაც, ძირითადად, რეგიონებზეა გადართული. თუმცა, სააპრილო წვიმის "ოინებს" ვერც თბილისელები გადაურჩნენ. მერიაში მოქმედ "ცხელ ხაზზე", რომელიც 24 საათის განმავლობაში მუშაობს, წუხელ 400-მდე ზარი შევიდა.*

"ცხელი ხაზის" ერთ-ერთი ოპერატორის თქმით, წვიმამ ყველაზე მეტად დიდუბის, ისნის, მთაწმინდისა და გლდანის რაიონის მოსახლეობა აზარალა. სწორედ ამ რაიონიდან რეკავდნენ ყველაზე ხშირად. მოქალაქეების უმეტესობა სახურავების დაზიანებას, საცხოვრებელ ბინაში წყლის შემოვარდნასა და ქუჩების დატბორვას უჩიოდა.

სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის ხელმძღვანელის, დავით მესხიშვილის განცხადებით, სტიქიის ზონებში წყალ-საკანალიზაციო სისტემების მდგომარეობა მაქსიმალურ კონტროლზეა აყვანილი. თუმცა, მსუბუქად რომ ვთქვათ, ეს სისტემები სტიქიამდეც არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იყო და წყალდიდობის შემდეგ სრულიად გამოვიდა მწყობრიდან. სპეციალურად შექმნილი ჯგუფები წყლის კონტროლზე ზრუნავენ. "ზრუნვის" მთავარი ელემენტი მოსახლეობის გაფრთხილებაა, რომ მოქალაქეებმა გადადუღებული წყალი დალიონ. იგივეს გვირჩევს ჯანდაცვის სამინისტროც. თუმცა, ლადო ჭიპაშვილის განცხადებით, ეს რჩევა აღმოსავლეთ საქართველოსა და თბილისის მოსახლეობაზე ნაკლებად ვრცელდება.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ჯარში მხოლოდ ღარიბები მიდიან

## გაწვევის წესები ისევ შეიცვლება

ვერიკო თევზაძე

*"ახალი "სტავკები" სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადებისათვის," - ასე აფასებს ასოციაცია "სამართალი და თავისუფლება" საქართველოს თავდაცვის მინისტრის საკანონმდებლო ინიციატივას, რომელიც სამხედრო ბეგარის 200 ლარიდან 1500 ლარამდე გაზრდას ითვალისწინებს.*

**"სახელმწიფო ხელს უწყობს სოციალურ დისკრიმინაციას,"** - აცხადებს ასოციაციის წარმომადგენელი ირაკლი სესიაშვილი. პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე, პირიქით, იწონებს აღნიშნულ კომიტეტში განსახილველად შესულ კანონპროექტს. **"შედეგად მივიღებთ იმას, რომ გამწვევ კომისიებში მეტი არჩევანის საშუალება გვექნება,"** - განუცხადა "24 საათს" თარგამაძემ. როგორც ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორმა გიორგი თავდგირიძემ ჩვენთან საუბარში დასძინა, **"საქართველოს მოქალაქე უნდა ემსახურებოდეს საკუთარ ქვეყანას - სამხედრო სამსახური ყველასთვის სავალდებულო უნდა იყოს. ბეგარა, საერთოდ, არ უნდა არსებობდეს."**

მიუხედავად განსხვავებული პოზიციებისა, ცალსახად ერთი რამის თქმა შეიძლება: ჯარში გაწვევის წესები ქვეყანაში თითქმის ყოველწლიურად იცვლება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ბულგარეთის ხელისუფლება საქართველოს პარლამენტისგან თანადგომას ითხოვს




*ბულგარეთის კონსული თანამოქალაქეების გადარჩენისათვის დახმარებას ითხოვს.*

გიორგი ასანიშვილი

ბულგარეთის ხელისუფლება მსოფლიო თანამეგობრობას, მათ შორის, საქართველოს პარლამენტს დახმარებას სთხოვს იმ ექვსი თანამემამულის გადასარჩენად, რომლებსაც ლიბიის ქალაქ ბენღაზის სასამართლომ დახვრეტა მიუსაჯა. განაჩენის აღსრულება 31 მაისისთვის არის განზრახული.

ბულგარეთის კონსული საქართველოში ივან რაიჩევი და საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი ამ სევდიან ისტორიას ასე ჰყვებიან: რამდენიმე წლის წინათ, ქალაქ ბენღაზის ერთ-ერთ საავადმყოფოში 393 ბავშვი დაიღუპა იმის გამო, რომ მათ შიდსის ვირუსით ინფიცირებული სისხლი გადაუსხეს. 1999 წლის 9 თებერვალს ლიბიის ხელისუფლებამ დააკავა ამ საავადმყოფოს თანამშრომელთა ჯგუფი, რომელთა შორისაც ბულგარეთის 23 მოქალაქე იყო. მოგვიანებით, 17 მათგანი გაათავისუფლეს, 6 კი დააპატიმრეს და მათ შიდსის ვირუსით ბავშვების განზრახ ინფიცირების ბრალდება წაუყენეს. თუმცა, როგორც კოტე გაბაშვილი აცხადებს, ამ ხალხს სისხლის ვარგისიანობის საკითხთან არანაირი შეხება არ ჰქონია.

რაიჩევის თქმით კი, ბულგარელი ხალხი და მთავრობა მედდებს უდანაშაულოდ მიიჩნევს და მათ გათავისუფლებას მოითხოვს. კონსულის ინფორმაციით, ორმა მედდამ ბრალდება წამების შემდეგ აღიარა, რის შემდეგაც ლიბიაში ბულგარელი მედდების საწინააღმდეგო საზოგადოებრივი აზრი შეიქმნა. ამასთან, თემიდაზე იმანაც მოახდინა ზემოქმედება, რომ სასამართლოს სხდომაზე ბავშვების მშობლები მათ სიკვდილით დასჯას კატეგორიულად ითხოვდნენ.

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა ბულგარეთის კონსულს გუშინ საქართველოს მხრიდან სრული მხარდაჭერა აღუთქვა. კოტე გაბაშვილის დავალებით, შემუშავდება მიმართვის ტექსტი ბულგარელი მედდების გათავისუფლების მოთხოვნით, რომელიც ლიბიის ლიდერს, მოამარ კადაფის გაეგზავნება.

# ბიუჯეტი ხალხის ინტერესების შესაბამისად

*"ხელისუფლება უნდა ემსახურებოდეს ხალხს და არა ხალხი ხელისუფლებას," - ასეთია არასამთავრობო ორგანიზაცია "ვაკის გონივრული განვითარების" პროექტი, რომლის ფარგლებშიც მოსახლეობასთან შეხვედრა და თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მათი ჩართვა იგულისხმება. პროექტის განხორციელება ბაგების მოსახლეობასთან ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის, მაჟორიტარი დეპუტატისა და არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრით დაიწყო. მოსახლეობამ მათ ხუთ პუნქტად ჩამოყალიბებული პრობლემები გააცნო და დახმარება სთხოვა.*

თამარ დვალი

**"ჩვენ ბევრს არაფერს ვითხოვთ. ამხელა დასახლებაა და საზოგადოებრივი ტრანსპორტი საერთოდ არ მოძრაობს. სკოლა, რომელიც 1929 წელს აშენდა, დანგრევის პირასაა მისული. ჩვენთვის ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს სასმელი წყლით მომარაგებაც. რადგანაც, გამწვანებულ ტერიტორიაზე მშენებლობა იკრძალება, ბაგების ტყეებს ძალით ახმობენ და ღამით ჩეხავენ. ამის შესახებ უამრავჯერ მივმართეთ შესაბამის სტრუქტურებს, თუმცა ამის აღკვეთა დღემდე ვერ მოხერხდა. უმთავრესი პრობლემა დანგრეული გზებია. ერთ ადგილას მეწყერმა მთლიანად ჩამოშალა გზა და თუ დროზე არ შეკეთდა, გასავლელი აღარ დარჩება,"** - ასე გამოიყურება იმ პრობლემების მოკლე ნუსხა, რომელიც ბაგების მოსახლეობამ მათი რაიონის დეპუტატს ლევან გაჩეჩილაძესა და გამგებელს, ავთანდილ დავითაძეს გააცნო.

**"მე მირჩევნია, მწარე სიმართლე გითხრათ, ვიდრე მოგატყუოთ. წელს ამ გზის შეკეთება წარმოუდგენელია. მომავალი წლიდან ჩიხების შეკეთებას დავიწყებთ და თქვენს დახმარებას, ალბათ, მაშინ შევძლებთ,"** - განაცხადა გამგებელმა, რომელიც მოსახლეობას ტრანსპორტის პრობლემის მოგვარებასა და ახალი ეკლესიის მშენებლობაში დახმარებას დაჰპირდა. გამგებლის თქმით, ახალი ავტობუსები უკვე შემოსულია და ისინი მალე ბაგების მიმართულებითაც იმოძრავებენ.

**"დღეს საზოგადოება ძველი სტერეოტიპებით ფიქრობს, თითქოს უფროსია ხელისუფლება და უმცროსი - საზოგადოება. იმ ფულს, რომელსაც ხელისუფლება ხალხისგან იღებს, პირველ რიგში, ხალხის ინტერესებისთვის უნდა ხარჯავდეს და არა საკუთარი კეთილდღეობისთვის,"** - აღნიშნა ლევან გაჩეჩილაძემ.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების აზრით, მსგავსი შეხვედრები მოსახლეობის თვითმმართველობის სისტემაში ჩართვას შეუწყობს ხელს. პროექტი, რომლის განხორციელებაც ლევან გაჩეჩილაძის დაფინანსებით დაიწყო, ხალხის მოქალაქეობრივი შეგნების ამაღლებას ემსახურება.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია "ვაკის გონივრული განვითარების" წევრმა მანანა მარტყოფლიშვილმა გვითხრა, პროექტის ფარგლებში მოსახლეობის ანკეტური გამოკითხვა ჩატარდება. შეჯამებული მონაცემები ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობას წარედგინება, რაც გამგებელს შესაძლებლობას მისცემს, მომავალი წლის ბიუჯეტის დამტკიცებისას, აღნიშნული პრიორიტეტები მთავრობას წარუდგინოს. **"ჩვენი მიზანია, დედაქალაქის ბიუჯეტი მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე დგებოდეს და არა მაღალჩინოსანთა ინტერესების მიხედვით,"** - აღნიშნა მარტყოფლიშვილმა.

# სტიქიამ თბილისი დაინდო... 29 აპრილამდე

პირველი გვერდიდან

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებლის, რამაზ სულამანიძის განცხადებით, დღეისათვის მდგომარეობას საგანგაშოს ვერ ვუწოდებთ. **"თუმცა, მტკვარს ნაპირებიდან გადმოსვლამდე, სულ რაღაც, ერთი მეტრი აკლდა. ახლა წყლის დონემ ოდნავ დაიწია და ეს ნაკლებად საიმედოა, რადგან მთაში თოვლი ჯერ კიდევ დნება. ისევე, როგორც ჩვენთან, თბილისის სხვა რაიონებში, რამდენიმე საქალაქო სამსახურს მტკვრის გასწვრივ 24-საათიანი მორიგეობა აქვს დაწესებული. ევაკუაციისთვის ახლაც მობილიზებულია "ამფიბიები" და მანქანები, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, წყალს ამოტუმბავენ,"** - გვითხრა სულამანიძემ. მისივე თქმით, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში უმეტესწილად საფუძველმორყეულმა საცხოვრებელმა სახლებმა იზარალეს. ზოგიერთს კი ჩანგრევის საშიშროებაც ემუქრება. **"ეს წარღვნა არ არის, მაგრამ იმისათვის, რომ მსხვერპლი არ იყოს, ყურადღების მოდუნება არ შეიძლება,"** - ამბობს გამგებელი.

მთავრობის წევრები და ახალ პრობლემაზე გადართული, ქალაქის მერი მტკვრის სანაპიროებს პერიოდულად ათვალიერებენ და, შესაბამისად, მოსახლეობას დახმარებას ჰპირდებიან. მზადყოფნაში არიან რეზერვისტებიც.

სხვათა შორის, რაიმე საიმედოს, ჯერჯერობით, ვერც სინოპტიკოსები გვპირდებიან. მათი ვარაუდით, ამინდის გაუარესება 29 აპრილისთვისაა მოსალოდნელი.

# სტიქიით მიყენებულმა ზარალმა 15-20 მილიონ ლარს მიაღწია

პირველი გვერდიდან

**ჩვენ მათ მივცემთ დამატებით კონპენსაციას, რათა ხალხი გარეთ არ დარჩეს. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საქართველოს ასეთი ზარალი არ ახსოვს, მაგრამ დიდი მიღწევაა, რომ ხალხი არ დაიღუპა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ სიფრთხილე არ გვმართებს. კარგი იქნებოდა, რომ ეს ფული აღმშენებლობისათვის მიგვემართა, მაგრამ რაც დაინგრა, ჯერ ის უნდა გაკეთდეს. ჩვენ არავის არ მივატოვებთ გაჭირვებაში,"** - განაცხადა პრეზიდენტმა, რომელიც დატბორილი სახლების ფეხით შემოვლას არ მორიდებია.

პრეზიდენტმა უფლისციხის მუზეუმი-ნაკრძალიც დაათვალიერა და მის დირექტორს ძეგლის დაცვისათვის სერიოზული დახმარებები აღუთქვა. **"ამ ძეგლმა ბევრი უბედურება გადაიტანა და ასე ადვილად არ დაინგრევა. წელს ბიუჯეტში ძეგლების აღდგენისთვის უკვე 2 მილიონი გვქონდა გამოყოფილი. ახლა დავითვლით, რა არის გასაკეთებელი და საჭირო თანხებს დამატებით გამოვყოფთ,"**- დაპირება მისცა ხალხს პრეზიდენტმა.

უფლისციხის მუზეუმი-ნაკრძალის დირექტორი კარლო სადაღაშვილი მიიჩნევს, რომ ძეგლს საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ აუცილებლად უნდა აღდგეს მასთან მისასვლელი გზა.

**"მისასვლელი შიდა გზა ისეა დაზიანებული, რომ შეუძლებელია ისეთი ექსპონატების მონახულება, როგორიცაა მიუვალი გამოქვაბული, ღვთისმშობლის ეკლესია, გვირაბის შესასვლელი. პრეზიდენტი უფლისციხის გზის გაკეთებას დაგვპირდა, მტკვარი დაუბრუნდება თუ არა კალაპოტს, ეს გზები აღდგება,"** - ამბობს უფლისციხის მუზეუმის დირექტორი.

სააკაშვილი სოფლის მოსახლეობას უფლისციხემდე მისასვლელი გზის დაგებასაც დაჰპირდა. ამ გზის პრობლემა რამდენიმე მთავრობის წინაშე იდგა, მაგრამ დღესაც მოუგვარებელია. უფლისციხემდე მისვლა ყველა ტურისტისთვის დაბრკოლებას წარმოადგენს.

პრეზიდენტის სტუმრობით ადგილობრივი მოსახლეობა კმაყოფილია და იმედოვნებს, რომ პრეზიდენტი დაპირებებს შეასრულებს.

**"სოფელ ქვახვრელისა და ძველი უფლისციხის მოსახლეობის ნაწილი დაზარალდა, მაგრამ მთავარია, რომ მსხვერპლი არ არის. ნაკვეთებს კიდევ ეშველება, პრეზიდენტი დახმარებას გვპირდება და ჩვენც მისი იმედი გვაქვს,"** - ამბობს ადგილობრივი მკვიდრი ნანული სადაღაშვილი.

პრეზიდენტის თქმით, სტიქიით მიყენებულმა ზარალმა საქართველოში უკვე 15-20 მილიონ ლარს მიაღწია. ეს მაშინ, როდესაც სრული ზარალი ჯერ დათვლილი არ არის. სააკაშვილი ამბობს, რომ ხელისუფლება ხიდებისა და გზების მშენებლობას ამინდის გამოსწორებისთანავე დაიწყებს.

**"მე ვიცი, რომ კონფლიქტის ზონაში დაზარალებულია ოსური სოფლებიც. მოვუწოდებ დე ფაქტო ხელისუფლებას, უარს ნუ იტყვიან იმ დახმარებაზე, რისი გაკეთებაც საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია,"** - ასეთი იყო პრეზიდენტის მიმართვა ოსური მხარისადმი.

# ქვემო ქართლში ასამდე სახლი დაიტბორა

მაია მოსიაშვილი

ქვემო ქართლის მხარეში წყალდიდობამ მხოლოდ გარდაბნის რაიონის ორი სოფელი - ყარათაკლია და აღთაკლია დააზიანა. ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის ზურაბ მელიქიშვილის ინფორმაციით, ადგილობრივი ხელისუფლება მომზადებული შეხვდა სტიქიას, რადგან საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბები მხარეში ჯერ კიდევ ორი თვის წინ შექმნეს.

"26 აპრილს, საღამოს ცხრა საათისთვის მტკვრის დონის მომატება დაიწყო. ჩვენ უკვე მობილიზებული გვყავდა სატვირთო მანქანები და დაახლოებით სამ საათში მტკვრის ჭალაში განთავსებული 100-მდე სახლი დავცალეთ. მოსახლეობის გაყვანა ეტაპობრივად მოხდა და ისინი მათივე ნათესავების სახლებში განთავსდნენ. დილიდან ხალხი საკვები პროდუქტებით და რეზინის ჩექმებით, ხოლო საქონელი თივით მომარაგდა," - განაცხადა მელიქიშვილმა.

სახლებდატბორილი მოსახლეობა არ მალავს, რომ გაზაფხულობით მათი სახლები ხშირად იტბორება. საქმე ისაა, რომ ისინი მტკვრის ჭალაშია აშენებული - ძალიან ახლოს მდინარის უჯებირო კალაპოტთან, ანუ იქ, სადაც სახლის მშენებლობის უფლების გაცემაც კი არ შეიძლებოდა.

იმის გამო, რომ რისკის ზონა დიდი არ იყო და ადგილობრივი ხელისუფლებაც მომზადებული აღმოჩნდა, სტიქიას ყველაზე ნაკლები ზარალით ჯერჯერობით ქვემო ქართლში გადაურჩნენ. არ დაღუპულა არც ერთი სული საქონელი და ხალხმა ავეჯის მეორე სართულზე ატანაც კი მოასწრო. მიუხედავად ამისა, შესაძლო ზარალის ოდენობაზე წინასწარ ვერაფერს ამბობენ, რადგან სახლები ჯერ კიდევ წყლითაა სავსე. ადგილობრივი კომისია მუშაობას წყლის დონის დაწევისთანავე დაიწყებს.

# საქართველო სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისათვის საერთაშორისო დახმარებას ითხოვს

კოკისპირული წვიმებით მიყენებული ზარალის ანაზღაურებას საქართველოს მთავრობა სარეზერვო ფონდიდან და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით გეგმავს. ამის შესახებ გუშინ, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ვალერი ჩეჩელაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, მთავრობა აღადგენს ყველა კომუნიკაციას და უსახლკაროდ დარჩენილ მოსახლეობას გასაჭირში არ მიატოვებს. როგორც ჩეჩელაშვილი აღნიშნავს, ზარალი მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დაიფარება. ასევე, მთავრობა პარლამენტს საქართველოს ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებების პროექტსაც წარუდგენს.

ჩეჩელაშვილის თქმით, საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო ორგანიზაციებს დახმარების თხოვნით უკვე მიმართა, **"თუმცა, ამ პრობლემას, ძირითადად, მაინც საქართველოს მთავრობა მოაგვარებს,"** - აცხადებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

წყალდიდობის შედეგების სალიკვიდაციოდ საქართველო საერთაშორისო თანამეგობრობას მიმართავს. დახმარებას კოორდინაციას თავად საგარეო საქმეთა სამინისტრო გაუწევს. ამის შესახებ გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე გახდა ცნობილი, რომელშიც მონაწილეობა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიორგი გომიაშვილმა, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიგი უგულავამ და საქართველოში აკრედიტებულმა დიპლომატიური კორპუსის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიიღეს.

გომიაშვილის განცხადებით, დღეს დილით, საქართველოს პარლამენტი წყალდიდობის შედეგებთან დაკავშირებით სპეციალურ პრესრელიზს გაავრცელებს. იქვე იქნება მითითებული საბანკო ანგარიში, რომელზეც ყველა მსურველს თანხების გადარიცხვის საშუალება ექნება.

საქართველოს ხელისუფლება მძიმე ტექნიკას, ინფექციების გავრცელების თავიდან ასაცილებლად აუცილებელ მედიკამენტებს, კვების პროდუქტებს, საბნებს და ტანსაცმელს ითხოვს.

უგულავას განცხადებით, დღევანდელი შეხვედრა მარტო საქართველოს ხელისუფლების ინიციატივით არ შემდგარა. შეხვედრის სურვილი არაერთმა საქართველოში მოღვაწე საერთაშორისო ორგანიზაციამ და დიპლომატიურმა კორპუსმა ითხოვა, რისთვისაც საქართველოს ხელისუფლება წინასწარ უხდის მათ მადლობას.

როგორც გუშინ პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის პრესკონფერენციაზე გახდა ცნობილი, საქართველოს მთავრობა სტიქიით დაზარალებული რეგიონებისთვის 20 მილიონი ლარის გამოყოფას გეგმავს. **"მომავალ ოთხშაბათს მთავრობა პარლამენტს სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების პროექტს წარუდგენს,"** - აღნიშნა ნოღაიდელმა.

პრემიერის განცხადებით, 20 მილიონიდან 15 გზების მშენებლობას და ხიდების აღდგენას მოხმარდება, 5 მილიონი კი - წინასწარ გასატარებელ სხვა ღონისძიებებს.

გარდა ამისა, მისი თქმით, სტიქიით დაზარალებულთა ოჯახების დასახმარებლად მზად არიან ქართველი ბიზნესმენები და საერთაშორისო ორგანიზაციები. **"ჩვენ უახლოეს პერიოდში გავხსნით სპეციალურ ანგარიშს, სადაც შემოწირული თანხები აკუმულირდება და ეს თანხა მთლიანად სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს მოხმარდება,"** - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. როგორც ნოღაიდელი აცხადებს, ჯერჯერობით ნაადრევია იმაზე საუბარი, თუ რა ზარალი მიადგა სტიქიის შედეგად საქართველოს, თუმცა ზარალი ძალიან დიდია.

გუშინ პრემიერ-მინისტრმა გარდაბნის რაიონის სოფელ აღთაკლიაში სტიქიით დაზარალებული მოსახლეობა მოინახულა.

რეზინის ჩექმებით აღჭურვილმა ნოღაიდელმა სოფელი ფეხით შემოიარა. პრემიერ-მინისტრმა რამდენიმე დაზარალებული ოჯახი მოინახულა და მოსახლეობას დახმარებას დაჰპირდა.

საქართველოში სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად, "ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" პარტიის აქტივისტთა მობილიზაცია გამოაცხადა.

როგორც პარტიის გენერალურმა მდივანმა გიორგი არველაძემ გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, განსაკუთრებული მობილიზაცია მესტიის, ლენტეხის, ამბროლაურის, ონის, ცაგერის, წყალტუბოს, ვანისა და მარტვილის რაიონებში გამოცხადდა, სადაც პარტიის აქტივისტები 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ.

არველაძის განცხადებით, "ნაციონალური მოძრაობის" წევრები მზად არიან, სტიქიით დაზარალებულებს ნებისმიერი სახის დახმარება გაუწიონ. პარტიულ მობილიზაციასთან ერთად, "ნაციონალური მოძრაობა" მოსახლეობას მოუწოდებს, პარტიულ ოფისებში დაზარალებულთათვის პირველადი დახმარების ნივთები მიიტანონ.

პარტიის ცენტრალურ ოფისში კი ამოქმედდა "ცხელი სატელეფონო ხაზი" (92-30-84; 92-30-85 და 92-30-87). "ცხელი ხაზი" 24 საათის განმავლობაში იმუშავებს. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**მესტია.** კოდორის ხეობაში მოქმედი რაზმის "მონადირე"-ს წევრები შეიარაღებული დანაყოფის თავდაცვის სამინისტროდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აფხაზეთის მთავარი სამმართველოს დაქვემდებარებაში გადაყვანის შესაძლებლობას აპროტესტებენ.

რაზმ "მონადირე"-ს მეთაურის მოადგილის, მაიორ ზურაბ გერლიანის ინფორმაციით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ გუშინწინ გაკეთებულმა განცხადებამ, თითქოს "მონადირე" "უსაქმურებითაა დაკომპლექტებული", ხეობაში ვითარება უკიდურესად გაამწვავა. რაზმის წევრთა აზრით, ისინი, ვინც კოდორის ხეობაში საქართველოს იურისდიქცია შეინარჩუნა, მინისტრისგან, რომელსაც ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ევალება, შეურაცხყოფას არ იმსახურებდნენ.

გერლიანის ინფორმაციით, დანაყოფის წევრები ხელისუფლებისგან კვლავ მოითხოვენ რაზმის აღდგენას, რომლის მოქმედების ვადა, ოფიციალურად, 28 აპრილს იწურება.

"მონადირე"-ს მეთაურის მოადგილის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება მეომართა მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს, ადგილობრივი მოსახლეობა ხეობის უსაფრთხოებაზე ზრუნვას შემდგომშიც გააგრძელებს და "ხეობას ისევე დაიცავს, როგორც დღემდე იცავდა".

**"მეომრები იარაღის ჩაბარებას არ აპირებენ და თუ ვინმე მათთვის იარაღის ძალით ჩამორთმევას გეგმავს, უნდა იცოდეს, რომ ქვეყნის ინტერესების საზიანოდ გამოუსწორებელ შეცდომას დაუშვებს,"** - განაცხადა მაიორმა ზურაბ გერლიანმა.

გუშინწინ ცნობილი გახდა, რომ საქართველოს პრეზიდენტისა და ქვეყნის მთავარსარდლის მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებით, კოდორის ხეობაში მოქმედი, ადგილობრივი მოსახლეობით დაკომპლექტებული რაზმი "მონადირე" საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აფხაზეთის მთავარი სამმართველოს დაქვემდებარებაში გადავა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** წყალდიდობის შედეგად, გუშინ საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის რეგიონული სასაზღვრო საგუშაგო "ზარისახოს" დამცავი კედელი დაზიანდა.

როგორც სასაზღვრო უწყების პრესსამსახურში განაცხადეს, მდინარე არაგვმა თავდაცვის სამინისტროს მიერ მესაზღვრეებისთვის გადაცემულ შენობაშიც შეაღწია, რომელშიც ჯარისკაცები იმყოფებოდნენ. დაიტბორა ასევე შენობის სარდაფი.

პირადი შემადგენლობის ევაკუაცია ოპერატიულად განხორციელდა, არსებული ქონება კი უსაფრთხო ადგილზეა გადატანილი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, უახლოეს მომავალში ქუთაისში ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო მოხელეთა სკოლა შეიქმნება.

როგორც გუშინ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განათლების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ განაცხადა, აღნიშნული სკოლა ქუთაისის ტექნიკური სკოლა-ლიცეუმის შენობაში განთავსდება, რომლის მიზანი საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელი საჯარო მოხელეების პროფესიული გადამზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება იქნება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკა ფართომასშტაბიანი სამხედრო სწავლებისთვის ემზადება, რომელიც 18-21 აპრილს ჩატარებულ წვრთნებზე გაცილებით მაშტაბური იქნება.

ამის შესახებ სოხუმის ხელისუფლების თავდაცვის მინისტრის მოადგილემ და გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-ლეინტენანტმა ანატოლი ზაიცევმა რუსულ სააგენტოს" განუცხადა. ზაიცევი "აფხაზეთის ისტორიაში "უპრეცედენტო" სამხედრო სწავლების" ჩატარების თარიღს არ აზუსტებს, მაგრამ იქვე დასძენს, რომ ფართომასშტაბიანი სამხედრო სწავლებები აფხაზეთში აუცილებლად გაიმართება.

18-21 აპრილს აფხაზეთში ჩატარებულ სამხედრო სწავლებებში მონაწილეობა 3 ათასმა სამხედრო მოსამსახურემ და რეზერვისტმა მიიღო. სოხუმის ხელისუფლების მონაცემებით, დღეისათვის არაღიარებული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში 5 ათასი მეომარი ირიცხება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელებისა და "ახალგაზრდა მთამსვლელთა და მეკლდეურთა კლუბის" წევრების შეხვედრა დასრულდა, თუმცა კონკრეტული გადაწყვეტილებები, ჯერჯერობით, მიღებული არ არის.

მხარეებმა "ზარისახოს" სასაზღვრო საგუშაგოზე კვირას გარდაცვლილი ჯარისკაცის გადმოსვენების შესაძლო ვარიანტები განიხილეს, თუმცა გადაწყდა, რომ სასაზღვრო უწყების ხელმძღვანელობა ფრენისთვის შესაბამისი ამინდის დადგომას დღეს 14.00 საათამდე დაელოდება.

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყდა, რომ გარდაცვლილს ალპინისტების დახმარებით გადმოასვენებენ, ამას დაახლოებით ხუთი დღე დასჭირდება. არ არის გამორიცხული, რომ სასაზღვრო უწყების ხელმძღვანელობამ ალპინისტების შეთავაზებაზე უარი თქვას, რადგან მთებზე ხუთდღიანი გადმოსვენების პროცესში შესაძლოა ცხედარი დაზიანდეს, რის გამოც გარდაცვალების მიზეზის შესახებ ოჯახის წევრებს დამატებითი ეჭვები გაუჩნდებათ. **ინტერ-პრესი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# წინ – ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში დასაბრუნებლად

დალი კვარაცა

*"ქორთიად მარიოტში" ორი წიგნის პრეზენტაცია შედგა. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა ევრაზიის ფონდის დაფინანსებით მოამზადა და გამოსცა ორი კრებული: "ბოლონის პროცესის ძირითადი დოკუმენტები" და "კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS) და დიპლომის დანართი". ორივე კრებულს საერთო დევიზი აქვს: "უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისკენ".*

აღნიშნული წიგნებიდან ერთი - დოკუმენტების კრებულია, მეორე - სახელმძღვანელო. როგორც კრებულის ერთ-ერთმა რედაქტორმა ლალი ბაქრაძემ აღნიშნა, წიგნები განთავსებულია განათლების სამინისტროს, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტისა და თსუ-ს ვებ-გვერდებზე, განათლების სამინისტრო კი უმაღლეს სასწავლებლებს დაურიგებს.

**"ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე შესრულებული თარგმანი უკეთესია რუსულ თარგმანზე, რითაც საზოგადოების ნაწილი აქამდე სარგებლობდა,"** - აღნიშნა განათლების სამინისტროს საერთაშორისო დეპარტამენტის თავმჯდომარემ [illegible].

მანვე გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ დღეს ქართული განათლების სისტემა არ არსებობს, არსებობს საბჭოთა განათლების სისტემის ნანგრევები, [illegible]

ბოლონის პროცესში ჩართვა და მონაწილეობა ნიშნავს, რომ 2010 წლიდან საქართველოს დიპლომი ევროპულ სივრცეში ცნობილი, გერმანულ და სხვა ქვეყნების დიპლომების თანაბარი იქნება. [illegible]

დიპლომის დანართი უკვე [illegible] "ბოლონის პროცესი, [illegible] საქართველოს მონაწილეობა (და არა მიერთება!) ქართულ განათლებას თავის ბუნებრივ მდგომარეობაში, ევროპულ სივრცეში დააბრუნებს," - აღნიშნა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ.

მაისში, ნორვეგიის უძველეს საუნივერსიტეტო ქალაქ ბერგენში ჩატარდება შეხვედრა, რომელიც ბოლონიის პროცესში ჩასართველად საქართველოს პირველი ნაბიჯი იქნება.

# ტენდერიც ადგილზე ტარდება და მორებიც იქვე იხერხება

თამაზ ხარაიშვილი
ოზურგეთიდან

ჩოხატაურის რაიონის ეკონომიკური ცხოვრების ავ-კარგი თითქმის მთლიანად არის დამოკიდებული ბუნებრივ რესურსებზე. ძირითადად სწორედ ხე-ტყის დამუშავებით და მინერალური წყლებიდან იკვებება ადგილობრივი ბიუჯეტი. ნაბეღლავის ჩამოსხმელი ქარხნების ამოქმედების შემდეგ, შემოსავლები მნიშვნელოვნად გაიზარდა. რაც შეხება ხე-ტყეს, აქ პრაქტიკაში დანერგილი ხე-ტყის მორების სახით გატანა მნიშვნელოვანი საბიუჯეტო შემოსავლების დანაკარგების მიზეზი ხდებოდა. მხარის რწმუნებულმა ჟანი კალანდაძემ, გურიაში ჩამოსვლის დღიდანვე, აქტიურად დაუჭირა მხარი მორების რეალიზაციის პრაქტიკის აღკვეთას, რის შემდეგაც ჩოხატაურის რაიონში სახერხი ქარხნების რაოდენობამ მკვეთრად იმატა.

გუშინ კი ხე-ტყის დამზადების პრაქტიკაში ერთი სიახლე დაფიქსირდა - ისტორიაში პირველად მოხდა სატყეო ფონდის კონკურსის წესით არა თბილისში, არამედ ადგილზე განაწილება. ჩოხატაურის გამგეობაში გამართული კონკურსის წინ გურიის გუბერნატორმა, სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარემ შალვა ჯავახაძემ და ჩოხატაურის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ზაურ ოსეფაიშვილმა ადგილზე დაათვალიერეს სახერხი ქარხნები. განაწილებული ხე-ტყის ფონდი შეადგენდა 12000 კბ.მ-ს. კონკურსის პირველ ეტაპზე (სულ 2 ეტაპი იქნება) განაწილდა ფონდის ნახევარი, უპირატესობა მიენიჭათ იმ სახერხ ქარხნებს, რომლებიც საკონკურსო პირობებს აკმაყოფილებდნენ. თუ რჩეულები გაამართლებენ იმედებსს და კარგად იმუშავებენ, კონკურსის მეორე ეტაპზე ისინი გარკვეული შეღავათებით და უპირატესობით ისარგებლებენ.

გურიის მხარის რწმუნებულის განცხადებით, ხე-ტყის რეალიზაციის საქმეში წესრიგის დამყარება დაწყებულია და ეს პროცესი ხელს შეუწყობს ადგილობრივი საბიუჯეტო შემოსავლების და სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდას, ბუნებრივი რესურსების ყაირათიანად გამოყენებას.

## ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღა" თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4

„რადიო დილა" ყოველ დღე კვირის გარდა 10-დან 12 საათამდე



საქართველოსთვის უმძიმეს პერიოდში მე საქართველოს დროშით დავცურავდი

წამყვანი : ქეთევან კორძახია

სტუმარი : ნუგზარ კეკენაძე,ჟურნალისტი,მწერალი. 1995 წელს თვითნაკეთი იახტით "ლინა" მარტოდმარტო იმოგზაურა ფოთიდან კანარის კუნძულებამდე.

ნუგზარ კეკენაძე: მინდოდა გამომეცადა თავი, დამემტკიცებინა, რომ ძველთაძველი ქართველი მეზღვაურებისა და დიდი მეფე აიეტის შთამომავლებს ჯერ კიდევ შესწევთ ძალა ჭიდილისა. გოლს არ უდებენ დიდი ქვეყნების მეზღვაურებს, მხოლოდ გამეტანა ჩემი სამშობლოს-საქართველოს სახელი, მისი ისტორია,კულტურა,[illegible] მისი პროპაგანდისტი.

# ჯარში მხოლოდ ღარიბები მიდიან

პირველი გვერდიდან

**"ბეგარის 1500 ლარამდე გაზრდა კორუფციის მასშტაბების არნახულ ზრდას გამოიწვევს,"** - ასეთია გუშინდელი პრესკონფერენციის ორგანიზატორის ირაკლი სესიაშვილის პოზიცია. მისი აზრით, წვევამდელთა შორის უამრავი აღმოჩნდება ისეთი, ვისაც 1500 ლარი არ ექნება, მაგრამ, სამაგიეროდ, ექნება სურვილი, გადაიხადოს ქრთამი და სამხედრო სამსახურს თავი აარიდოს. სესიაშვილი არც იმაშია ბოლომდე დარწმუნებული, რომ რაიონულ სამხედრო განყოფილებებში ჩინოვნიკები ბოლომდე დაძლევენ ცდუნებას. ახალი კანონი, სესიაშვილის აზრით, მათ ხელის მოთბობის შესანიშნავ საშუალებას მისცემს.

გივი თარგამაძე ამის თაობაზე წინასწარ გაფრთხილებას იძლევა: **"ამისთვის ჩვენ გვყავს შესაბამისი ორგანოები... არავის ვურჩევთ ციხეში მოხვედრას!"**

ახალი კანონპროექტი პარლამენტში ამ დღეებში შევიდა. გივი თარგამაძის ინფორმაციით, მას თავდაცვის და უშიშროების კომიტეტი უახლოეს პერიოდში განიხილავს. **"ბეგარა გაძვირდა საშუალო ფენისათვის, ვინც 200 ლარს თავისუფლად იხდიდა. ღარიბს არც ის 200 ლარი გააჩნდა, 1500 ლარზე საუბარიც ზედმეტია. ფაქტობრივად, დღეს ჩვენ ისეთ სიტუაციაში ვიმყოფებით, როცა ჯარში მხოლოდ რაიონებიდან მიდიან. თბილისში, ამ მხრივ, საკმაოდ მძიმე სურათია. არაფერს ვამბობ ელიტარულ უბნებზე,"** - აღნიშნა თარგამაძემ ჩვენთან საუბრისას.

ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის გიორგი თავდგირიძის აზრითაც, წვევამდელები კონკურსის წესით უნდა შეირჩნენ, ანუ არჩევანი საუკეთესოზე უნდა შეჩერდეს, მაგრამ ბეგარა ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია: **"საუკეთესო, მდიდარი ადამიანის შვილიც შეიძლება იყოს და ღარიბისაც. ეს მონაცემი ადამიანის სოციალურ მდგომარეობას არანაირად არ უკავშირდება. ჯარში წასვლა დასჯა არ არის. ეს არის ადამიანის კონსტიტუციური მოვალეობა. აქედან გამომდინარე, ბეგარა 200 ლარის ოდენობით იქნება თუ 1500 ლარამდე გაიზრდება, ამას ჩემთვის, როგორც სამხედრო პირისთვის, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს."**

ერთადერთი, რასაც გიორგი თავდგირიძე დასაშვებად მიიჩნევს, ძალიან მაღალი გადასახადის დაწესებაა. **"თუ მილიონერის შვილი სოლიდურ თანხას - ვთქვათ, 10 ათას ან 20 ათას ლარს გადაიხდის, მას შეუძლია, მაღალი ბეგარით თავი დაიზღვიოს."**

1500-ლარიან ბეგარაზე საუბრისას პარლამენტარი გივი თარგამაძე თურქეთის მაგალითს ასახელებს, სადაც სწორედ ასეთი მაღალი გადასახადი იყო დაწესებული. გიორგი თავდგირიძე გამორჩეულად მაღალი ოდენობის ბეგარას განსაკუთრებულ კატეგორიაში განიხილავს და მას 1500-ლარიანი ბეგარის შემთხვევასთან არ აიგივებს. თავდგირიძეს საუკეთესო ნიმუშად გერმანიის გამოცდილება მოჰყავს. გერმანიაში ერთი გასაწვევის ადგილას, დაახლოებით, 16-17 რეკრუტია. როგორც თავდაცვის ეროვნული აკადემიის რექტორმა "24 საათს" განუცხადა, **"ჯარში სამხედრო მოსამსახურეების მიზიდვის ყველაზე ეფექტური საშუალება არის მათი მოტივირება სოციალური გარანტიებით. ასეთ შემთხვევაში არანაირი ბეგარის საჭიროება არ ჩნდება."**

ირაკლი სესიაშვილი არსებულ ვითარებაში გამოსავალს შემდეგში ხედავს: იგი თხოვნით მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს, შექმნას სახელმწიფო კომისია. კომისია ჩამოაყალიბებს შესაბამის კონცეფციას, რომლის საფუძველზეც შეიქმნება ნორმალური კანონმდებლობა გაწვევის შესახებ.

# რუსეთის მოქალაქეობა - სწრაფად და იაფად

პირველი გვერდიდან

ამის შემდგომ პირს უფლება ენიჭება, მუდმივად ჩაეწეროს რუსეთის ნებისმიერ რაიონში.

რუსეთის ე.წ. საზღვარგარეთული პასპორტით შესაძლებელია გამგზავრება სხვადასხვა ქვეყანაში. კერძოდ, ვიზის გარეშე შესაძლოა - რუსეთში, თურქეთში და დსთ-ს ქვეყნებში (საქართველოს გარდა), ხოლო ევროპის ქვეყნებში გასამგზავრებელი ვიზის მისაღებად საჭიროა დროებითი ჩაწერა რუსეთის ტერიტორიაზე.

საზღვარგარეთული პასპორტის მისაღებად აუცილებელი თანხა პირველ ეტაპზე შეადგენდა: რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ბაჟი - 200 რუბლი, რუსეთის ფედერაციის საკონსულო მოსაკრებელი - 300 რუბლი, პასპორტის ბლანკის ღირებულება - 50 რუბლი, სოჭში დოკუმენტების გადაგზავნისა და სხვა ხარჯები - 140 რუბლი, საბანკო მომსახურება - 60 რუბლი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს ცნობით, **"ბოლო პერიოდში თანდათან იკვეთება პასპორტიზაციის პროცესში გალის რაიონის ქართული მოსახლეობის ჩართვა, რაც სეპარატისტული ხელისუფლების ინტერესებს ემსახურება."**

იმ ქართველებს, ვინც ეროვნებას შეიცვლის, მიენიჭებათ რუსეთის მოქალაქეობა და პასპორტები გამარტივებული წესით გადაეცემათ.

გალის რაიონის სოფელ პირველი გალის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს უკვე აღებული აქვს რუსეთის ფედერაციის ეგრეთწოდებული საზღვარგარეთული პასპორტები. აღნიშნული დოკუმენტის გაცემა ხდება ქ. ტყვარჩელში (სეპარატისტთა ადმინისტარციულ-ტერიტორიული დაყოფით, სოფ. პირველი გალი ტყვარჩელის რაიონს მიაკუთვნეს) და მისი ღირებულება რაიონის ქართული მოსახლეობისათვის 200 აშშ დოლარს შეადგენს.

იმ პირებისათვის, რომლებსაც რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა უკვე მიღებული აქვთ, პასპორტის ღირებულება იქნება 1000 რუსული რუბლი, ხოლო სხვა მსურველთათვის პასპორტები გაიცემა შესაბამისი განცხადების საფუძველზე და მისი ღირებულება 5000 რუსული რუბლი იქნება.

აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში სოჭის საპასპორტო განყოფილებამ რუსეთის ფედერაციის პასპორტების გაცემა დროებით შეაჩერა. აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად მიმდინარე წლის 4 მარტს თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ალექსანდრ ანქვაბი სოჭში არსებული, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს ანატოლი შოსტაკს შეხვდა. განიხილეს პასპორტების გაცემის პროცესის გააქტიურებისა და გამარტივების საკითხები. ასევე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ პასპორტიზაციის პროცესს სხვადასხვა ორგანიზაციებთან ("რუსულ თემთა კონგრესი", "აფხაზეთის კაზაკთა კავშირი", "სლავიანსკი დომი") ერთად, სეპარატისტთა შსს საპასპორტო-სავიზო განყოფილებები წარმართავენ.

საქართველოს შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს ბოლო მონაცემებით, აფხაზეთში ამჟამად 4 საპასპორტო განყოფილება ფუნქციონირებს, რომლებსაც რუსეთში აღებული აქვთ ლიცენზია.

შესაბამისი დოკუმენტაცია მზადდება 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი იგზავნება მოსკოვში. პასპორტის გაცემის ვადაა ორი თვე. გაიცემა 2 სახის პასპორტი, ერთი - რუსეთის საერთაშორისო პასპორტი, მეორე - რუსეთის შიდა სამოქალაქო პასპორტი. ეს უკანასკნელი გაიცემა იმ პირებზე, ვისაც რუსეთის ტერიტორიაზე ჩაწერა გააჩნია. პასპორტის ღირებულება 500-დან 2000 დოლარამდე მერყეობს; კერძოდ, აფხაზებისთვის - 500 აშშ დოლარი, სომხებისთვის - 1000 აშშ დოლარი და ქართველებისთვის - 2000 აშშ დოლარი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს მოსაზრებით, ყოველივე ზემოაღნიშნული, მდინარე ფსოუზე გამარტივებული სასაზღვრო კონტროლისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე გაცხოველებული ვაჭრობის პირობებში საშუალებას იძლევა, ნებისმიერი პიროვნება, მათ შორის, კრიმინალური ელემენტები - ნარკოკურიერები, ძებნილები და სხვა, თავისუფლად, ყოველგვარი ვიზისა და შეზღუდვის გარეშე გადაადგილდნენ აფხაზეთიდან რუსეთში და პირიქით.

**"სეპარატისტების მიერ კონტროლირებადი, აფხაზეთის ტერიტორია თავშესაფრად იქცა ძებნილთათვის, რომლებიც სასამართლო დევნას ემალებიან. მათ უმეტესობას დსთ-ს ქვეყნების მოქალაქეები წარმოადგენენ. ამასთანავე, არსებული ინფორმაციით, გარკვეული კატეგორიის პირების მიერ ყალბი დოკუმენტების დამზადებისა და ავტობიოგრაფიული მონაცემების შეცვლის შემდეგ, აფხაზეთის ტერიტორია გამოიყენება, როგორც შუალედური პუნქტი შემდგომი ლეგალიზაციისათვის, ძირითადად რუსეთის ფედერაციაში,"** - ნათქვამია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს ინფორმაციაში.

სამმართველოს მიერ ბოლო პერიოდში მიღებული იფნორმაციით, სარგებლობენ რა სეპარატისტთა მიერ შემუშავებული რეპატრიაციის პროგრამით, აფხაზეთში ხდება თურქეთიდან და ახლო აღმოსავლეთიდან ჩამოსული პირების ლეგალიზება. სეპარატისტთა შესაბამისი უწყებები თავიანთთვის სასურველ უცხო ქვეყნის მოქალაქეზე გასცემენ სსრკ სიმბოლიკიან პასპორტს აფხაზეთში ჩაწერითა და ადგილობრივი გავრცელებული გვარით, რის შემდეგაც ამ პირს საშუალება ეძლევა, რუსეთის მოქალაქეობაზე განაცხადი შეიტანოს.

**"ამ გზით, რუსეთის მოქალაქეები გახდნენ სირიაში, იორდანიაში, თურქეთსა და ახლო აღმოსავლეთში მცხოვრები, როგორც ამ ქვეყნების კავკასიურ დიასპორას ამოფარებული სპეცსამსახურების წარმომადგენლები, ასევე სხვა ექსტრემისტული მიმდინარეობის წევრები,"** - მიუთითებს შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველო და აღნიშნულის დასადასტურებლად, მაგალითად მოსკოვის მუსიკალურ ცენტრ "ნორდ ოსტ"-ში განხორციელებულ ტერაქტში აფხაზეთის მცხოვრების მონაწილეობა მოჰყავს. ასევე, საგულისხმოდ მიიჩნევს ზემოაღნიშნულ ტერაქტში მონაწილე ტერორისტ რუსლან აბუხასანის ძე ელმურზაევს, რომელიც, მათი ცნობით, ტერაქტის ორგანიზატორის, მოვსარ ბარაევის მოადგილე იყო. მას ფუად შახამბეის ძე ხუნოვის პასპორტი აღმოაჩნდა. ეს უკანასკნელი კი სეპარატისტთა ეგრეთწოდებულ შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობდა და 2001 წლის სექტემბერში საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა.

**"არსებული ოპერატიული ინფორმაციით, ბოლო 7-8 წლის განმავლობაში აფხაზეთის ტერიტორიიდან რუსეთის ფედერაციაში გავიდა და ყალბი დოკუმენტებით მაოხდინა ლეგალიზება რამდენიმე ასეულმა, ზემოაღნიშნული ქვეყნების მოქალაქემ. ამჟამად აფხაზეთის ტერიტორიაზე იმალება ასეულობით დადგენილი კრიმინალი, რომლებიც იძებნებიან მძიმე დანაშაულებათა ჩადენისათვის, უმეტესად, დსთ-ს ქვეყნებში,"** - აცხადებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველო.

ამასთან, მათივე ცნობით, აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეობის მიღებისა და პასპორტების გაცემის გამარტივებული პროცესით სარგებლობენ ასევე უკანონო მიგრანტები, ძირითადად, დსთ-ს ქვეყნებიდან (სომხეთი და ყარაბახი). რომლებიც ქრთამის მეშვეობით აკეთებენ სსრკ სიმბოლიკიან პასპორტებს აფხაზეთის ჩაწერით, შემდგომ კი მათ საფუძველზე იღებენ რუსეთის მოქალაქეობას, პასპორტს, თავისუფლად გადაადგილდებიან რუსეთში და იქ მკვიდრდებიან.

2005 წლის 21 მარტს ქ. სოხუმში, სეპარატისტთა სახალხო კრებამ (პარლამენტი) განიხილა აფხაზური პასპორტების გაცემასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები. კერძოდ, სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლებას განზრახული აქვს, იმ ქართველების გვარები, რომლებსაც მათი მტკიცებით, "აფხაზური წარმოშობა" აქვთ, ახალ პასპორტებში დაფიქსირდნენ ტრანსკრიფციით. მაგალითად: ბუთბაია - ბუთბა, აქიშბაია - აქიშბა, ეზუგბაია - ეზუგბა, ქეცბაია - ქეცბა და ა.შ. ბუნებრივია, გვარშეცვლილი პირები პასპორტებში აფხაზებად ჩაეწერებიან.

ამასთანავე, აღინიშნა, რომ ამ გვარის წარმომადგენლებს საქართველოს ხელისუფლებამ თავის დროზე მიზანმიმართულად, ზეწოლით გადააკეთებინა გვარები.

განხილვისას გაკეთებული განცხადების თანახმად, აფხაზებად ჩაწერენ იმ პირებსაც, რომელთა გვარები ვერ გადაკეთდება, მაგრამ გამოთქვამენ სურვილს, პასპორტში აფხაზებად ჩაეწერონ. მაგალითად: კვეკვესკირი, პაპასკირი, ჩაკვეტაძე, ცეცხლაძე, კამკია და ასე შემდეგ.

სახალხო კრებაში გამახვილდა ყურადღება იმ უხერხულობებზე, რომელიც გვარების შეცვლას მოჰყვება. კერძოდ, დიპლომის, მძღოლის მოწმობის, ატესტატის, დაბადების მოწმობის და სხვა დოკუმენტების მონაცემების განსხვავება ახალი პასპორტის მონაცემებთან. თუმცა, გვარების შეცვლის პროცესის ინიციატორებმა განმარტეს, რომ აფხაზურ პასპორტებში იქნება სპეციალური გრაფა "განსაკუთრებული აღნიშვნები", სადაც მითითებული იქნება გვარის შეცვლის შესახებ.

2005 წლის 24 მარტს აფხაზეთში შეიტანეს 245 ათასი ცალი აფხაზეთის მოქალაქის პასპორტის ბლანკი. მის დასამზადებლად გადახდილ იქნა 800 ათასი აშშ დოლარი. (30 მარტს პრესკონფერენციაზე სერგეი ბაგაფშმა განაცხადა, რომ პასპორტების დასამზადებლად დაიხარჯა 620 ათასი აშშ დოლარი).

ოპერატიული ინფორმაციით, 2005 წლის 28 მარტს სეპარატისტთა სახალხო კრებაში გაიმართა სხდომა, რომელიც დამზადებული პასპორტების საკითხს მიეძღვნა. დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ პასპორტები დამზადებულია დაბალ პოლიგრაფიულ დონეზე, არ გააჩნია დამცავი ნიშნები და ნომრები, რაც მიუთითებს იმაზე, რომ პასპორტები დამზადებულია არაოფიციალურად, არაკანონიერად.

ამასთანავე, სახალხო კრებამ ეჭვქვეშ დააყენა პასპორტების დამზადებისათვის თითქოსდა გადახდილი 800 000 აშშ დოლარის საკითხი.

თუმცა, კიდევ საკითხავია, თუ რამდენად ნებაყოფლობითი იქნება გააფხაზების პროცესი. ცხადია, რომ სეპარატისტული რეჟიმი ზემოაღნიშნული გზით ცდილობს, ხელოვნურად გაზარდოს აფხაზთა რიცხობრივი რაოდენობა აფხაზეთის ტერიტორიაზე და, განსაკუთრებით, გალის რაიონში, რაც, თავის მხრივ, ქართველების რაოდენობის შემცირებას გამოიწვევს.

თამარ ხორბალაძის სვეტი

## "ფორსმაჟორი" ქვეყანაში

*სიტყვა "ფორსმაჟორი" საქართველოში განსაკუთრებით პოპულარული მას შემდეგ გახდა, რაც პრეზიდენტმა მოსახლეობას "ფორსმაჟორულ რეჟიმში" ნაყიდი 20-20 ლიტრი დიზელი დაურიგა, უშიშროების საბჭოს მდივანმა ამავე რეჟიმით მანქანა იყიდა ისევე, როგორც აწ უკვე ყოფილმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ და დღევანდელმა პარლამენტმა; თბილისის მერმა ამავე რეჟიმში გადაწყვიტა გზების დაგება... მოკლედ, პოპულარულია მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ყველა დონის ხელისუფალი, მინისტრებით დაწყებული, მერითა და სხვა დანარჩენით გაგრძელებული, თავს მოვალედ რაცხს, თუკი მოახერხებს, ტენდერის ჩატარებას თავი აარიდოს და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონიდან მუხლი ფორსმაჟორების შესახებ "მიისადაგოს".*

არგუმენტაცია საკმაოდ მარტივია: პოსტ-რევოლუციურ საქართველოში, თურმე, ნებისმიერი ღონისძიება "გადაუდებელია", ამასთან - "აუცილებელიც", მოკლედ - "გადაუდებლად აუცილებელიც" - გაზაფხულია და გლეხებს გადაუდებლად სჭირდებათ დიზელი, პარლამენტარია და... ფეხით სიარული ძალიან გაუჭირდა, უშიშროების საბჭოს მდივანია და მისი გადაადგილების საშუალების ყიდვა ქვეყნის უსაფრთხოების საკითხია, გზებია და - დაგვენგრა თავზე, პასპორტებია და ახალგერბიანი საბუთი გვჭირდება სასწრაფოდ, საზაფხულო ბანაკებია და - უკრაინულ-ქართული მეგობრობის აუცილებლობასა და საპრეზიდენტო განწყობაში ჯდება... ხოდა ყველგან - ყველა სამინისტროში, ყველა გამგეობაში, ყველა მერიაში, საკრებულოში თუ პარლამენტში, სახელმწიფო კანცელარიაში იწერება წერილები ფორსმაჟორული სიტუაციის არსებობის დამასაბუთებელი "ტყვიაგაუმტარი" არგუმენტებით, სახელისუფლებო ორგანოების პირველი პირების აუცილებელი (!) ხელმოწერით და იგზავნება ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ ერთ პატარა სააგენტოში, რომელსაც არც სტატუსი აქვს, არც საზოგადოებრივი ზურგი და არც რეალური ძალაუფლება საიმისოდ, რომ ქვეყნის პირველ პირთა "ფორსმაჟორული" ვნებები დააოკოს...

სიტყვა "ფორსმაჟორი" დღეს საქართველოში კვლავ განსაკუთრებით აქტუალურია.

დღეს საქართველო რეალურად ფორსმაჟორულ სიტუაციაშია - აი ისეთში, რომლის გამოც სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონში შესყიდვების ფორსმაჟორულ რეჟიმში განხორციელების შესახებ მუხლი შევიდა.

დღეს საქართველოს რეგიონებში წყალს მიაქვს მოსახლოების საცხოვრებელი სახლები, სარჩო-საბადებელი, ყველაფერი ის, რაც წლების განმავლობაში დაუგროვებიათ და რისთვისაც უშრომიათ; დღეს იტბორება სკოლები და გზები, ინგრევა ხიდები, იმეწყრება სოფლები და სავარგულები... დღეს საქართველოში რეალურად ფორსამჟორული სიტუაციაა, აი ისეთი, ზემოთ უკვე ნახსენებ ხელისუფალთა სახელმძღვანელო წიგნში რომ უნდა შეიტანო და ყოველი მორიგი წერილი-დასაბუთების დაწერის წინ აჩვენო და შეახსენო, რა არის ნამდვილი ფორსმაჟორი...

გუშინ საქართველოს მთავრობა ქვეყანაში შექმნილ ფორსმაჟორულ სიტუაციაზე მსჯელობდა და ზარალის დადგენას ცდილობდა. გუშინ, მთავრობის სხდომის დასრულებიდან რამდენიმე საათში, საქართველოს პრეზიდენტმა სავარაუდო ზარალის თანხად 15-16 მილიონი დაასახელა. გუშინვე პრემიერმა და ფინანსთა მინისტრმა განაცხადეს იმის თაობაზე, რომ საჭირო თანხები სარეზერვო ფონდიდან გამოიყოფა და უახლოეს პერიოდში მთავრობა პარლამენტში საბიუჯეტო ცვლილებების პროექტით შევა. გუშინ ისიც ითქვა, რომ ჭარბი ნალექის წყალობით საქართველოში ენერგომომარაგება გაუმჯობესდება. გუშინ ხელისუფლებამ საქართველოს რეგიონებიც ფეხით მოიარა. მოკლედ - გუშინ ხელისუფლება შექმნილი სიტუაციის ადეკვატური გახლდათ.

# ევროპისკენ პერი, პერი!

*საკომიტეტო მოსმენების დროს პარლამენტარები კეთილგანწყობას ამჟღავნებენ დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ელჩებად წარდგენილი პერსონების მიმართ. თუმცა, ამავე დროს, დეპუტატები მომავალი ელჩების ბიოგრაფიის უმნიშვნელო დეტალებითაც კი ინტერესდებიან და მათ "ჯვარედინ დაკითხვებს" უწყობენ.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ელჩად დამტკიცების შემთხვევაში ვიქტორ დოლიძეს ამბიციური გეგმები აქვს.*

გიორგი ასანიშვილი

რა მიზეზით გადახვედი სამუშაოდ სახელმწიფო დაცვის სამსახურში? როგორ აღმოჩნდი ტელევიზიაში ("რუსთავი-2"-ში)? რატომ მიატოვე საავტორო პროგრამა ტელეკომპანია "იმედში"? - ეს არის იმ კითხვების არასრული ჩამონათვალი, რომლებზე პასუხის გაცემაც გიორგი გომიაშვილს ევროპასთან ინტეგრაციისა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტებში მოუხდა.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს წარსული რომ "სუფთა" აქვს, ამაში კანონმდებლები გუშინ მალევე დარწმუნდნენ. ამიტომ, პრეზიდენტის რეკომენდაცია და დადებითი საკომიტეტო დასკვნები თითქმის ასპროცენტიანი გარანტიაა იმისა, რომ უახლოეს პლენარულ სხდომაზე გიორგი გომიაშვილს უპრობლემოდ დაამტკიცებენ შვეიცარიის კონფედერაციაში საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად, პლუს, ჟენევაში გაერო-ს განყოფილებასა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად.

**"როგორ უნდა გავწვდე ყოველივე ამას?"** - საკმაოდ შეფიქრიანებული ჩანდა გუშინ გომიაშვილი, რომლის თქმითაც, ჟენევაში განთავსებული საერთაშორისო ორგანიზაციების მხოლოდ ჩამონათვალი 9 გვერდს მოიცავს.

შეიძლება ითქვას, რომ პარლამენტის მხარდაჭერა ასევე გარანტირებული აქვს კიდევ ერთ დიპლომატს - ვიქტორ დოლიძეს. როგორც "24 საათი" უკვე წერდა, პრეზიდენტმა სააკაშვილმა მისი კანდიდატურა ეუთო-სა და ვენაში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად წარადგინა.

**"ჩემი გეგმები, შესაძლოა, ამბიციურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ელჩად დამტკიცების შემთხვევაში, საქართველოსთვის ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთებას მოვახერხებ... მართალია, არა მაქვს იმის ილუზია, რომ ახლო მომავალში ეუთო-ს მისიის მიერ საზღვრის მონიტორინგის ოპერაცია განახლდება, მაგრამ ამ მიმართულებით მუშაობას აუცილებლად გავაგრძელებ,"** - აღნიშნა ვიქტორ დოლიძემ დეპუტატებთან "გასაუბრების გავლისას".

საკომიტეტო მოსმენებზე გაისმა შეკითხვა იმის შესახებაც, თუ რამ განაპირობა გიორგი გომიაშვილისა და ვიქტორ დოლიძის წინამორბედების (ალექსანდრე ჩიკვაიძის და გიგა ბურდულის) ელჩობიდან ვადაზე ადრე გამოწვევა. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ამ კითხვაზე ზოგად განმარტებებს იძლევიან.

**"ჩიკვაიძისა და ბურდულის პროფესიონალიზმში ეჭვი არავის შეუტანია. მათი გამოწვევა მხოლოდ და მხოლოდ დიპლომატიური კადრების გადახალისების სურვილით აიხსნება,"** - საკმაოდ დიპლომატიური პასუხით შემოიფარგლა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კახა სიხარულიძე.

# თბილისის განვითარების 15-წლიანი პროგნოზი

*აშშ-ს პრეზიდენტის ვიზიტის შემდეგ, თბილისის მთავრობა ვაკე-ვერაზე დაწყებული და 2000-2004 წლებში შეჩერებული მშენებლობების ბედს გადაწყვეტს. მთავრობა ქალაქის ურბანული დაგეგმარების სამსახურს სთხოვს, უახლოეს დღეებში წარადგინოს ამ შენობების სია, მშენებლობის შეჩერების მიზეზი და წინადადებები საკითხის გადასაწყვეტად. თუმცა, გამორიცხული არ არის, დაკონსერვებული მშენებლობების ბედზე გარკვეული ჩინოვნიკების აქტიურობამაც იმოქმედოს.*

ნანა ქადაგიშვილი

საუბარია 13-მდე შენობაზე, რომელთაგან ოთხის მშენებლობა ქალაქის ისტორიულ ზონაშია დაწყებული. ეს მშენებლობები შარშან მთავრობის მიერ გამოცხადებული მორატორიუმის შედეგად შეჩერდა.

ბოლო ათ წელიწადში ვაკესა და ვერაზე 60-მდე მაღალსართულიანი სახლი დარღვევებით აშენდა. აქაური მაცხოვრებლები ხუმრობენ, ამ ორ უბანში ქუჩები მაინც აღარ დარჩა, ბარემ გადავხუროთ და ერთი უზარმაზარი სასტუმრო გამოვაო. პრობლემა მხოლოდ ის კი არ არის, რომ ამ უბნებში აშენებული მრავალსართულიანი სახლები ქალაქის იერსახეს არღვევს, ან ის, რომ ვერასა და ვაკეში შენობა აღარ ეტევა, მთავარი პრობლემა ბოლო წლებში დამკვიდრებული ტენდენციაა - ყველას ყველაფრის აშენება მხოლოდ ცენტრში უნდა. ქალაქის ძველი მთავრობის ასეთი არასწორი პოლიტიკისა, თუ პირიქით, პოლიტიკის არქონის გამო, დედაქალაქი იმდენად არათანაბრად განვითარდა, რომ მიწის ფასი ვაკესა და საბურთალოს შორისაც კი დიდად განსხვავდება ერთმანეთისგან. ვაკეში მენაშენე, აშენებული შენობის გაყიდვით, კვადრატულ მეტრზე მოგებას 500-700 დოლარს იღებს, საბურთალოზე კი - 100-300 დოლარს. გლდანსა და სამგორთან ხომ ვაკის შედარება არც კი შეიძლება.

**"ქალაქი ნორმალურად მხოლოდ მაშინ განვითარდება, როცა ცენტრსა და პერიფერიას შორის მიწის ფასში მხოლოდ მცირედი განსხვავებაა,"** - აცხადებს მერიის ურბანული დაგეგმარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე ლევან ლომინაშვილი. თბილისის სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტის მიხედვით, რომელიც ქალაქის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა დედაქალაქის საკრებულოს რამდენიმე თვის წინათ წარუდგინა, ჩვენი დედაქალაქი სწორედ ამ პრინციპით უნდა განვითარდეს. ცენტრსა და პერიფერიებში მიწის ფასის გასათანაბრებლად მშენებლობებმა ცენტრიდან პერიფერიებში უნდა გადაინაცვლოს. სტრატეგიული განვითარების გეგმა მენაშენეებს ვაკისა და ვერის ალტერნატიულ ტერიტორიას სთავაზობს - კახეთის გზატკეცილიდან დიღმამდე გამავალი რკინიგზა გვირაბში უნდა გადავიდეს, გამოთავისუფლებულ ფართზე კი მრავალსართულიანი სახლები აშენდეს. **"ფიროსმანის ქუჩიდან მეტრო "დიდუბემდე" 220 ჰექტარი გამოთავისუფლდება. ამას დაემატება რკინიგზის მიმდებარე ტერიტორია, რომელიც დღეს, ფაქტობრივად, აუთვისებელია. ეს ქალაქის ტერიტორიის თითქმის 20 პროცენტია. რკინიგზის გვირაბში გადატანას ნახევარი მილიარდი დოლარი დასჭირდება. ამ თანხას ან ვისესხებთ და სესხს, 220 ჰექტრის პრივატიზაციიდან შემოსული თანხით, 10 წელიწადში მთლიანად გავისტუმრებთ, ან გამოთავისუფლებულ ტერიტორიას მენაშენეებს წინასწარ მივყიდით და შემოსულ თანხას რკინიგზის გადატანასა და გვირაბის მშენებლობას მოვახმართ,"** - აცხადებს ლომინაშვილი, რომელიც თბილისის სტრატეგიული განვითარების გეგმის ერთ-ერთი ავტორია.

სხვათა შორის, აღნიშნულმა იდეამ საკრებულოს სხდომაზე უმრავლესობის მოწონება დაიმსახურა. თუმცა, შემდეგ ბევრი რამე შეიცვალა. მენაშენეები, რომელთაც ვაკე-ვერაზე მშენებლობები უკვე დაწყებული აქვთ, ან ტერიტორია - ნაყიდი, ამ იდეამ შეაშინა და დამხმარე ძალას მთავრობის მაღალ ეშელონებში ეძებენ. როგორც ამბობენ, ამ უბნებში მშენებარე თითქმის ყოველი შენობის უკან თითო ჩინოვნიკი მაინც დგას. ურბანული დაგეგმარების სამახურში უკვე აღარ მალავენ, რომ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებიდან სერიოზულ ზეწოლას განიცდიან და ქალაქის მთავრობის უახლოეს სხდომაზე (ბუშის ვიზიტის შემდეგ) დაკონსერვებული მშენებლობების საკითხის წამოწევაც მენაშენეებისა და მათი "მეგობარი" ჩინოვნიკების აქტიურობის შედეგია. თუმცა, შეჩერებული მშენებლობების გაგრძელების ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი, საკრებულოს ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე ნანული ქაჩიბაია საკრებულოს და მთავრობის სხდომებზე ამ საკითხის წამოწევის მიზეზებს სულ სხვაგვარად ხსნის. **"ურბანული დაგეგმარების სამსახურს მე მოვთხოვე, წარმოადგინოს დაკონსერვებული მშენებლობების საპროექტო დოკუმენტაცია და ახსნა-განმარტება, თუ რატომ არ გრძელდება ეს მშენებლობები. უამრავი მოქალაქე, ვისაც მენაშენეები ბინებს შეჰპირდნენ, ყოველდღე გვაკითხავს და პასუხს გვთხოვს. ორი წელია, ისინი, ფაქტობრივად, უსახლკაროდ ცხოვრობენ. ბევრს ჰგონია, რომ ჩემი აქტიურობის უკან პირადი დაინტერესება დგას, მაგრამ მანახეთ დოკუმენტი, სადაც ჩემი ან ჩემი ახლობლის გვარი წერია,"** - აცხადებს ქაჩიბაია.

როგორც მოვიძიეთ, ასეთი დოკუმენტი, სადაც მენაშენეთა შორის ნანული ქაჩიბაიას, ან რომელიმე ჩინოვნიკის გვარი ფიგურირებს, მართლაც არ არსებობს, თუმცა, როგორც წესი, ასეთი საქმეები ოფიციალურ დოკუმენტებზე არ ფიქსირდება. ხოლო ურბანული დაგეგმარების სამსახურსა და ზურგგამაგრებულ მენაშენეთა შორის ძლიერი, ალბათ, ქალაქის მთავრობის უახლოეს სხდომაზე გამოჩნდება.

თუკი მენაშენეები გაიმარჯვებენ, ურბანული დაგეგმარების სამსახურის მიერ გაკეთებული, თბილისის განვითარების პროგნოზი საკმაოდ შემაშფოთებლად გამოიყურება - მომდევნო 5 წელიწადში ვაკე-ვერაზე მშენებლობები ძველი ტემპით გაგრძელდება და 60-მდე სახლი კიდევ ჩაეტევა. ამ უბნების საბოლოოდ ამოვსების შემდეგ მენაშენეები "მაკდონალდსის" (რუსთაველის გამზირზე) უკან მდებარე ტერიტორიასაც მაქსიმალურად აითვისებენ და "მზიურსა" და იპოდრომზე გადაინაცვლებენ. აქედან ისტორიულ უბანში გადავლენ და რაც გასაფუჭებელი დარჩა, იმასაც გააფუჭებენ. 10-15 წლის შემდეგ, ცენტრში ნემსის ჩასაგდები ადგილი რომ აღარ დარჩება, მიწის ფასიც დაეცემა და მენაშენეები რკინიგზის გადატანის იდეას გაიხსენებენ, მაგრამ ქალაქის განადგურებულ ცენტრალურ და ისტორიულ უბნებს აღარაფერი ეშველება.


GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ოზურგეთის რაიონის, სოფელ ჯუმათის საშუალო სკოლის სარემონტო სამუშაოები.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **სოფელ ჯუმათის სათემო კავშირთან "სინათლე"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"სინათლე"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ოზურგეთის რაიონი,**
**სოფელ ჯუმათის სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი ზაურ კუპრაძე, სათემო კავშირი "სინათლე"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 4 მაისიდან 10-დან 18 საათამდე** (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 800** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ოზურგეთის რაიონი,**
**სოფელ ჯუმათის სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი ზაურ კუპრაძე, სათემო კავშირი "სინათლე"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 2 ივნისის 14 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **14:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი**
**ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო**
**ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79**
**ფაქსი: (995 32) 23 01 03**



GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ჩოხატაურის რაიონის, სოფელ ზოტის საშუალო სკოლის სამშენებლო სამუშაოები.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **სოფელ ზოტის სათემო კავშირთან "გუბაზოული"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"გუბაზოული"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ჩოხატაურის რაიონი,**
**სოფელ ზოტის გამგეობის შენობა**
**საკონტაქტო პირი უშანგი ართმელაძე, სათემო კავშირი "გუბაზოული"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 5 მაისიდან 10-დან 18 საათამდე** (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 800** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ჩოხატაურის რაიონი,**
**სოფელ ზოტის გამგეობის შენობა**
**საკონტაქტო პირი უშანგი ართმელაძე, სათემო კავშირი "გუბაზოული"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 3 ივნისის 14 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **14:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03


# "ფლუკოლდი" - ამჯერად ფსიქოაქტიური ნივთიერების გარეშე

*ჩვენს აფთიაქებში უხვად დაწყობილ გრიპისა და გაციების საწინააღმდეგო წამლებს შორის, "ფლუკოლდი" წელს ისევ გამოჩნდა. გასულ წლებში ამ პრეპარატზე განსაკუთრებული მოთხოვნილება იყო. წელს მოთხოვნამ იკლო, რადგან "ფლუკოლდის" შემადგენლობიდან ამოიღეს ის ნივთიერება, რომელიც წამლის მოქმედების სწრაფ ეფექტს განაპირობებდა.*

ნანა ქადაგიშვილი

შარშან ზამთარში აფთიაქებში "ფლუკოლდის" გაყიდვა მოულოდნელად შეწყდა და ამ პრეპარატის შემომტან ფირმა "რევერსს" სარეალიზაციოდ გატანილი ათასობით ცალი "ფლუკოლდი" უკანვე მიუბრუნეს. ამის მიზეზი გახდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 22 იანვრის ბრძანება, რომლის თანახმადაც, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ზოგიერთი ფსიქოაქტიური ნივთიერების შემცველი სამკურნალო საშუალებების ნუსხას დაემატა ფსიქოაქტიური მოქმედების სამკურნალო საშუალებები, მათ შორის - "ფენილპროპანოლამინი". "ფლუკოლდი" კი 25 მილიგრამ "ფენილპროპანოლამინს" შეიცავდა.

**"ეს ბრძანება გაუგებარია, რადგან საერთაშორისო კონვენციებით, "ფენილპროპანოლამინი" საშიშ ნივთიერებად არ მიიჩნევა,"** - განმარტავდა მაშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიისა და ნარობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს საერთაშორისო ურთიერთობისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების წარმომადგენელი ზაზა ბეროზაშვილი. თუმცა, ჯანდაცვის სამინისტროში საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ და რუსეთის მაგალითი მოჰყავდათ. **"რუსეთში "ფენილპროპანოლამინი" ძლიერმოქმედ ნივთიერებად არის მიჩნეული და 1999 წლიდან ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების სამართლებრივ ნუსხაშია შეტანილი,"** - აცხადებდნენ ჯანდაცვის სამინისტროს ნარკოტიკების ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლის სამმართველოში.

ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელის გელა ლეჟავას განმარტებით კი, მინისტრის ბრძანების გამოცემის ერთ-ერთი მიზეზი ის გახდა, რომ ნარკომანებს "ფლუკოლდიდან" "ფენილპროპანოლამინი" ამოჰქონდათ და ნარკოტიკებს ამზადებდნენ. **"ნევროლოგიის ინსტიტუტში ასეთი ნივთიერებისგან დამზადებული ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბევრი პაციენტი მოუყვანიათ,"** - აცხადებდა ლეჟავა.

სხვათა შორის, "ფენილპროპანოლამინის" დიდ დოზას გასახდომ საშუალებადაც იყენებდნენ. ეს კი წნევიანი ავადმყოფების ჯანმრთელობისთვის მართლაც საშიში იყო, რადგან დიდი რაოდენობით "ფენილპროპანოლამინი" სისხლძარღვებს აფართოებს. თუმცა, როგორც "რევერსის" ხელმძღვანელობა აცხადებდა, "ფლუკოლდის" შემცველობაში არსებული 25 მილიგრამი "ფენილპროპანოლამინი" ამ მხრივ საშიშროებას არ წარმოადგენდა.

ასე იყო თუ ისე, სამინისტრომ აფთიაქებს "ფლუკოლდის" ურეცეპტოდ გაყიდვა აუკრძალა. "რევერსს" კი ამ პრეპარატის სპეცლიცენზიის გარეშე შემოტანის უფლება აღარ ჰქონდა. არადა, ამ ფირმამ 700 ათასი ცალი "ფლუკოლდი" სწორედ მინისტრის აღნიშნული ბრძანების გამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე შემოიტანა. **"თუკი ასეთი ბრძანების გამოცემას აპირებდნენ, "რევერსს" "ფლუკოლდის" შემოტანის ნებართვა რატომღა მისცეს?"** - უკვირდა ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის მაშინდელ თავმჯდომარეს ზეზვა ლულუნიშვილს.

წელს კი "რევერსმა" სპეცლიცენზიის აღებას (ამ ლიცენზიის მისაღებად ფირმას ბაზა უნდა შეეცვალა და სიგნალიზაცია დაეყენებინა) და "ფლუკოლდის" რეცეპტით გაყიდვას შემადგენლობაშეცვლილი "ფლუკოლდის" ურეცეპტოდ რეალიზაცია არჩია. წლევანდელ ზამთარს აფთიაქებში გამოტანილი "ფლუკოლდი" "ფენილპროპანოლამინს" უკვე აღარ შეიცავს. ამის გამო, როგორც "რევერსის" ხელმძღვანელობა აცხადებს, წამლის მოქმედების ეფექტურობამ იკლო.


# საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახურის განცხადება

**საზოგადოებრივ (სახაზინო) ადვოკატის სამსახურში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების, დამატებითი საკონკურსო პირობების დადგენისა და კონკურსის ჩატარების შესახებ**

ვაცხადებთ კონკურსს საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახურში არსებულ შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახურის თბილისის ტერიტორიულ ბიუროში არსებულ ვაკანტურ თანამდებობათა ჩამონათვალი:

| თანამდებობის დასახელება | საშტატო რიცხოვნება | თანამდებობრივი სარგო (აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში) |
|---|---|---|
| ბიუროს ადმინისტრატორი | 1 | 400 |
| ადვოკატი | 4 | 350 |

საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახურის ზესტაფონის ტერიტორიულ ბიუროში არსებულ ვაკანტურ თანამდებობათა ჩამონათვალი:

| თანამდებობის დასახელება | საშტატო რიცხოვნება | თანამდებობრივი სარგო (აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში) |
|---|---|---|
| ბიუროს ადმინისტრატორი | 1 | 300 |
| ადვოკატი | 3 | 250 |
| კონსულტანტი | 1 | 150 |

**საკონკურსო პირობები**

**ტერიტორიული ბიუროს ადმინისტრატორის თანამდებობის დაკავების მსურველი კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:**

- ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება;
- 2-წლიანი სამუშაო გამოცდილება (სასურველია მართვისა და მენეჯმენტის სფეროში;)
- გუნდური მუშაობის უნარი;
- ორგანიზატორული ჩვევები;
- საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
- სასურველია გავლილი ჰქონდეს ადვოკატთა ტესტირება.

**ტერიტორიული ბიუროს ადვოკატის თანამდებობის დაკავების მსურველი კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:**

- ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება
- სასურველია ჰქონდეს საადვოკატო საქმიანობის გამოცდილება სისხლის სამართლის საქმეებზე;
- ჰქონდეს გუნდური მუშაობის უნარი;
- ფლობდეს საოფისე კომპიუტერულ პროგრამებს;
- **სასურველია** გავლილი ჰქონდეს ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირება სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

**ტერიტორიული ბიუროს კონსულტანტის თანამდებობის დაკავების მსურველი კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:**

- ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება;
- ფლობდეს საოფისე კომპიუტერულ პროგრამებს;
- ჰქონდეს გუნდური მუშაობის უნარი.

**საზოგადოებრივ (სახაზინო) ადვოკატის სამსახურში არსებული ვაკანტური თანამდებობებზე კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა შემდეგი დოკუმენტების წარდგენა:**

- წერილობითი განცხადება სამსახურის უფროსის სახელზე;
- ავტობიოგრაფია (**CV**);
- უმაღლესი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების ასლები;
- სამოტივაციო წერილი (თქვენი აზრით რატომ შეესაბამებით აღნიშნულ თანამდებობას)
- ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების გავლის დამადასტურებელი მოწმობა (თუკი ვაკანსიის საკონკურსო პირობა ამას ითვალისწინებს):
- ორი სარეკომენდაციო წერილი;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ორი ფოტოსურათი.

საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახურში კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად. პირველი ეტაპი ჩატარდება ტესტირების, ხოლო მეორე - გასაუბრების ფორმით.

ტესტირება ტარდება წერილობითი ფორმით. ტესტი შედგება 50 შეკითხვისაგან და 3 კაზუსისგან. თითოეულ კითხვაზე გაცემული სწორი პასუხი შეფასდება 1 ქულით, ხოლო თითოეული კაზუსი - 10 ბალიანი სისტემით.

კონკურსანტის ამოცანაა ტესტის 4 სავარაუდო პასუხიდან აირჩიოს ერთი სწორი პასუხი და სათანადი აღნიშვნა დაიტანოს სწორი პასუხების ფურცელზე.

ტესტის ოთხი პასუხიდან სწორია მხოლოდ ერთი.

ტესტური გამოცდის მინიმალური შეფასება არის 0, ხოლო მაქსიმალური 80 ქულა.

კონკურსის მეორე ეტაპზე (გასაუბრება) გამსვლელ კონკურსანტთა რაოდენობა განისაზღვრება სამსახურში არსებული ვაკანტური თანამდებობების ოთხმაგი ოდენობით.

გასაუბრებაზე მიწვეულ იქნებიან მხოლოდ ის კონკურსანტები, რომლებიც ტესტირების შედეგად დააგროვებენ ქულების მეტ რაოდენობას დადგენილი წესით, მაგრამ არანაკლებ ქულების მაქსიმალური ოდენობის 75%-ისა.

ტესტირების ეტაპის ჩასაბარებლად კონკურსანტს ეძლევა 3 ასტრონომიული საათი.

კომისია ტესტირების შედეგებს გამოაქვეყნებს ტესტირების ჩატარებიდან არა უგვიანეს 5 დღისა.

ტესტირების ჩატარების თარიღი და ადგილი ეცნობებათ კონკურსანტებს 16 მაისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (თბილისი, გრიბოედოვის ქ.19) და ქ. ზესტაფონის გამგეობის (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. 11) შენობაში შესაბამისი განცხადების საჯაროდ გამოცხადების გზით.

თბილისის ტერიტორიულ ბიუროში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე განცხადებები მიიღება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეთა მისაღებში (ქ. თბილისი, გრიბოედოვის 19) **27 აპრილიდან 13 მაისის ჩათვლით**, ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა **14.00-დან 17.00 საათამდე**.

ზესტაფონის ტერიტორიულ ბიუროში არსებულ ვაკანტურ თანამდებობეზე განცხადებები მიიღება ქ. ქუთაისის "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) ოფისში (ნინოშვილის ქ. N3) **27 აპრილიდან 13 მაისის ჩათვლით**, ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა **14:00-დან 17.00 საათამდე**.

# ლუკაშენკოს კრიტიკოსთა რიცხვი იზრდება

*ბელორუსის ხელისუფლება განსხვავებული აზრის გამოხატვის შესაზღუდად სულ უფრო ხშირად მიმართავს მუქარას, დაშინებას, გაუმართლებელ ძალადობასა და მასობრივ დაპატიმრებებს, - ნათქვამია საერთაშორისო უფლებათადამცავი ორგანიზაციის "ამნესტი ინტერნეშნლ"-ის ახალ მოხსენებაში. ალექსანდრ ლუკაშენკოს კრიტიკოსთა რიცხვი იზრდება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე დასავლეთში. მართალია, "ევროპის უკანასკნელი დიქტატორი" (გასულ კვირას ასე მოიხსენია ლუკაშენკო აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა) ბელორუსში "რევოლუციური ვირუსის" გავრცელებას გამორიცხავს, მაგრამ, აშკარაა, მინსკზე "დემოკრატიული ტალღის" დარტყმა თითქმის გარდაუვალი ხდება.*



*ბელორუსში თითქმის შეუძლებელი გახდა მშვიდობიანი პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვა.*

"ამნესტი ინტერნეშნლი" (საერთაშორისო ამნისტია) იმ ორგანიზაციების რიცხვს შეემატა, რომლებიც ბელორუსის პრეზიდენტის ათწლიან მმართველობას მკაცრად აკრიტიკებენ. მაგალითად, გასულ კვირას აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა ლუკაშენკო "ევროპის უკანასკნელ დიქტატორად შერაცხა" და განაცხადა, რომ დროა, ამ ქვეყანაში ვითარება შეიცვალოს.

უფლებათადამცველები ირწმუნებიან, რომ "ბელორუსში თითქმის შეუძლებელი გახდა მშვიდობიანი პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვა". ორგანიზაციის წარმომადგენლები ბელორუსს საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევაში ადანაშაულებენ.

ანგარიშში შეშფოთებაა გამოთქმული იმის თაობაზე, რომ პრეზიდენტმა ლუკაშენკომ ოპოზიციის დევნა შარშან ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ კიდევ უფრო გააძლიერა. შეგახსენებთ, გასული წლის შემოდგომაზე ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად ბელორუსის მმართველმა პრეზიდენტის სავარძლის მესამე ვადით დაკავების უფლება მოიპოვა.

თუმცა, რჩება შთაბეჭდილება, რომ ბელორუსის ხელისუფალს საერთაშორისო აზრი ნაკლებად აინტერესებს. ამის დასტურად გუშინდელი დღეც გამოდგება.

ორგანიზაციის მიერ ანგარიშის გამოქვეყნება მინსკში გუშინ გამართული საპროტესტო აქციის მილიციის მიერ კიდევ ერთხელ დარბევას დაემთხვა. ჩერნობილის კატასტროფის მეცხრამეტე წლისთავზე მინსკის ცენტრალურ მოედანზე გამოსული ოპოზიცია ხელისუფლებამ დაარბია, ხოლო ორგანიზატორები დააპატიმრა.

წინა დარბევების გამოცდილების გათვალისწინებით გუშინდელ აქციაზე ოპოზიციის წარმოადგენელბს ხელისუფლებისთვის მხოლოდ პეტიციის გადაცემა ჰქონდათ განზრახული. "ბელორუსის მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ, თუ რას აკეთებს ხელისუფლება ჩერნობილის კატასტროფით გამოწვეული პრობლემების გადასაწყვეტად," - ნათქვამი იყო პეტიციაში. თუმცა, პასუხის ნაცვლად, მილიციამ 15 დემონსტრანტი დააპატიმრა. საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, რომ დაკავებულთა შორის უკრაინის მოქალაქეებიც არიან. აღსანიშნავია, რომ სააგენტო "როიტერს"-ის ცნობით, აქციამდე ცოტა ხნით ადრე ბელორუსმა სამართალდამცველებმა რუსეთის "მემარჯვენე ძალთა გაერთიანების" 10 აქტივისტიც დააკავეს.

დარბევები და ოპოზიციონერთა სისხლის სამართლებრივი დევნა რომ ლუკაშენკოს რეჟიმის ერთ-ერთ მახასიათებლად გადაიქცა, ეჭვს აღარ იწვევს.

მაგალითად, უკვე ერთი წელი ხდება, რაც ლუკაშენკოს ერთ-ერთი ძლიერი ოპონენტი მიხაილ მარინიჩი ციხეში იმყოფება. ოპოზიციონერის დაპატიმრების კანონიერება ერთი შეხედვითაც ეჭვს იწვევს. საქმე ისაა, რომ მარინიჩს ბრალად ედება ამერიკის საელჩოს მიერ მისი ორგანიზაციისთვის ("საქმიანი ინიციატივა") გადაცემული კომპიუტერების მითვისება, მაშინ, როცა თავად ამერიკის საელჩოს მარინიჩთან არანაირი პრეტენზიები არ ჰქონია.

დასავლეთის ყურადღება ბელორუსისადმი კიდევ უფრო გამძაფრდა მეზობელ უკრაინაში მომხდარი "ნარინჯისფერი რევოლუციის` შემდეგ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ოფიციალური მინსკი არაფრად აგდებს დასავლეთის აზრს და, პირიქით, "დემოკრატთა" კრიტიკას საშინაო საქმეებში ჩარევად აფასებს.

# უშეცდომო პირველი საცდელი ფრენა

## ტულუზის აეროპორტიდან უდიდესი სამგზავრო თვითმფრინავი ა-380 აფრინდა

ხათუნა ბაბიევი



*აერობუს ა-380-ის პირველი საცდელი ფრენა წარმატებით დასრულდა.*

მსოფლიოში უდიდესმა სამგზავრო თვითმფრინავმა ა-380 პირველი საცდელი ფრენა გუშინ წარმატებით შეასრულა. აერობუსის გამოცდა სამხრეთ საფრანგეთში, ტულუზის ამწყობი საამქროს მახლობლად, 50 ათასზე მეტი ადამიანის თანდასწრებით ჩატარდა და პირდაპირი ტელეეთერით გადაიცა კიდეც. ორსართულიან ავიალაინერს 800-მდე ადამიანის გადაყვანა შეუძლია. დაშვების გარეშე მისი ფრენის სიშორე 15 ათასი კილომეტრია. მისი შექმნისთვის ევროპელ ავიამშენებლებს 10 წელზე მეტი და 12 მლრდ ევრო დასჭირდათ. გეგმის თანახმად, თვითმფრინავს ატლანტის ოკეანის თავზე უნდა დაერტყა წრე და ტულუზის აეროპორტში დაბრუნებულიყო. მოვლენები სცენარის მიხედვით განვითარდა და 4 საათიანი ფრენის შემდეგ თეთრი გიგანტი 40 000 მაყურებლის აპლოდისმენტების თანხლებით დაეშვა აეროპორტში.

"პირველი ცდა წარმატებული აღმოჩნდა, თანაც ფრენის ყოველი წუთი მეტად სასიამოვნო იყო ჩვენთვის. რასაკვირველია, ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი, მაგრამ უკვე შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ ამ შესანიშნავ მანქანას უზარმაზარი პოტენციალი აქვს," - განაცხადა კლოდ ლელემ, აერობუსის 6 პილოტიდან ერთ-ერთმა.

ცხადია, აერობუს ა-380-ის ექსპლუატაციაში გადაცემისთვის ერთი საცდელი ფრენა საკმარისი არაა. მეორე გამოცდა, რომელიც ერთი წლის შემდეგ იგეგმება, გაცილებით სერიოზული იქნება. აერობუსის სრულ ეფექტურობაში დარწმუნების შემდეგ ევროპელი ავიამშენებლები ა-380-ის მოდელს კომპანია "Singapore Airlines"-ისთვისაც დაამზადებენ. დღესდღეობით კი წინასწარი შეთანხმებები შეკვეთებსა და მიწოდებაზე 15 ავიაკომპანიასთან 154 ცალ ა-380 ტიპის აერობუსზე უკვე არსებობს.

ახალ სამგზავრო თვითმფრინავს საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა "ცის კრუიზის იახტა" უწოდა და აღნიშნა, რომ ა-380-ის აფრენა ევროპის სახელმწიფოთა სამეწარმეო თანამშრომლობის უდიდესი წარმატებაა. შეიძლება ითქვას, რომ აერობუსის წარმატებულმა გამოცდამ უკანასკნელ პერიოდამდე მსოფლიოში ყველაზე დიდ ავიალაინერად ცნობილი "ბოინგ-747"-ის ბატონობის ხანა დაასრულა.

ახალი სამგზავრო თვითმფრინავის კომერციულ ხაზზე გამოჩენამდე კი ავიაგადაზიდვების სფეროს ექსპერტები ზემოაღნიშნული აერობუსის სტრატეგიის წარმატებულობაზე მსჯელობენ. ევროპული კონცერნის "აერობუს"-ის ხელმძღვანელობა ძვირადღირებული პროექტის აუცილებლობას მსოფლიოს მსხვილი ქალაქების ავიარეისებზე ბილეთის მაქსიმალურად დაბალ ფასზე დიდი მოთხოვნით ხსნის. რაც შეეხება "აერობუს"-ის კონკურენტებს, კერძოდ ამერიკულ კორპორაციას "ბოინგს" - მიიჩნევენ, რომ გიგანტური თვითმფრინავების ბილეთებზე მოთხოვნა არ იქნება ისეთი მაღალი, როგორც გაცილებით მობილურ ლაინერებზე. მათი აზრით, აეროპორტები გიგანტური თვითმფრინავების გამო ზედმეტი პრობლემების გაჩენას მოერიდებიან.

ასეა თუ ისე, 2 კომპანიის დავა ჯერჯერობით მხოლოდ პროგნოზებს ემყარება. ფაქტია, რომ აერობუს ა-380-ის გამოჩენამ აშშ-სა და ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოთა მთავრობებს საერთაშორისო სავაჭრო კანონების დარღვევაში ერთმანეთის დადანაშაულების საფუძველი მისცა. საერთაშორისო სავაჭრო კანონები კომერციულ პროექტებში საბიუჯეტო ინვესტიციებს მაქსიმალურად ზღუდავს. ვაშინგტონი უკვე მოითხოვს, 2010 წლისთვის ა-350 ტიპის ავიალაინერის შექმნაზე მაინც არ დაიხარჯოს ევროპული სახელმწიფოების სამთავრობო სუბსიდიები.

# ყირგიზეთის ხელისუფლებაში კრიზისის ნიშნებია

ყირგიზეთის ახალი ხელისუფლების დიდი მცდელობის მიუხედავად, აკაევის განდევნის შემდეგ ქვეყანაში წესრიგი ვერა და ვერ დამყარდა. მართალია, სათავეში მოსულმა ოპოზიციურმა ძალებმა რადიკალური ღონისძიებების საშუალებით მოახერხეს არეულობისას დაწყებული ფართომასშტაბიანი მოროდიორობის აღკვეთა, მაგრამ ცხადია, უკიდერუს სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის ყველა ფენის დასაკმაყოფილებლად კიდევ ძალიან ბევრი აქვთ გასაკეთებელი. საქმეს ისიც ართულებს, რომ "რევოლუციის" შედეგებით იმედგაცრუებულთა რაოდენობა დღითი-დღე იზრდება.

გუშინ ბიშკეკში მომიტინგეებმა უზენაესი სასამართლოს შენობა დაიკავეს. ისინი სასამართლო კოლეგიის გადადგომას და ექვს საარჩევნო ოლქში საპარლამენტო არჩევნებისთვის განმეორებითი კენჭისყრის ჩატარებას მოითხოვდნენ. მოპიკეტეების აზრით, ყირგიზეთის მოქმედ პარლამენტში კვლავაც აკაევის გუნდის წარმომადგენლები არიან თავშეფარებულნი.

აქციის მონაწილეები მხარდაჭერას უცხადებენ დეპუტატობის კანდიდატებს, რომლებსაც, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, მიმდინარე წლის თებერვალ-მარტში გამართულ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობაზე უარი ეთქვათ.

მასობრივი მიტინგი გუშინ ყირგიზეთის მთავრობის სახლთანაც გაგრძელდა. მისი მონაწილენი ქალაქ კარაბალტის იმ ოთხი მკვიდრის დაპატიმრებას აპროტესტებენ, რომლებიც აკრძალულ ისლამისტურ ორგანიზაციასთან "ჰიზბ უტ თაჰრირთან" კავშირში არიან ეჭვმიტანილი. დაკავებულთა ნათესავების განცხადებით, თუ სპეცსამსახურების ხელმძღვანელები არ გადადგებიან, ისინი მთავრობის სახლის შტურმით აღებას შეეცდებიან.

დაძაბულ სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს "რევოლუციურ" ლიდერებს შორის ბოლო დროს წარმოჩენილი უთანხმოებაც. რამდენიმე დღის წინ ყოფილი ოპოზიციის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა ფელიქს კულოვმა 10 ივლისს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის სურვილი გამოთქვა - მიუხედავად გამარჯვებული ოპოზიციის თავდაპირველი განცხადებისა ყველასათვის მისაღები ერთიანი კანდიდატის წამოყენების თაობაზე.

როგორც ჩანს, საკმაოდ არაერთგვაროვან გაერთიანებაში (ხელოვნურად შექმნილი კავშირი მხოლოდ და მხოლოდ აკაევის წინააღმდეგ საბრძოლველად თუ იყო გამოსადეგი) შეთანხმების მიღწევა ძალან რთული არის. მით უმეტეს იმ დროს, როცა ყველა ლიდერის უკან საკმაოდ გავლენიანი (ხშირ შემთხვევაში ერთმანეთთან არცთუ კარგ ურთიერთობაში მყოფი) ძალები დგანან.

საპრეზიდენტო მარათონში მონაწილეობის გეგმებზე გუშინ პრეზიდენტის მოვალეობის ამჟამინდელმა შემსრულებელმა კურმანბეკ ბაკიევმაც ილაპარაკა. ასე რომ, აშკარაა, ყირგიზეთის "დემოკრატიულ" მონაპოვარს წინ დიდი გამოცდა ელის. საინტერესოა, რამდენად გაამართლებს შუა აზიის ჯერ კიდევ კლანურ საზოგადოებაში "დემოკრატიული ექსპერიმენტი".

# პენტაგონი ერაყელი ამბოხებულების ძლიერ სულისკვეთებაზე ალაპარაკდა

ერთწლიანი დაუღალავი ბრძოლის შემდეგ ერაყელ ამბოხებულთა შემართება და საომარი მზადყოფნა უცვლელია. აშშ-ს შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის ხელმძღვანელის, გენერალ რიჩარდ მაიერსის თქმით, კოალიციურ ძალებსა და ერაყის არმიაზე აჯანყებულთა თავდასხმების ამჟამინდელი მაჩვენებლები 2004 წლის მონაცემების თანაბარია. თავდასხმების საშუალო რიცხვი დღეში დაახლოებით 50-60-ს შეადგენს.

**"აჯანყებულთა შესაძლებლობები ამჟამად დაახლოებით იმავე დონეზეა, როგორიც ერთი წლის წინ იყო,"** - განაცხადა მაიერსმა. მას არ დაუკონკრეტებია, აჯანყებულთა აქტიურობის ზრდა კოორდინირებული კამპანიის შედეგად მიაჩნია თუ არა. ერაყში არჩევნების ჩატარების შემდეგ ოფიციალური ვაშინგტონი სულ უფრო ხშირად აკეთებს აქცენტს ერაყის ნაციონალურ ხელისუფლებაზე. აშშ მიიჩნევს, რომ მთლიანად ერაყის ხელისუფლების ნებაზეა დამოკიდებულ ქვეყანაში ტერორიზმთან ბრძოლის შედეგების ავკარგიანობა. როგორც ჩანს, პენტაგონი სულ უფრო მეტი პესიმიზმით ეკიდება კოალიციური ძალების ყოვლისშემძლეობას. ამერიკელთა ენთუზიაზმის კლებაზე თავდაცვის მინისტრის დონალდ რამსფელდის სიტყვებიც მეტყველებს. **"თავად ერაყელებმა უნდა დაამარცხონ და ისინი ამას არა მარტო სამხედრო მეთოდებით გააკეთებენ, არამედ პოლიტიკური წარმატებითაც, რადგან დაუმტკიცებენ ერაყელებს, რომ ისინი თავად წყვეტენ საკუთარი ქვეყნის ბედს,"** - აღნიშნავს დონალდ რამსფელდი.

არასტაბილური ვითარება ერაყში კი კვლავ გრძელდება. გამონაკლისი არც გასული კვირა ყოფილა. კამიკაძე-ტერორისტების მიერ განხორციელებული აფეთქებების სერიის შემდეგად ათეულობით ადამიანი დაიღუპა, ბაღდადის მახლობლად კი აჯანყებულებმა სამოქალაქო ვერტმფრენის ჩამოგდებაც შეძლეს.

*24 საათი*

# ნიკარაგუაში არეულობაა

საინფორმაციო სააგენტო "იტარ-ტას"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ნიკარაგუის არმია საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაშია მოყვანილი. საბრძოლო მზადყოფნის ბრძანება ქვეყნის პრეზიდენტმა ენრიკე ბოლანოსმა ნიკარაგუაში მასობრივი არეულობების გამო გასცა. "ნიკარაგუის თავდაცვისა და არმიის მინისტრს მივეცი განკარგულება, მოამზადოს ჯარი ქვეყანაში სიმშვიდისა და წესრიგის უზრუნველყოფისათვის. მოვუწოდე პოლიციას, გამოიყენოს ყველა აუცილებელი საშუალება უსაფრთხოების, თავისუფლად გადაადგილებისა და სახელმწიფოს ტერიტორიაზე წესრიგის გარანტირებისათვის," - განაცხადა ენრიკე ბოლანოსმა მოსახლეობისადმი ტელე და რადიო ეთერით მიმართვისას. მანაგუას ქუჩებში მრავალათასიანი აქციები უკვე 2 კვირაა, რაც არ წყდება. არსებობს სერიოზული საფრთხე, დემონსტრაციები დედაქალაქის ფარგლებსაც გასცდეს. აქციის მონაწილეები სურსათ-სანოვაგესა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობაზე ფასების ზრდას აპროტესტებენ.

*იტარ-ტასი*


## პროფესიული განვითარების შესაძლებლობები

### BP საქართველო

bp

BP მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ენერგოკომპანია, საქართველოში უმსხვილეს ინვესტორთა შორისაა წარმოდგენილი. 1999 წლიდან ჩვენ ვახორციელებთ ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ექსპლუატაციას და მალე დავასრულებთ სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის მშენებლობას. ეს არის ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტები, რომლებიც მიმართულია საქართველოს, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყნის როლის გაფართოებისაკენ აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგოდერეფანში. გარდა ამისა, აღნიშნული პროექტები უზრუნველყოფს კასპიის ენერგორესურსების წარმატებულ ტრანსპორტირებას მსოფლიო ბაზარზე და რეგიონში ენერგომომარაგების ალტერნატიულ წყაროს წარმოადგენს.

BP-მ აიღო ვალდებულება წარმატებით განახორციელოს ამ მნიშვნელოვანი პროექტების ექსპლუატაცია და ჩამოაყალიბოს ორმხრივად ხელსაყრელი ურთიერთობა საქართველოსა და მის ხალხთან. ამ ამოცანის შესასრულებლად ჩვენ გვესაჭიროება განსაკუთრებით მაღალკვალიფიციური ადგილობრივი მენეჯმენტი და კადრები. ამიტომ ვაცხადებთ კონკურსს გამორჩეული შესაძლებლობების მქონე მცირერიცხოვანი კანდიდატების სამუშაოზე მისაღებად, რომლებიც პერსპექტივაში დაიკავებენ ხელმძღვანელ თანამდებობებს ჩვენს ორგანიზაციაში.

წარმატებულ კანდიდატებს უნდა გააჩნდეთ განათლების შესაბამისი დონე და დოკუმენტურად დადასტურებული სამსახურებრივი მიღწევები, იქნება ეს კერძო, სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორებში.

BP მსურველებს სთავაზობს პროფესიული განვითარების ჩამოყალიბებულ პროგრამას საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, რომელსაც საჭიროებისამებრ ახლავს ფორმალური ტრენინგების კურსი. გამარჯვებულ კანდიდატებს BP წაუყენებს უმაღლეს მოთხოვნებს შესრულებული სამუშაოს ხარისხის მხრივ, მაგრამ სანაცვლოდ სთავაზობს ანაზღაურების მიმზიდველ პაკეტს და წამყვან საერთაშორისო ბიზნეს ორგანიზაციაში სამსახურებრივი წინსვლის ბრწყინვალე შესაძლებლობებს.

სავარაუდო ფუნქციები და პასუხისმგებლობები:

გამოცდილების, კვალიფიკაციის და პროფესიული განვითარების მიზნების მიხედვით, წარმატებული კანდიდატები დაიკავებენ თანამდებობებს სხვადასხვა დეპარტამენტში, როგორიცაა ექსპლუატაცია; ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და გარემოს დაცვა (HSE); კომუნიკაციის და საგარეო საქმეთა; ბიზნეს-სერვისები და უშიშროება.

**საქმიანობის სახეებს მიეკუთვნება:**

- საქაჩ სადგურზე ან თბილისში განთავსებული ექსპლუატაციის ჯგუფთან მუშაობა
- ურთიერთობის წარმართვა სამთავრობო უწყებებთან, საზოგადოებასთამ, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მას-მედიასთან.
- BP-ს მუშაობის და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა ტექნიკური, იურიდიული, კომერციული ან HSE სფეროებში; ამ სტანდარტების სიღრმისეული ცოდნის განვითარება .
- პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების ანალიზი და ანგარიშგება.
- შესყიდვების, კონტრაქტების, ლოგისტიკის ან ბიზნეს-სერვისების სხვა დამხმარე სფეროების მართვა.

შესრულებული სამუშაო სისტემატურად შემოწმდება და მოხდება მისი შედარება ორგანიზაციაში მომუშავე მაღალი პოტენციალის მქონე თანამშრომლების მიღწევებთან. გარდა ამისა მოხდება სამსახურებრივი წინსვლის მიზნების პერიოდული მოდიფიცირება კანდიდატების გრძელვადიანი პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით.

**ძირითადი უნარები და კვალიფიკაცია**

- ინიციატივიანი, შემოქმედებითი და თვითჩამოყალიბების გამოკვეთილი უნარი;
- მონაცემთა გაანალიზების, პრობლემებისადმი შემოქმედებითი მიდგომების მოძებნის და სალი გადაწყვეტილებების მიღების უნარი;
- კომუნიკაციის და პიროვნებათაშორისი ურთიერთობის კარგად განვითარებული უნარი;
- ფინანსური და ადამიანური რესურსების მართვის დადასტურებული უნარი, რთული ამოცანების დასახულ ვადებში შესრულების უნარი;
- საერთო მიზნის მისაღწევად გუნდური მუშაობის გამოცდილება;
- ხელმძღვანელის თვისებების გამომჟღავნების დადასტურებული უნარი.

**პროფესიული გამოცდილება**

წარმატებულ კანდიდატს სასურველია გააჩნდეს ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება ბიზნესისი სფეროში, სამთავრობო უწყებებში, დიპლომატიურ სამსახურში, მსხვილ დონორ ორგანიზაციაში ან არასამთავრობო ორგანიზაციაში.

*აუცილებელია:*

- მინიმუმ ხუთი წლის მუშაობის გამოცდილება არჩეულ სფეროში სწრაფი სამსახურებრივი წინსვლის დემონსტრირებით.

*სასურველია:*

- საერთაშორისო ბიზნესში მუშაობის ან მასთან ინტენსიური კონტაქტის გამოცდილება.

**განათლება**

- უმაღლესი განათლების დიპლომი ან სამეცნიერო ხარისხი ბიზნესის, საერთაშორისო ურთიერთობების, იურიდულ, სამშენებლო საინჟინრო ან მანქანათმშენებლობის, ან სხვა შესაფერის დარგში. სასურველია საზღვარგარეთ სწავლის გამოცდილება.
- აუცილებელია ქართული, რუსული და ინგლისური ენების თავისუფლად ფლობა,.

*განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 2005 წლის 10 მაისი.*

**როგორ მოგვმართოთ/დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:**

თუ თვლით, რომ თქვენ გაქვთ ყველა აუცილებელი უნარ-ჩვევები და გამოცდილება აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად, გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი ჩV-ის ასლი და შეავსოთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე არსებული განცხადების ფორმა. განაცხადების მიღების ბოლო დღეა სამშაბათი 10 მაისი, 2005 წელი.

**ყველა მიღებული განაცხადი დადასტურდება, მაგრამ ეს იმის ნიშანი არ იქნება, რომ კანდიდატი მიწვეულია ინტერვიუზე ან მიღებულია სამუშაოზე.**

**კადრების დეპარტამენტი**
**ბპ საქართველო**
**საბურთალოს ქუჩა 38**
**თბილისი, საქართველო**

# საქართველოს რკინიგზას ვალები ჩამოეწერა

20-22 აპრილის ჩათვლით, მოსკოვში შპს "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორის დავით ონოფრიშვილისა და ღია სააქციო საზოგადოება "რუსეთის რკინიგზების" პირველი ვიცე-პრეზიდენტის ხასიან ზიაბიროვის შეხვედრა შედგა. მოსკოვში გამართული მოლაპარაკებების შედეგად, რუსეთის რკინიგზის მხარემ შპს "საქართველოს რკინიგზას" 1996-2004 წლების მანძილზე რუსული ვაგონების საექსპლოატაციოდ მომზადების შედეგად წარმოქმნილი დავალიანება ჩამოაწერა, რაც წელიწადში 6-7 მილიონი შვეიცარული ფრანკის დარიცხვას გულისხმობდა. მთლიანობაში, შპს "საქართველოს რკინიგზას" 1.411.615 შვეიცარული ფრანკის ოდენობის დავალიანება ჩამოეწერა. რუსეთის რკინიგზის მიმართ შპს "საქართველოს რკინიგზის" არსებული დავალიანების მაჩვენებელი ბოლო 15 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალია.

*მედიანიუსი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ქუთაისელმა ინკასატორმა მოსახლეობისგან აკრეფილი თანხები მიითვისა. ფინანსური პოლიციის იმერეთის ოპერატიულმა სამმართველომ "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ქუთაისის მომსახურების ცენტრის ინკასატორის დათუნა ალიხანაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ინკასატორმა მოსახლეობიდან აკრეფილი ელექტროენერგიის ღირებულების გადახდილი თანხები მიითვისა. თანხის ოდენობა ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის. **ინტერ-პრესი**


# განცხადება

**სს "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" სურს დენის ტრანსფორმატორების შესყიდვა**
**ონიაშვილის ქ. N6, 0160. თბილისი**

შესყიდვის ობიექტებია:

| | მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება | რაოდენობა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|
| 1 | ტრანსფორმატორი 2000/5 | 18 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| 2 | ტრანსფორმატორი 1500/5 | 102 | |
| 3 | ტრანსფორმატორი 1000/5 | 273 | |
| 4 | ტრანსფორმატორი 600/5 | 300 | |
| 5 | ტრანსფორმატორი 400/5 | 300 | |
| 6 | ტრანსფორმატორი 300/5 | 420 | |

**დაინტერესებულმა პირებმა კომერციული წინადადებები უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 4 მაისის 16:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: თბილისი (0160). ონიაშვილის ქ. N6, ტელ: 387199, 387499**
**დამატებითი ინიფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - გია ჩალათაშვილს, ტელ: 38 71 99, (შიდა - 229) ონიაშვილის ქ. N6**


# აგრარული კომიტეტი სოფლის მეურნეობის სამინისტროს აკრიტიკებს

*პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტი სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტის დაგეგმარების პოლიტიკას უწუნებს.*

როგორც გუშინ გამართულ სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვალერი გელბახიანმა განაცხადა, სოფლის მეურნეობის სამინისტრო მართვისა და კონტროლის მეთოდებს არ ცვლის. კერძოდ, ფინანსური უზრუნველყოფის მიუხედავად, ყოველ წელს ბიუჯეტის დაგეგმარება ერთნაირად ხდება. **"ასეთი ვითარება ყოველთვის გაგრძელდება, თუ კომიტეტი და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ერთმანეთთან არ ითანამშრომლებენ. ბიუჯეტი, დარგში არსებული პრობლემების გაუთვალისწინებლად, არასწორად არის დაგეგმილი. კომიტეტში არსებობს სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომლის წარმომადგენლებიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის სხდომებს უნდა დაესწრონ, რათა ინფორმაციული უზრუნველყოფა მაინც არსებობდეს,"** - განაცხადა გელბახიანმა. მისივე თქმით, მომავალი 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვა ამჟამად უკვე მიმდინარეობს. ამიტომ, კომიტეტმა, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, 2005 წლის 1 ოქტომბრამდე უნდა განსაზღვროს დარგში არსებული ის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც 2006 წლის ბიუჯეტში დაფინანსდება. **"თუ ეს არ მოხდა, ყოველწლიურად ანალოგიური სიტუაცია გვექნება, როდესაც ხარჯვის პარამეტრი შესრულებულია, ხოლო ის სამუშაოები, რომლებზეც აღნიშნული თანხები დაიხარჯა, არ არის დასრულებული,"** - განაცხადა გელბახიანმა.

აგრარულ საკითხთა კომიტეტმა დღეს, 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიშიც მოისმინა. გელბახიანის თქმით, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით მთავრობის ანგარიშის პარალელურად, პარლამენტი კონტროლის პალატის მიერ მომზადებულ დასკვნასაც უნდა ეცნობოდეს.

გელბახიანის ინფორმაციით, პარლამენტში ცვლილებები მზადდება, რომლის მიხედვითაც, ბიუჯეტის შესახებ ანგარიშს პარლამენტი კონტროლის პალატის დასკვნის ანგარიშის პარალელურად განიხილავს.

**"ამჟამად არსებული კანონმდებლობის მიხედვით, პარლამენტი ჯერ მთავრობის მიერ მომზადებულ ანგარიშს განიხილავს, ხოლო შემდეგ - კონტროლის პალატის მიერ ანგარიშთან დაკავშირებით მომზადებულ მოხსენებას. ამ შემთხვევაში მთავრობასთან ოპონირება ჭირს, რადგან ჩვენ ციფრებში ეჭვი არ შეიძლება შევიტანოთ,"** - განაცხადა გელბახიანმა.

ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მთავრობა ვალდებულია, პარლამენტს წინა წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარუდგინოს, ხოლო კონტროლის პალატა მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით მოხსენებას პარლამენტს 1 ივნისამდე წარუდგენს.

*24 საათი*

# ჯულელი ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სააგენტოს გაუქმებას ითხოვს

*გუშინ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი ნავთობგადამამუშავებელი საწარმოების გაჩერების მიზეზებით დაინტერესდა.*

გუშინ, მორიგ საკომიტეტო მოსმენაზე სწორედ აღნიშნული საკითხი განიხილეს. როგორც ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სააგენტოს თავმჯდომარემ ანდრო კოტეტიშვილმა განაცხადა, საქართველოში არსებული ნავთობგადამამუშავებელი საწარმოები ლიცენზიის გაცემისთვის საჭირო პირობებს ვერ აკმაყოფილებს.

კომიტეტის სხდომაზე მოწვეული, ნავთობგადამამუშავებელი ბიზნესით დაკავებული მეწარმეები კოტეტიშვილის ამ გადაწყვეტილებას აპროტესტებენ და აცხადებენ, რომ სააგენტო მათ განაცხადებს არც კი განიხილავს. **"ექვსი თვეა, სააგენტოში საბუთები შეტანილი გვაქვს, მაგრამ საქმიანობის ნებართვას არ გვაძლევენ. მიზეზები იმის თაობაზე, რომ რეგულირების საფასურის დავალიანება გვაქვს, საწარმოები კი სტანდარტებს არ აკმაყოფილებს, ჩვენთვის მიუღებელია,"** - აცხადებენ ბიზნესმენები.

ანდრო კოტეტიშვილის თქმით, მეწარმეებმა სააგენტოს უშიშროების საბჭოში უჩივლეს, რის გამოც ფუნქციონირება შეწყვიტა სააგენტოში შექმნილმა ერთობლივმა კომისიამ, რომელსაც საწარმოების ტექნიკური მდგომარეობა უნდა შეესწავლა. **"ამის შემდეგ ფინანსურმა პოლიციამ სააგენტოში სალიცენზიო დოკუმენტაცია დალუქა,"** - განაცხადა კოტეტიშვილმა.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი მიიჩნევს, რომ დათმობაზე უნდა წავიდნენ როგორც მეწარმეები, ისე სახელმწიფოს წარმომადგენლები, რადგან აღნიშნულ საკითხში პრობლემები ორმხრივია. **"სააგენტოს ლიცენზიების გაცემას ვერ ვუბრძანებთ, რადგან იგი დამოუკიდებელი ორგანოა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ერთ საკომიტეტო მოსმენას კიდევ მოვაწყობთ და ამ პროცესს აუცილებლად დავაკვირდებით,"** - განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გია ნაცვლიშვილმა.

გუშინდელ სხდომაზე საპარლამენტო ფრაქცია "მაჟორიტარების" თავმჯდომარე ბესო ჯულელმა კი ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სააგენტოს გაუქმება მოითხოვა. როგორც ჯულელმა განაცხადა, აღნიშნული სააგენტო გასაუქმებელია, რადგან ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციას - ნავთობის გადამამუშავებელი საწარმოების ლიცენზიების გაცემის შესახებ. **"სააგენტოს ხელმძღვანელი ასრულებს მითითებას და ნავთობის გადამამუშავებელ ქარხნებს ნებართვას არ აძლევს. ამიტომ, ეს საწარმოები ექვსი თვეა გაჩერებულია,"** - განაცხადა ჯულელმა. თუმცა, პარლამენტარი არ აკონკრეტებს, ვისგან შეიძლება მიეღო მითითება ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სააგენტოს თავმჯდომარეს ანდრო კოტეტიშვილს.

ჯულელის თქმით, სააგენტოს ქმედება ხელისუფლების წინააღმდეგ არის მიმართული, რადგან საქმე ქართული წარმოების გაჩერებას ეხება. **"აღნიშნული საკითხი სერიოზულად უნდა შევისწავლოთ და შესაბამისი მკაცრი გადაწყვეტილებებიც მივიღოთ,"** - განაცხადა ჯულელმა.

*24 საათი*

# ტელეკომუნიკაციების და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოფენა საქართველოში

*ტელეკომუნიკაციების და საინფორმაციო ტექნოლოგიების მეორე საერთაშორისო გამოფენა, გუშინ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" ჩვეული პომპეზურობით გაიხსნა. გამოფენა, რომელიც პირველისგან ბევრი რამით განსხვავდება, 29 აპრილამდე გაგრძელდება.*

პირველი, რითაც ეს გამოფენა შარშანდელისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, მონაწილე კომპანიების რაოდენობაა. მეორე - წლევანდელი გამოფენა ბევრად უკეთესად არის ორგანიზებული და მონაწილე კომპანიებიც უფრო უკეთესად არიან წარმოდგენილნი.

ტელეკომუნიკაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მოღვაწე 28 კომპანია მსოფლიოს 11 ქვეყნიდან მომდევნო ორი დღის განმავლობაში დამთვალიერებლებს უახლოესი მიღწევებისა და წარმატებების შესახებ მოუთხრობს.

როგორც გამოფენაში მონაწილე კომპანიები ამბობენ, ასეთი ტიპის ღონისძიებები მათთვის, საკუთარი თავისა და შესაძლებლობების წარმოსაჩენად, საუკეთესო საშუალებაა. **"უკვე მეორე წელია, რაც "ჯეოსელი" ამ გამოფენაში მონაწილეობას ღებულობს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი ტიპის გამოფენებში მონაწილეობა მომხმარებელთან უშუალო კონტაქტის დასამყარებლად საუკეთესო საშუალებაა,"** - აღნიშნა ჩვენთან საუბრის დროს "ჯეოსელის" გენერალურმა დირექტორმა ოსმან თურანმა ტელეკომუნიკაციებისა და საინფორმციო ტექნოლოგიების მეორე საერთაშორისო გამოფენაზე, ძირითადად, წარმოდგენილია კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფისა და ავტომატიზაციის სისტემები, საკაბელო და უმავთულო ტექნოლოგიები, ასევე ტელემაუწყებლობის ტექნოლოგიები, საბანკო აღჭურვილობა, საოფისე მოწყობილობები, დაცვითი და უსაფრთხოების სისტემები.

ცნობისათვის, ხსენებულ გამოფენაში მონაწილეობენ კომპანია "ჯეოსელი", "დელტა-კომი", "ელექტროკავშირი", "ესაბი", ასევე თურქული, გერმანული, ამერიკული, აზერბაიჯანული, ფრანგული, არაბული, იაპონური და რუსული კომპანიები.

*24 საათი*

# ქართული ღვინის ფრანგული საიდუმლო

## "GWS"-ის ახალი გენერალური დირექტორი სიურპრიზებს გვპირდება

*"ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია - GWS" თავისი მოღვაწეობის მეორე ათწლეულს ახალი მმართველით და ახალი გეგმებით იწყებს. გუშინ, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" "GWS"-ის დამფუძნებელმა ლევან გაჩეჩილაძემ საზოგადოებას კომპანიის ახალი გენერალური დირექტორი სედრიკ რეტაიო წარუდგინა. ახალ გენერალურ დირექტორთან ერთად, "ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია" ახალი ბაზრების დაპყრობისთვის და ქვეყანაში ფალსიფიკაციის დასამარცხებლად იბრძოლებს.*







"GWS"-ის დამფუძნებელმა ლევან გაჩეჩილაძემ საზოგადოებას კომპანიის ახალი გენერალური დირექტორი სედრიკ რეტაიო წარუდგინა.

1993 წელს დაფუძნებულმა "ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია GWS"-მა თავისი მოღვაწეობის განმავლობაში მენეჯმენტისა და მარკეტინგის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შეძლო, ქართული ტრადიციული მეღვინეობის ღირსეული მემკვიდრე გამხდარიყო და ქართულ მეღვინეობაში ლიდერის პოზიცია დაემკვიდრებინა. სწორედ არჩეული პოლიტიკის ერთგვარ გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ კომპანიაში ახალი უცხოელი გენერალური დირექტორის მოწვევაც.

"ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია GWS"-ის ახალი გენერალური დირექტორი, ეროვნებით ფრანგი სედრიკ რეტაიო ქართული კომპანიის პარტნიორის "prenod Ricard"-ის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ახალგაზრდა ლიდერია. იგი ამ ჯგუფში 5 წლის განმავლობაში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია კუბაში ბრენდ "Havana club"-ის კომერციული და მარკეტინგის დირექტორის თანამდებობაზე. სედრიკ რეტაიოს ორი უმაღლესი განათლება აქვს მიღებული ტულუზის "Sup de Co"-ში ფართო მოხმარების პროდუქციის მენეჯერის სპეციალობით და მექსიკის "მონტერეის უმაღლესი ტექნოლოგიების ინსტიტუტში" მარკეტინგისა და გაყიდვების სპეციალობით. სწავლის დასრულების შემდეგ რეტაიომ სტაჟირება გაიარა "Soho"-ში საერთაშორისო პროდუქციის განყოფილების უფროსი ასისტენტის რანგში. 2000-2001 წლებში კი, 24 წლის რეტაიო კუბის ბაზარზე სარეკლამო სამსახურს ხელმძღვანელობდა.

"GWS"-ის დამფუძნებელი ლევან გაჩეჩილაძე კომპანიის ახალი გენერალური დირექტორის დანიშვნას საკმაოდ ოპტიმისტურად უყურებს და მას კომპანიის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე წინ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს. როგორც ლევან გაჩეჩილაძემ აღნიშნა, სედრიკ რეტაიო კომპანიას განსაკუთრებით მნიშვნელოვან ეტაპზე შემოუერთდა, როცა "GWS" ბრენდების - "ძველი თბილისისა" და "თამადას" განახლებას ახდენს ყველა ბაზარზე. **"ამიერიდან "GWS"-სთვის ახალი ბაზრები და ახალი საინვესტიციო ხაზები იხსნება,"** - აცხადებდა გუშინ კომპანიის დამფუძნებელი.

შეკითხვაზე, თუ რატომ შეჩერდა "GWS"-ის არჩევანი ფრანგ სედრიკ რეტაიოზე, ლევან გაჩეჩილაძე ასე პასუხობს: **"ქართველებმა ხელისუფლებას ვერაფრით გავაგებინეთ, თუ როგორ უნდა ვიბრძოლოთ ფალსიფიკაციის წინააღმდეგ და იქნებ, ამის გაკეთება ფრანგმა შეძლოს. ამასთან, ფრანგებს ამ სფეროში დიდი გამოცდილება აქვთ და ჩვენი კომპანიისთვის ფრანგული გამოცდილების გაზიარება ძალიან სასარგებლო იქნება. სედრიკ რეტაიო კი გამოცდილი და აქტიური ახალგაზრდა პიროვნებაა."**

კომპანია "GWS"-ის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნამდე სედრიკ რეტაიომ ნახევარ წელზე მეტი დაჰყო საქართველოში სპეციალური ვიზიტით, რათა საქართველოსა და ქართულ მეღვინეობას უკეთ გასცნობოდა. შესაბამისად, "GWS"-ის ახალ გენერალურ დირექტორს კარგად აქვს გაგებული, თუ რას ნიშნავს ფალსიფიკაცია ქართული ღვინოების ბაზარზე. სწორედ ამიტომაც, "GWS"-ის ახალი გენერალური დირექტორის მთავარი ამოცანა, ქართულ ბაზარზე მუშაობისას, ფალსიფიკაციასთან ბრძოლა იქნება. ამ მიზნით, ის სხვა დისტრიბუტორებთან გაერთიანებასაც არ გამორიცხავს. **"სავაჭრო პალატასთან ფალსიფიკაციის წინააღმდეგ საბრძოლველად სპეციალური ჯგუფი იქმნება, რომელთანაც აქტიურ თანამშრომლობას ვაპირებთ. მე ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ქართულ-ფრანგული თანამშრომლობის შედეგად და ჩვენი პარტნიორების ხელშეწყობით, დარწმუნებული ვარ, ფალსიფიკაციის დამარცხება შესაძლებელი გახდება,"** - აცხადებდა გუშინ ახალი გენერალური დირექტორი.

სედრიკ რეტაიოს გეგმაში აქვს "prenod Ricard"-ის მსოფლიოში ცნობილი სახელი ქართული ღვინოების მსოფლიო ბაზრებზე გასასვლელად გამოიყენოს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ბაზარზე შესაძლოა "prenod Ricard"-ის ბრენდები გამოჩნდეს.

ცნობისათვის, "prenod Ricard" ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების სფეროში მსოფლიოში განთქმული ჯგუფია. შექმნის დღიდან (1975 წელი) კომპანიამ შეძლო, რომ დღეს იგი ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მსოფლიო ბაზარზე სამ წამყვან მოთამაშეს შორისაა. "prenod Ricard"-ს ყველა კონტინენტზე ძლიერი სადისტრიბუციო ქსელი გააჩნია. ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო ბაზარზე კომპანიას პირველი ადგილი უკავია ევროპაში, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში, ხოლო მეორე ადგილი - აღმოსავლეთ აზიაში.

რაც შეეხება სედრიკ რეტაიოს წინამორბედს გიორგი მშვიდობაძეს და კომპანიის ყოფილ ფინანსურ მენეჯერს ნიკოლოზ ჩოლობარგიას, მათ "GWS"-ის სამეთვალყურეო საბჭოში გადაინაცვლეს.

შეხვედრის ბოლოს "GWS"-ის ახალი გენერალური დირექტორი საზოგადოებას კომპანიის მენეჯმენტის თანამედროვე რელსებზე გადაყვანას და უფრო მეტ სიურპრიზს დაჰპირდა.

# გერმანიის იუსტიციის ფედერალური მინისტრის ორდღიანი ვიზიტი საქართველოში

*გერმანიის იუსტიციის ფედერალური მინისტრი ბრიგიტე ცუპრისი გუშინ საქართველოს ეწვია. საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს ცნობით, ცუპრისი საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, საგარეო საქმეთა მინისტრს სალომე ზურაბიშვილს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს კოტე კუბლაშვილს, იუსტიციის მინისტრს კონსტანტინე კემულარიას და გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს შეხვდება.*



*ორი ქვეყნის - გერმანიისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრებმა გუშინ ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას თანამშრომლობის თაობაზე.*

გერმანიის იუსტიციის ფედერალური მინისტრის ვიზიტი საქართველოს სამართლებრივი სისტემის განვითარებას მიეძღვნა და ამ მიმართულებით ვიზიტის ფარგლებში კონკრეტული ნაბიჯებიც გადაიდგა. **"ჩვენი ვიზიტის მიზანია, გავაღრმაოთ საქართველოსთან თანამშრომლობა სამართლის სხვადასხვა სფეროში და კონკრეტული სამართლებრივი, გრძელვადიანი პროექტებით განვავითაროთ საქართველოს სამართლებრივი სისტემა,"** - განაცხადა გერმანიის იუსტიციის ფედერალურმა მინისტრმა ბრიგიტე ცუპრისმა საქართველოს იუსტიციის მინისტრთან კოტე კემულარიასთან გამართული შეხვედრისას.

ორი ქვეყნის - გერმანიისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრებმა გუშინ ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას თანამშრომლობის თაობაზე. დეკლარაცია ითვალისწინებს თანამშრომლობას სამართლის, განსაკუთრებით საკანონმდებლო სფეროში, ასევე, კადრებისა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის საკითხებში. გარდა ამისა, ორი ქვეყნის თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებებია ადამიანის უფლებათა კონვენცია, ევროკავშირის სამართალი, საერთაშორისო ხელშეკრულებები, სანოტარო სამართალი, არასრულწლოვანთა საქმეების სისხლის სამართალი და პენიტენციური სისტემა.

**"გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ჩვენს ქვეყანას სამართალშემოქმედების დარგში სერიოზულ დახმარებას დამოუკიდებლობის პირველი დღეებიდანვე უწევდა. დღეს ხელმოწერილი ერთობლივი დეკლარაცია ითვალისწინებს თანამშრომლობის ხარისხის გაზრდასა და ურთიერთობის გაღრმავებას. გადაწყდა, რომ გერმანიის იუსტიციის სამინისტროში რამდენიმე თვით მივლინებული იქნება ჩვენი ექსპერტი ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოსთან მუშაობის დარგში, ვინაიდან, ეს საკითხი ჩვენთვის პრიორიტეტულია. გერმანიის მხარე დაგვეხმარება, ასევე, პენიტენციურ სისტემაში არსებული პრობლემების მოგვარებაში, საჯარო და სამოქალაქო რეესტრის სისტემის ჩამოყალიბებაში. საქართველოს სამართლებრივი სისტემის ევროპულთან ჰარმონიზაციის პროცესი დაწყებულია და ამისთვის გერმანიის მთავრობა სერიოზულ ტექნიკურ დახმარებას კვლავ გაგვიწევს,"** - ერთობლივ დეკლარაციაზე ხელმოწერის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა საქართველოს იუსტიციის მინისტრმა კოტე კემულარიამ.

**"ჩემი ვიზიტით მინდა ხაზი გავუსვა იმას, თუ როგორ არის გერმანიის მთავრობა დაინტერესებული, ხელი შეუწყოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მუშაობაში და, საერთოდ, განავითაროს საქართველოს სამართლებრივი სისტემა,"** - განაცხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრმა ბრიგიტე ციპრისმა.

გერმანიის იუსტიციის ფედერალური მინისტრი გუშინვე საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს კოტე კუბლაშვილს შეხვდა. **"ეს ვიზიტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც საქართველოში მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირების პროცესები აქტიურად მიმდინარეობს,"** - ასე შეაფასა საქართველოში გერმანიის იუსტიციის მინისტრის პირველი ვიზიტი საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ. კოტე კუბლაშვილის ინფორმაციით, ბრიგეტე ცუპრისთან შეხვედრისას განიხილეს, თუ რა დახმარების გაწევა შეუძლია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას საქართველოსთვის, რათა ქართული მართლმსაჯულება კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტდეს. ამ მიზნით, უახლოეს მომავალში შეიქმნება საქართველოში მოქმედ მოსამართლეთა მუდმივი მომზადების პროგრამა, რომლის განხორციელებაშიც საქართველოს გერმანია დაეხმარება.

*24 საათი*

# ლევან კენჭაძეს განაჩენი გამოუტანეს

*რვა წლით თავისუფლების აღკვეთა - ასეთი განაჩენი გამოუტანა უზენაესმა სასამართლომ უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილ უფროსს ლევან კენჭაძეს. უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ ამ განაჩენით სრულად დააკმაყოფილა პროკურატურის მოთხოვნა. სასამართლო პროცესზე სახელმწიფო ბრალმდებელი პაატა ჯაველიძე, სამსახურებრივი უფლებამოსილების არაერთგზის ბოროტად გამოყენებისა და უფლებამოსილების გადამეტების საფუძველზე, კენჭაძისთვის სასჯელის ზომად ზუსტად რვაწლიან პატიმრობას მოითხოვდა.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ბრალდებულ გენერალ-მაიორ ლევან კენჭაძეს გენერალური პროკურატურა უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის უფროსის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში დიდი რაოდენობით იარაღის უკანონო ჩამოწერისთვის ედავებოდა. პროკურატურის ბრალდებით, იარაღის ჩამოწერისა და გაყიდვის შედეგად ქვეყნის ბიუჯეტმა 18 ათასი ლარის ზარალი მიიღო. შეგახსენებთ, რომ უშიშროების სამინისტროს სპეციარაღის უკანონოდ გაყიდვის თაობაზე საქმე სამხედრო პროკურატურაში რამდენიმე წლის წინ აღიძრა. თუმცა, ლევან კენჭაძის პასუხისმგებლობის საკითხი მაშინ არ დამდგარა.

უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელის სახელი მის დაკავებამდე, არაოფიციალურად, ბევრ გახმაურებულ დანაშაულს უკავშირდებოდა. 2004 წლის ივნისში, ლევან კენჭაძის დაკავების დღესვე ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები არაოფიციალურ საუბრებში აცხადებდნენ, რომ იარაღის უკანონოდ ჩამოწერის ბრალდებით დაკავებული გენერალ-მაიორის საქმეში მის მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულებიც ამოტივტივდებოდა და სასამართლო პროცესზე წლების წინ მომხდარ ბევრ გახმაურებულ დანაშაულს აეხდებოდა ფარდა. თუმცა, რამდენიმეთვიანი სასამართლო პროცესი გუშინ ისე დამთავრდა, რომ, იარაღის უკანონოდ ჩამოწერის ბრალდების გარდა, სხვა არაფერი გამხდარა მსჯელობის საგანი.

**"როცა მტკიცებულებები არ მოგეპოვება, მხოლოდ ჭორის დონეზე გავრცელებული ინფორმაციისა და შინაგანი რწმენის გამო, ადამიანს ბრალდებას ვერ წარუდგენ. ცნობილი კრიმინალი შოთა ჭიჭიაშვილიც ხშირად ახსენებდა ხოლმე პანკისის ხეობაში მომხდარ დანაშაულებთან კავშირში ლევან კენჭაძის სახელს. თუმცა, გამოძიებას ამის თაობაზე დღემდე არანაირი მტკიცებულება არ გააჩნია,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსმა პროკურორმა პაატა ჯაველიძემ.

შეგახსენებთ, რომ გავრცელებული არაოფიციალური ინფორმაციის მიხედვით, გენერალ-მაიორი ლევან კენჭაძე ანტიტერორისტული ცენტრის უფროსის თანამდებობიდან, სწორედ ესპანელ ბიზნესმენთა გატაცების საქმის გამო, კარგა ხნის წინ დაითხოვეს. თუმცა, ოფიციალური განცხადება მაშინ ამის თაობაზე არ გაკეთებულა და მიუხედავად იმისა, რომ ის ესპანელმა ბიზნესმენებმა ჩვენებებშიც დაასახელეს, ამ ფაქტის თაობაზე მისი დაკითხვა არც კი მომხდარა.

ერთი სიტყვით, "ვარდების რევოლუციიდან" რამდენიმე თვეში დაკავებული ლევან კენჭაძე სამსახურებრივი უფლებამოსილების არაერთგზის ბოროტად გამოყენებისა და უფლებამოსილების გადამეტებისთვის გაასამართლეს. პროკურატურა მისი ქონების კანონიერების საკითხითაც დაინტერესდა და, ამ საფუძვლით, კენჭაძეს და მისი ოჯახის წევრებს, დაუსაბუთებლობის მოტივით, კუთვნილი ქონების უმეტესი ნაწილი ჩამოერთვათ და სახელმწიფოს გადაეცა.

უკვე მსჯავრდებულმა ლევან კენჭაძემ განაჩენის მოსმენის შემდეგ გუშინ სასამართლო დარბაზი უკომენტაროდ დატოვა. მისი ინტერესების დამცველებმა კი სასამართლოს მიმართ პრეტენზიები გამოთქვეს.

**"მოსამართლემ განაჩენში შემამსუბუქებელ გარემოებად არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ კენჭაძეს სადავო თანხა, სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანი - 18 ათასი ლარი უკვე ანაზღაურებული ჰქონდა და ამის დამადასტურებელი დოკუმენტი სასამართლო განსახილველ საბუთებშიც მოიპოვებოდა. ჩვენ ამ განაჩენს ამავე სასამართლოს საკასაციო პალატაში გავასაჩივრებთ,"** - აცხადებენ ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელის ინტერესების დამცველები.

სახელმწიფო ბრალმდებელი პაატა ჯაველიძე კი არ ადასტურებს სადავო თანხის გადახდის ფაქტს და აცხადებს, რომ განსასჯელს კიდევაც რომ გადაეხადა თანხა, ეს მას პასუხიმგებლობისგან არ გაათავისუფლებდა. თუმცა, პაატა ჯაველიძისვე განმარტებით, სასამართლოს მართლაც ჰქონდა უშიშროების სამსახურის დეპოზიტზე თანხის გადარიცხვის ქვითარი, რომელშიც მხოლოდ ორი სიტყვაა დაფიქსირებული - "ლევან კენჭაძის გადარიცხვა".

**"მართალია, ადვოკატი ირწმუნება, რომ კენჭაძემ სადავო თანხა - 18 ათასი ლარი გადარიცხა დეპოზიტზე, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ ქვითარში თანხის გადარიცხვის მიზნობრიობა არ არის მითითებული. ამდენად, კენჭაძეს ნებისმიერ დროს შეუძლია ეს თანხა უკანვე გამოითხოვოს. რისთვის იხდის ის 18 ათას ლარს - ზარალის ანაზღაურების მიზნით, თუ საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, ამ ქვითარში არაფერია ნათქვამი. ამ ხარვეზის გამოსწორება განსასჯელსა და ადვოკატებს მას შემდეგ თავისუფლად შეეძლოთ, რაც მე სასამართლო პროცესზე საბრალდებო სიტყვა ვთქვი. თუმცა, ასე არ მომხდარა. სასამართლომ სრულიად კანონიერად გაითვალისწინა ჩემი პოზიცია და თანხის გადარიცხვის წარმოდგენილ ქვითარს არანაირი მნიშვნელობა არ მიანიჭა,"** - ასეთი გახლავთ გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი პროკურორის, სახელმწიფო ბრალმდებლის, პაატა ჯაველიძის საბოლოო სიტყვა.

# სამართალდამცველები კვლავ ცრუ დამსწრეებით მუშაობენ

რამდენიმე დღის წინ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა, ცხელ ხაზზე შემოსული ინფორმაციის საფუძველზე, უშიშროების დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფი თსუ იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი, ტყუპი ბიჭის მამა, გიორგი აფხაიძე ინახულეს.

აფხაიძეს სპეციალური დანიშნულების რაზმმა დაკავებისას 2 გრამამდე ჰეროინი აღმოუჩინა. საქმე ისაა, რომ აფხაიძე და მისი მეგობარი ფაფიაშვილი ტაქსით სახლში ბრუნდებოდნენ. მათ ორჯერ ნასამართლევი გამყრელიძე დაემგზავრათ. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა გაარკვიეს, რომ ტაქსის მგზავრების დაკავებასა და გაჩხრეკისას სპეცრაზმს წარსულში ცნობილი ცრუ დამსწრეების ინსტიტუტის წარმომადგენელი დავით გუგუშვილი ახლდა.

სახალხო დამცველის ოფისის თანამშრომელთა მიერ მოკვლეული მასალებით, დავით გუგუშვილი 2003 წლის 29 მაისს გასამართლებული იყო ნარკოტიკების მოხმარებისთვის. ნარკოტიკების მომხმარებელია მისი ძმა პაატა გუგუშვილიც. ძმები და მათი მამა აქტიურად თანამშრომლობენ პოლიციასთან. გუგუშვილები იარაღისა და ნარკოტიკების ამოღების ათამდე ფაქტის დამსწრენი არიან. სახალხო დამცველის აპარატმა ერთხელ უკვე გამოიძია გუგუშვილების დამსწრეობის საკითხი, სადაც ძმები თავად აღიარებდნენ, რომ ჩვენებები პოლიციის მხრიდან შანტაჟისა და ზეწოლის შედეგად მისცეს.

როგორც ცნობილია, სამართალდამცველთა მხრიდან ცრუ დამსწრეთა ჩვენებებით საქმეების წარმართვასა და მსგავს უკანონო საქმიანობას სახალხო დამცველი არაერთხელ შეეხო და ამაზე თავის წლიურ საპარლამენტო გამოსვლაშიც ისაუბრა.

როგორც აღმოჩნდა, გიორგი აფხაიძე, მისივე ახსნა-განმარტებით, ჯერ დაკავებისას, შემდეგ კი უკვე საკანში სცემეს. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა მის სხეულზე დაზიანებები დააფიქსირეს და ოქმიც შეადგინეს. აფხაიძის დაკავებისას სხვა პროცესუალურ დარღვევებსაც ჰქონდა ადგილი. მას არ გააცნეს მისი უფლებები, არ დართეს ნება, მიეყვანა თავისი ადვოკატი და დაუნიშნეს სახაზინო ადვოკატი, რომელიც მხოლოდ პირველ დაკითხვას დაესწრო.

კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ მამუკა სონღულაშვილმა არ გაითვალისწინა დაკავებისას წარმოჩენილი დარღვევები და გიორგი აფხაიძეს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

*24 საათი*

# ბათუმის ნავსადგურის ყოფილი უფროსის წინააღმდეგ საქმე აღიძრა

ფინანსურმა პოლიციამ ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ყოფილი გენერალური დირექტორის თემურ მიქელაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე მუხლით აღძრა.

ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ცნობით, საქმე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და გაფლანგვის მუხლებით აღიძრა. დაკავებული ამჟამად თბილისში იმყოფება, ბათუმში ჩაყვანისთანავე კი მას ექიმი ტანილად ცნობენ.

თემურ მიქელაძე ფინანსურმა პოლიციამ გუშინ დააკავა. ის აღნიშნულ თანამდებობაზე აჭარის რევოლუციის შემდეგ დაინიშნა და ნავსადგურს 2004 წლის აგვისტომდე მართავდა.

ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, ბათუმის საზღვაო ნავსადგურის დირექტორობისას თემურ მიქელაძემ შპს "ინჟტექსერვისთან" ელექტრომოწყობილობების, კაბელების, ტრანსფორმატორებისა და სხვა პროდუქციის შესაძენად, ყოველგვარი ტენდერის გამოცხადების გარეშე, დაახლოებით, 1 მილიონ 300 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულებები გააფორმა. თანხის გადარიცხვისა და მითითებული ვადის გასვლის მიუხედავად, ეს პროდუქცია ბათუმის საზღვაო ნავსადგურს დღემდე არ მიუღია.

ფინანსური პოლიციის ბათუმის ოპერატიულმა სამმართველომ დაადგინა, რომ შპს "ინჟტექსერვისი", სინამდვილეში, თავად თემურ მიქელაძეს ეკუთვნის. იგი იყო ამ ფირმის გენერალური დირექტორი, დღემდე დამფუძნებელიც არის, ხოლო "ინჟტექსერვისის" ამჟამინდელი დირექტორი თამილა მიქელაძე მისი ქალიშვილია. ფინანსური პოლიციის განცხადებით, "ნავსადგურის დირექტორმა თემურ მიქელაძემ მილიონიანი ხელშეკრულება საკუთარ თავთან გააფორმა".

"ნავსადგურს ყველანაირი შესაძლებლობა ჰქონდა, რომ შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები თავად გაეფორმებინა საწარმოებთან და შუამავლად საკუთარი ფირმა არ გაეხადა. თუმცა, ამ "შუამავლობის" წყალობით, ბათუმის საზღვაო ნავსადგურმა (რომლის 100-პროცენტიანი მესაკუთრე სახელმწიფოა) 163 ათასი დოლარით ზედმეტი თანხა შპს "ინჟტექსერვისის" სასარგებლოდ გადაიხადა," - აცხადებენ ფინანსურ პოლიციაში.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**ბათუმი.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ახალი უფროსი დავით ბედია მუშაობას ოფიციალურად შეუდგა. თანამშრომლებს იგი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ლევან გვაზავამ წარუდგინა. წარდგენას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძეც ესწრებოდა. გვაზავას განცხადებით, სამმართველოს ახალი უფროსი პროფესიონალიზმის ნიშნით შეარჩიეს და მისი კანდიდატურა ადგილობრივ ხელისუფლებასთანაც შეათანხმეს. შს მინისტრის მოადგილე იმედოვნებს, რომ ბედია აჭარაში არსებული კრიმინოგენული სიტუაციის გამოსწორებას შეძლებს. რაც შეეხება დავით ბედიას წინამორბედს გიორგი პაპუაშვილს, ლევან გვაზავას განცხადებით, იგი ჯერჯერობით კვლავ კადრების განკარგულებაში რჩება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის გლდან-ნაძალადევის შს სამმართველოს მე-9 განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს ქუთაისში მცხოვრები, მრავალჯერ ნასამართლევი, 56 წლის როლანდ სხილაძე, რომელმაც იანვარში გაქურდა შალვა ბერძენიშვილი ბინა. დაზარალებულს პოლიციაში არ განუცხადებია. საქმეს იძიებს გლდანი-ნაძალადევის საგამოძიებო დეპარტამენტი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დააკავეს მარტვილის რაიონის სოფელ გურძემში მცხოვრები, მრავალჯერ ნასამართლევი, 34 წლის ზვიად ჯგერენაია, რომელმაც მაია ბართიას მოჰპარა მობილური ტელეფონი. საქმეს იძიებს თბილისის ვაკე-საბურთალოს საგამოძიებო დეპარტამენტი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების თანამშრომლებმა გატარებული ღონისძიებების შედეგად დააკავეს 29 წლის ზურაბ ლაფერიშვილი, რომლისგანაც ამოიღეს 0.127 გრამი ჰეროინი. საქმეს იძიებს თბილისის ისანი-სამგორის საგამოძიებო დეპარტამენტი. **მედიანიუსი**


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

____________________________________________

ანკეტა

სახელი, გვარი ..............................................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი ......................................

საკონტაქტო ტელეფონი ......................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "აბმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

**1**

**იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.**

**2**

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის ქვითრები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის ქვითრის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

**3**

ყუთები განთავსებული არიან ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართზე:

1. მეტროს სადგური „ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური „მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური „თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური „წერეთელი";
5. მეტროს სადგური „სამგორი II";
6. მეტროს სადგური „ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური „გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური „დელისი");
8. მეტროს სადგური „ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური „დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი „გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# უფასო იურიდიული კონსულტაცია

## "24 საათის" მკითხველისთვის

**მანანა**

დავამთავრე სამედიცინო ინსტიტუტი, შემდეგ რეზიდენტურა. თუ წინა პერიოდში არ მიმუშავია, ჩამეთვლება თუ არა რეზიდენტურა შრომით სტაჟში და თუ არ ჩამეთვლება, რა სახის შრომითი მუშაობის შემდეგ ჩამეთვლებოდა რეზიდენტურა შრომით სტაჟში.

ქალბატონო მანანა,

საქართველოს "შრომის კანონთა კოდექსის" 19-ე მუხლის თანახმად, სამუშაოზე მიღებისას ფორმდება შრომის ხელშეკრულება, ხოლო სამუშაოზე პირი მიიღება ადმინისტრაციის ბრძანებით (განკარგულებით), შრომის ხელშეკრულება დადებულად ითვლება მაშინაც, როცა ბრძანება (განკარგულება) არ გაცემულა, მაგრამ პირი სამუშაოზე დაუშვა იმ პირმა, ვისაც თანამდებობრივად შეუძლია მისი სამსახურში მიღება-განთავისუფლება. აგრეთვე 41-ე მუხლის მიხედვით, მუშა-მოსამსახურეს სამუშაოზე მიღებისას ეხსნება შრომის წიგნაკი, ხოლო სამუშაოდან Dდათხოვნისას კი უბრუნდება იგი. ამრიგად, თუ რეზიდენტურის დროს მუშაობისას ადგილი ჰქონდა აღნიშნულ მოქმედებებს, თქვენ რეზიდენტურაში ნამუშევარი დრო ჩაგეთვლებათ შრომის სტაჟში.

**რევაზ ასათიანი**

ვარ სამხედრო პენსიონერი, სამამულო ომის ინვალიდი. 2004 წლის აგვისტოში გამანთავისუფლეს "საჯარო სამსახურიდან" ათი წლის მუშაობის შემდეგ, როგორც საპენსიო ასაკს გადაცილებული. საბოლოო ანგარიში ისე გამისწორეს, რომ არ მოუციათ ორი თვის თანამდებობრივი სარგო. საკონსტიტუციო სასამართლომ არა კონსტიტუციურად სცნო ასეთი ვითარება და მისი აღსრულების ვადა 2006 წლის 1-ელ იანვრამდე განსაზღვრა. Gგთხოვთ, განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა აღნიშნული სარგო და შემიძლია თუ არა აღვძრა შუამდგომლობა მის მიღებაზე, თანაც რა ფორმით და ვის წინაშე. ამასთან მუშაობის პერიოდში ვღებულობდი პრემიალურს და შევა თუ არა იგი მიუღებელ ორი თვის თანამდებობრივ სარგოში. ვმუშაობდი ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტში.

ბატონო რევაზ,

"საჯარო სამსახურის შესახებ"კანონის 37-ე მუხლის თანახმად:

**მუხლი 37. შრომითი გასამრჯელო (ხელფასი)**

1. ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას, საჯარო სამსახურში წელთა ნამსახურობისათვის დაწესებულ და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს.

2 მოსამსახურეს ეძლევა დანამატი ნამსახურევი წლებისათვის თანამდებობრივი სარგოს შემდეგი ოდენობით:

ა) 5 წლამდე - 10 პროცენტი;

ბ) 5-დან 10 წლამდე - 20 პროცენტი;

გ) 10-დან 15 წლამდე - 25 პროცენტი;

დ) 15 წელი და მეტი - 30 პროცენტი;

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დანამატი მოსამსახურეს საერთოდ არ ეძლევა ან შეიძლება შეუმცირდეს მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების პერიოდში.

4. მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს(ხელფასის) ფონდის ფორმირების წყაროა შესაბამისი ბიუჯეტი. საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება იყოს მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა გარანტიების დაფინანსების შემცირების საფუძველი.

ხოლო 109-ე მუხლის თანახმად:

**მუხლი 109. სამსახურიდან განთავისუფლების კომპენსაცია**

3. ასაკის ან სამსახურში მისაღებად დადგენილ მოთხოვნათა დარღვევის (დაწესებულების მიზეზით) გამო სამსახურიდან განთავისუფლების შემთხვევაში მოხელეს ეძლევა კომპენსაცია 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

აგრეთვე 127-ე მუხლის შესაბამისად:

**მუხლი 127. დავის გადაწყვეტა სასამართლო წესით**

1. მოხელეს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის განმავლობაში გაასაჩივროს სასამართლოში სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული ბრძანება, განკარგულება, გადაწყვეტილება, აგრეთვე მოქმედება.

2. დამხმარე მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურებრივი დავის გადასაწყვეტად მიმართოს სასამართლოს ერთი თვის ვადაში.

3. მოხელეს შეუძლია სასამართლოში მოითხოვოს ბრძანების, განკარგულების, გადაწყვეტილების ან მოქმედების ნაწილობრივ ან მთლიანად არაკანონიერად აღიარება.

4. აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში წარმოშობილი სამსახურებრივი დავა განიხილება და წყდება "აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე.

5. სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე.

ამრიგად, გადაწყვიტა რა საკითხი საკონსტიტუციო სასამართლომ, მანვე განსაზღვრა მისი აღსრულების ვადა, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა ყველა პირისა თუ სახელმწიფო დაწესებულებისათვის. თქვენ საკითხის გასარკვევად შეგიძლიათ, მიმართოთ ყოფილ სამსახურს, სადაც შეძლებთ გაიგოთ, თუ როდიდან მოხდება მითითებული თანხების გაცემა.

**მაყვალა ლებანიძე**

1984 წელს გარდაიცვალა ჩემი უფროსი და. თავისი კუთვნილი პაი (4409 მან.), კოოპერატიული მშენებლობის ერთ ოთახიან ბინაზე, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ მის საკუთრებას შეადგენდა, მიანდერძა მე. ბინის ორდერში ჩაწერილია მხოლოდ ჩემი უმცროსი და. ბინა არ არის პრივატიზირებული. გთხოვთ, განმიმარტოთ, რა უფლებები მაქვს და როგორ მოვიქცე.

ქალბატონო მაყვალა,

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 5 ივლისის დადგენილების მე-2 ნაწილი ადგენს: "საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საცხოვრებელი სახლების მობინადრე მოქალაქეებს უსასყიდლოდ გადაეცეთ საკუთრებაში ამ სახლებში მათ მიერ დაკავებული ბინები, მიუხედავად იმისა, გადახდილი აქვთ თუ არა თავდაპირველი შესატანი საპაიო თანხა /ბინის სამშენებლო ღირებულების 30-40 პროცენტი/."

გიანდერძათ რა დამ თავისი ქონება, თქვენ ითვლებით მის მემკვიდრედ და ამ ქონების მესაკუთრედ. აქედან გამომდინარე Aშეგიძლიათ გადაიფორმოთ ბინა.

**თინიკო კოპალიანი**

ბინაში, სადაც ვცხოვრობ, ორდერში ჩაწერილი ვართ: დედა, მამა, მე და დეიდაჩემი. დღეისათვის მარტო მე დავრჩი. ბინა არაა პრივატიზირებული .

1. პრივატიზაციისათვის ნოტარიატში მჭირდება თუ არა ცნობები?

2. დეიდა ჩვენს ბინაში ჩაწერილი არ იყო და მხოლოდ ორდერშია ფიქსირებული.

3. ადვოკატებმა განმარტება მომცეს, რადგან ბინაზე მოდავე არავინ გყავს, შესაძლებელია პირდაპირი პრივატიზებაო. სწორია თუ არა?

ქალბატონო თინიკო,

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1-ლი თებერვლის დადგენილების "საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ" თანახმად, საცხოვრებელი სახლი უსასყიდლოდ გადაეცათ საქართველოს მოქალაქეებს, რომელთაც დაკავებული ჰქონდათ იგი. მათ თავიდან განცხადებით უნდა მიემართათ და შემდეგ უნდა გაეფორმებინათ საკუთრების უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ხელშეკრულება იმ საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციასთან, საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ადმინისტრაციასთან, რომელსაც ეკუთვნოდა ბინა. აღნიშნული ხელშეკრულება უნდა დადასტურებულიყო ნოტარიუსის მიერ და გატარებულიყო რეგისტრაციაში სამი თვის ვადაში სანოტარო წესით დადასტურების შემდეგ ადგილობრივი მმართველობის ორგანოში (ტექ. ინვენ. ბიუროში). მითითებული ხელშეკრულება ძალაში შედიოდა მხოლოდ რეგისტრაციის მომენტიდან. რადგან ბინა პრივატიზირებული არ იყო, თქვენს მიერ მითითებული პირები არ ჩაითვლებოდნენ მის მესაკუთრედ, მათ აღნიშნული დადგენილების საფუძველზე შეეძლოთ მისი პრივატიზირება, ამიტომ თქვენ თავისუფლად შეგიძლიათ მოახდინოთ ბინის პრივატიზირება.

**დარეჯან ცხომელიძე**

ისნის რაიონში, ელიაზე მაქვს მიწის ნაკვეთი, დაახლოებით 100კვ.მ., რომელიც მინდა საკუთრებაში გავიფორმო. გთხოვთ, დამეხმაროთ და ამიხსნათ, რა არის ამისათვის საჭირო და რომელი ინსტანციიდან უნდა დავიწყო?

ქალბატონო დარეჯან,

კითხვაზე პასუხის გასაცემად, გთხოვთ, დაგვიკონკრეტოთ, თუ რას გულისხმობთ მიწის ნაკვეთის ფლობაში: მიწის ნაკვეთის ყიდვას, ფაქტობრივ ფლობას ყოველგვარი იურიდიული უფლებამოსილების გარეშე და ა.შ.

**ჟუჟუნა გულედანი**

ბინის მეპატრონე გარდაიცვალა 1999წ. ორდერში ერთად ირიცხება ორი ბინა ნომერი 56 და ნომერი 57. შეიძლება თუ არა ორივე ბინა გაფორმდეს ცალ-ცალკე და რა თანხა იქნება გადასახდელი. თუ ისევ ორი ბინა თუ ერთად გაფორმდება, რა თანხაა გადასახდელი. ბინა პრივატიზირებულია 1992 წლიდან.

ქალბატონო ჟუჟუნა,

თქვენ შეგიძლიათ ეს ბინები გააფორმოთ როგორც ერთად, ისე ცალ-ცალკე. სანოტარო ბიუროში და საჯარო რეესტრში შეგიძლიათ, გაარკვიოთ თუ რა მოსაკრებლებია დადგენილი მათი მომსახურეობისათვის. ხოლო საქართველოს კანონის "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის და 22-ე მუხლის თანახმად:

**მუხლი 8. გარიგების ღირებულება უძრავი ნივთის გაყოფის, მისი ნაწილების შეერთების და უძრავი ნივთების გაერთიანებისას**

1. უძრავი ნივთის გაყოფისას გარიგების ღირებულებაა გასაყოფი ნივთის ღირებულება.

**მუხლი 22. გარიგების ღირებულების საფუძველზე დადგენილი საზღაურის განაკვეთები**

1. ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგების ღირებულების საფუძველზე დადგენილი საზღაურის განაკვეთებია:

| № | როცა გარიგების ღირებულებაა | საზღაურის ოდენობა ლარებით არის გარიგების ღირებულების |
|---|---|---|
| 1. | 500 ლარის ჩათვლით | 3 % |
| 2. | 501 ლარიდან 1000 ლარის ჩათვლით | 15ლარი + 500 ლარის ზევით თანხის 2,5 % |
| 3. | 1001 ლარიდან 2000 ლარის ჩათვლით | 27,5 ლარი + 1000 ლარის ზევით თანხის 1,5 % |
| 4. | 2001 ლარიდან 3000 ლარის ჩათვლით | 42,5 ლარი + 2000 ლარის ზევით თანხის 1 % |
| 5. | 3001 ლარიდან 5000 ლარის ჩათვლით | 52,5 ლარი + 3000 ლარის ზევით თანხის 0,5 % |
| 6. | 5001 ლარიდან 20000 ლარის ჩათვლით | 62,5 ლარი + 5000ლარის ზევით თანხის 0,4 % |
| 7. | 20001 ლარიდან 100000 ლარის ჩათვლით | 122,5 ლარი + 20000ლარის ზევით თანხის 0,3 % |
| 8. | 100001 ლარიდან 500000 ლარის ჩათვლით | 362,5 ლარი + 100000ლარის ზევით თანხის 0,2 % |
| 9. | 500001 ლარიდან 1000000 ლარის ჩათვლით | 1162,5 ლარი + 500000ლარის ზევით თანხის 0,1 % |
| 10. | 1000000 ლარის ზევით | 1662,5 ლარი + 1000000ლარის ზევით თანხის 0,05 % |

2. თუ ამ კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ცალმხრივ გარიგებათა დამოწმებისათვის საზღაურია ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული განაკვეთების ნახევარი ოდენობა.

3. ამ მუხლით განსაზღვრული საზღაური არ უნდა იყოს 10000 ლარზე მეტი.

**მარინე გორდელაძე**

მოვალის მიერ იპოთეკის წესით გასესხებული თანხის დაუბრუნებლობის გამო მივმართე სასამართლოს და თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარვუდგინე სააღსრულებო ფურცელი და მოვითხოვე მოვალის კუთვნილ ბინაზე იძულებითი აუქციონის ჩატარება. აღსრულება დაიწყო, მაგრამ 1 თვის შემდეგ შეჩერდა შემდეგი გარემოებების გამო: მოვალემ, რომელიც უკვე მეოთხე წელია ყველანაირი ხერხით ცდილობს ვალის დაბრუნების გაჭიანურებას, სააღსრულებო ბიუროში აღსრულების პროცესში წარმოადგინა სასამართლოს განჩინება და სააღსრულებო ფურცელი ახლადგამოჩენილი კრედიტორის მიერ მის ბინაზე ყადაღის დადების შესახებ. სავარაუდოა, რომ ყადაღის დადება თვით მოვალის ჩაფიქრებულია ჩემი ვალის დაბრუნების მორიგი გაჭიანურების მიზნით. სააღსრულებო დეპარტამენტმა მომცა წერილობითი განმარტება, რომ აღსრულება დროებით შეჩერებულია "სააღსრულებო წარმოებათა შესახე" კანონის 63-ე პრიმა მუხლის თანახმად, რომელიც კრძალავს უძრავი ქონების ნებისმიერი ფორმით განკარგვას ყადაღის დადების შემდეგ. მაგრამ მე ვარ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული პირველი რიგის კრედიტორი, ამიტომ მოვითხოვ იძულებითი აუქციონის გაგრძელებას. გთხოვთ, განმიმარტოთ, უნდა გააგრძელოს თუ არა თბილისის სააღსრულებო ბიურომ აუქციონი სხვა მეორე რიგის მოვალის მიერ ყადაღის დადების პირობებში. აუქციონის ჩატარების შემდეგ მზად ვარ დავაკმაყოფილო ამ მევალის მოთხოვნა.

ქალბატონო მარინე,

"სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის 36-ე მუხლის თანახმა:

**მუხლი 36. აღსრულების შეჩერება**

1. სააღსრულებო წარმოება შეჩერდება:

ა) მოვალის გარდაცვალებისას ან მოვალე იურიდიული პირის ლიკვიდაციისას -მისი უფლებამონაცვლის დადგენამდე, თუ სასამართლოს მიერ დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობით დაიშვება უფლებამონაცვლეობა;

ბ) მოვალის მოქმედ სამხედრო ნაწილში ყოფნისას;

გ) მოვალის მიერ ქმედუნარიანობის დაკარგვისას-მისი წარმოადგენლის დანიშვნამდე;

დ) მოვალის მიერ სააღსრულებო საბუთის სასარჩელო წესით საქართველოს კანონმდებლობით დასაშვები დავის აღძვრისას - დავის გადაწყვეტამდე;

ე) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმის განხილვისათვის EAEO უფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირის) მოქმედებაზე საჩივრის შეტანისას - გადაწყვეტილების მიღებამდე;

ვ) სარჩელის წარდგენისას იმ ქონები ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ, რომელზედაც მიქცეულია გადახდა-სადავო ქონებაზე აღსრულების ნაწილში და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.

2. სასამართლოში სარჩელის წარდგენა აღწერის სიიდან ქონების ამორიცხვის შესახებ (ყადაღისაგან გათავისუფლება), რომელზედაც მიქცეულია გადახდა, შეაჩერებს აღსრულებას სადავო ქონებაზე.

ხოლო 63-ე პრიმა მუხლის მიხედვით:

მუხლი 631. უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება

1. უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ნიშნავს ქონების აღწერას და მისი განკარგვის - ნებისმიერი ფორმით გასხვისების, იპოთეკით, უზუფრუქტით, სერვიტუტით ან აღნაგობით დატვირთვის, მასზე თხოვების, ქირავნობის ან/და იჯარის ხელშეკრულების დადების აკრძალვას. უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ხდება მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადებისათვის დადგენილი წესით. ყადაღადადების აქტის ასლი იგზავნება საჯარო რეესტრში.

2. ბათილია ყადაღადადებულ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შემდეგ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ყველა გარიგება.

აგრეთვე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის თანახმად:

**მუხლი 198.** სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები

1. საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო.

2. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს:

ა) ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქაღალდებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან;

ბ) მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა;

გ) მოპასუხის დავალდებულება გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ნივთი სასამართლო აღმასრულებელს სეკვესტრის (ქონების იძულებითი მართვა) სახით;

დ) სხვა პირებისათვის აკრძალვა იმისა, რომ მოპასუხეს გადასცენ ქონება ან შეასრულონ მის მიმართ რაიმე ვალდებულება;

ე) ყადაღისაგან ქონების განთავისუფლების შესახებ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში ქონების რეალიზაციის შეჩერება;

ვ) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს, ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის სადავო აქტის მოქმედების შეჩერება;

ზ) სააღსრულებო საბუთის აღსრულების შეჩერება, როცა ამ საბუთს ედავება მოვალე სასამართლო წესით;

თ) მოპასუხისათვის მისი საცხოვრებელი ან სამყოფელი ადგილიდან გაუსვლელობის ხელწერილის ჩამორთმევა.

3. სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისათვის. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დაშვებულ იქნეს სარჩელის უზრუნველყოფის რამდენიმე სახე.

ამრიგად, სასამართლომ ახალი კრედიტორის განცხადების საფუძველზე დააყადაღა მითითებული ქონება. ხოლო ითვალისწინებს რა 36-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ზ ქვეპუნქტი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებს, აღნიშნულ ერთერთ შემთხვევას წარმოადგენს 63-ე პრიმა მუხლი. აუქციონი კი შეჩერდება მანამ, სანამ ნივთზე ყადაღა იქნება დადებული. ახალ კრედიტორსა და თქვენს მოვალეს შორის საქმის გადაწყვეტის შემდეგ ან ყადაღის სხვაგვარად გაუქმების შემთხვევაში, თუ თქვენ ნამდვილად ხართ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული პირველ კრედიტორად, თქვენი მოთხოვნა დაკმაყოფილდება პირველ რიგში.

**ჟენია მიქიაშვილი**

ვარ 75 წლის ქალი, პენსიონერი, მეუღლე 13 წლის წინ გარდამეცვალა (ომის ვეტერანი იყო). 1944 წელს, სოფლიდან (ამბროლაურის რაიონი) საყოველთაო მობილიზაციის კანონით, სრულიად ახალგაზრდა სამუშაოდ ჩამომიყვანეს ქუთაისში (მაქვს ეს დოკუმენტი), აბრეშუმის კომბინატში სამუშაოდ. ჯერ "ფეზეოში" მოგვაწყვეს და როცა დავეუფლე მქსოველის პროფესიას, შემდეგ ფაბრიკაში. ამასობაში გავთხოვდი და შვილებიც შემეძინა. ოც წელზე მეტი სტაჟიც დავაგროვე. როგორც ორგანიზმისათვის მავნე სამუშაო, ქალებს 50 წლიდან ენიშნებოდათ პენსია. მაინტერესებს, ვითვლები თუ არა სამამულო ომის ვეტერანთან გაიგივებულად, თუ მაშინ ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი გამოცხადდა სამხედრო ობიექტად (ჩვენ მაშინ მხოლოდ საპარაშუტე ქსოვილებს ვაკეთებდით), ვინ უნდა მითხრას ამის შესახებ, რომ აღნიშნული ფაბრიკა იყო გასამხედროებული და იქ მომუშავენი ჩაითვალნენ (შემდგომში) როგორც ზურგში მომუშავენი?

ქალბატონო ჟენია,

საქართველოს კანონის "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" მე-7 მუხლის თანახმად, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები არიან:

მუხლი 7. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს მიეკუთვნებიან:

1. სამხედრო მოსამსახურეები, მათ შორის თადარიგში დათხოვნილები (გადამდგარნი), რომლებიც გადიოდნენ სამხედრო სამსახურს ან დროებით იმყოფებოდნენ მეორე მსოფლიო ომის ან სამშობლოს დაცვის სხვა საბრძოლო ოპერაციების დროს მოქმედი არმიის შემადგენლობის სამხედრო ნაწილებში, შტატებსა და დაწესებულებებში, აგრეთვე ომის წლებში დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი პარტიზანები და იატაქვეშა ორგანიზაციების წევრები;

2. სახედრო მოსამსახურეები, მათ შორის სამხედრო სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილები (გადამდგარნი), აგრეთვე შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების რიგითი და მეთარუთა შემადგენლობის პირები, რომლებიც ომის წლებში გადიოდნენ სამსახურს ქალაქებში, რომელთა დაცვაში მონაწილეობა ჩაითვლება წელთა ნამსახურობაში შეღავათიანი პირობებით პენსიის დანიშვნისათვის, რაც დაწესებულია მოქმნდი არმიის სამხედრო ნაწილთა სამხედრო მომსახურისათვის;

3. არმიის, ფლოტის, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ნებაყოფლობით დაქირავებული პირები, რომლებსაც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ეკავათ საშტატო თანამდებობები მოქმედი არმიის შემადგენლობაში შემავალ სამხედრო ნაწილებში, შტატებსა და დაწესებულებებში ან რომელიც ამ პერიოდში იმყოფებოდნენ ქალაქებში, რომელთა დაცვაში მონაწილეობა ჩაითვლება წელთა ნამსახურებაში შეღავათიანი პირობებით პენსიის დასანიშნავად, რაც დაწესებულია მოქმედი არმიის სამხედრო ნაწილების სამხედრო მოსამსახურეებისათვის;

4. დაზვერვისა და კონტრდაზვერვის თანამშრომლები და სხვა პირები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში სპეციალურ დავალებებს ასრულებდნენ მოქმედი არმიის ნაწილებში, მტრის ზურგში ან სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე;

5 სამხედრო ობიექტებისა და საწარმოების, სახალხო კომისარიატების მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს გადაყვანილი იყვნენ სამხედრო მოსამსახურეების მდგომარეობაზე და ასრულებდნენ მოქმედი არმიისა და ფლოტისათვის სამხედრო დაკვეთებს, აგრეთვე ზურგის მუშაკები, რომლებიც დაჯილდოებულნი არიან ორდენებითა და მედლებით ომის წლებში მამაცური შრომისათვის, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების (მათ შორის, კულტურისა და ხელოვნების) მუშაკები, ცენტრალური გაზეთების, ჟურნალების, სატელეგრაფო სააგენტოს, საინფორმაციო ბიუროთა კორესპონდენტები, დოკუმენტური კინოფილმების ცენტრალური სტუდიის (კინოქრონიკის) კინოოპერატორები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის წლებში მივლინებული იყვნენ მოქმედ არმიაში სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 7 ივლისის N6139 დადგენილებითა და მის საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის (ბ) 1944 წლის 21 ივლისის ერთობლივი დადგენილებით, ამიერკავკასიაში მშენებარე მეტალურგიული ქარხნის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის მიზნით სამხედრო მობილიზაციით გაწვეული მეტალურგები, საქართველოში მცხოვრები სოციალისტური შრომის გმირები;"

6. გამანადგურებელი ბატალიონების, ოცეულებისა და სახალხო დაცვის რაზმების მოსამსახურეები, მათ შორის სამხედრო სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილები (გადამდგარნი) შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მებრძოლები და მეთაურთა შემადგენლობის პირები, რომლებიც ომის დროს მონაწილეობდნენ მთავრობის საბრძოლო დავალებათა შესრულებაში;

7. პირები, რომლებიც პარტიზანული რაზმების, იატაქვეშელთა ჯგუფებისა და ანტიფაშისტური ფორმირებების შემადგენლობაში მონაწილეობდნენ ფაშისტური გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში სახელმწიფოთა ტერიტორიაზე;

8. სამხედრო მოსამსახურეები, მათ შორის სამხედრო სამსახურიდან თადარიგში დათხოვილები (გადამდგარნი), რომლებიც 1941 წლის 22 ივნისიდან 1945 წლის 3 სექტემბრამდე გადიოდნენ სამხედრო სამსახურს იმ სამხედრო ნაწილებში, დაწესებულებესა და სამხედრო სასწავლებლებში, რომლებიც არ შედიოდნენ მოქმედი არმიის შემადგენლობაში და დაჯილდოებული არიან მედლით "1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გამარჯვებისათვის" ან მედლით "იაპონიაზე გამარჯვებისათვის";

9. პირები, რომლებიც ომის წლებში მუშაობდნენ საჰაერო თავდაცვის, ადგილობრივი თავდაცვის ობიექტებზე, აგრეთვე თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობებზე, საზღვაო ბაზებში, აეროდრომებსა და სხვა სამხედრო ობიექტებზე მოქმედი ფრონტის ზურგში და რკინგზისა და საავტომობილო გზების ფრონტისპირა უბნებზე;

10. ომის დასაწყისში სხვა სახელმწიფოების ნავსადგურებში ინტერნირებული სატრანსპორტო ფლოტის ხომალდების ეკიპაჟის წევრები;

11. პირები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის წლებში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დავალებით აგროვებდნენ საბრძოლო მასალებს და სამხედრო ტექნიკას, განნაღმავდნენ ტერიტორიებსა და ობიექტებს;

12. პირები, რომლებიც ქალაქ ლენინგრადის ბლოკადის პერიოდში 1941 წლის 8 სექტემბრიდან 1944 წლის 27 იანვრამდე მუშაობდნენ მის საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში და დაჯილდოებული არიან მედლით "ლენინგრადის დაცვისათვის" ან ნიშნით "ლენინგრადის ბლოკადის მცხოვრებს";

13. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საკონცეტრაციო ბანაკებსა და გეტოებში იძულებით პატიმრობაში მყოფი მეომრები და სხვა პირები, რომლებსაც დამატყვევებელი მხარის სასარგებლოდ წარმოებულ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობა არ მიუღიათ ნებაყოფლობით და ყოფილ არასრულწლოვანი პატიმრები.

სამხედრო ნაწილების, შტაბებისა და დაწესებულებების ნუსხას, რომლებიც ომის წლებში შედიოდნენ მოქმედი არმიის შემადგენლობაში, აგრეთვე ნუსხას იმ ქალაქებისა, რომელთა დაცვაში მონაწილეობა ჩაითვლება წელთა ნამსახურობაში შეღავათიანი პირობებით პენსიის დასანიშნავად, რაც დაწესებულია მქმედი არმიის საბრძოლო ნაწილების სამხედრო მომსარებისათვის, ამტკიცებს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური საქართველოს სახელმწიფოს მეთაური საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის წარდგინებით.

თქვენ შეგიძლიათ, მიმართოთ ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტს და გაიგოთ თქვენთვის საინტერესო ინფორმაცია.

**ვაჟა ენუქიძე**

ევროპის სასამართლოდან, სტრასბურგიდან, ჩემს საჩივარზე მივიღე 2003 წლის 18 აგვისტოს გამოგზავნილი პასუხი: "თქვენ საჩივარს სასამართლო განიხილავს შესაძლებობისთანავე, თქვენს მიერ წარმოდგენილი საბუთებისა და ინფორმაციის საფუძველზე". გთხოვთ, მიპასუხოთ, სავარაუდოდ როდის უნდა ველოდო პასუხს?

ბატონო ვაჟა,

1950 წლის "ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია" ეხება რა სტრასბურგის ევროპის სასამართლოს, არ განსაზღვრავს მითითებული საკითხის ირგვლივ რაიმე ვადას.

მცხეთა და ქვეყანა მისი



B2

ფრანგული მანქანის ქართული დიზაინი



B3

პირველად ქართველი მაყურებლის წინაშე



B8

მერიდიანი

# მემარცხენეობის საყმაწვილო სენი

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ-ში

ცხოვრობს დედამიწაზე, უფრო სწორად, როდ-აილენდის შტატის ქალაქ ნიუპორტში ვინმე ბრენდა ლ. კონორსი. უფრო ზუსტად, ვინმე კი არა, ქალბატონი ბრენდა ნიუპორტის სახელგანთქმული სამხედრო-საზღვაო კოლეჯის (ოდესღაც მეც ვკითხულობდი იქ ლექციებს) სტრატეგიული კვლევების დეპარტამენტის თანამშრომელია. არანაკლებ შთამბეჭდავია ამ ქალბატონის სამსახურებრივი მიღწევები. ის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის პროტოკოლისა და პოლიტიკურ განყოფილებებში მუშაობდა, მანამდე კი ერიკ ჰოპკინსის საბალეტო კომპანიის სოლისტი გახლდათ.

სამხედრო პოლიტიკის, დიპლომატიისა და ბალეტის ერთმანეთთან დაკავშირებით ქალბატონმა კონორსმა ანალიზის ახალი სახეობა შეიმუშავა, რომელსაც თავად "მოძრაობის ანალიზს" უწოდებს და ამ მიმდინარეობის უმაღლეს ქურუმად ითვლება. ქალბატონი კონორსი, რომელიც ერთდროულად პროტოკოლისტიც იყო და ბალერინაც, ჩვენი საწყალი პლანეტის სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეების მიღება-გაცილებისას, მივიდა დასკვნამდე, რომ მათი სხეულის მოძრაობა - სიარულის მანერა, ჟესტიკულაცია, სახის მიმიკა - არის ენა, რომლის საშუალებითაც ვლინდება არა მარტო ამ ადამიანების ემოცია, არამედ მათი ხელმძღვანელობის სტილი. ვიდეოფირების დახმარებით მსოფლიო ლიდერთა სხეულის მოძრაობის სკრუპულოზურად გაანალიზებითა და მედიცინის, ფსიქოლოგიის, ანთროპოლოგიისა და სხვა მეცნიერებათა ექსპერტებთან კონსულტაციების შედეგად კონორსი "ძლიერთა ამა ქვეყნისათა" პროფილ-პორტრეტებს ქმნის. ამ მიდგომის, რბილად რომ ვთქვათ, "ეზოთერულობის" მიუხედავად, კონორსის მეთოდი ვაშინგტონის ადმინისტრაციაში წარმატებით სარგებლობს. მაგალითად, მას იყენებს პენტაგონის ლეგენდარული ანალიტიკოსი ენდრიუ მარშალი.

ქალბატონი კონორის მიერ შექმნილ ანალიტიკურ პროფილებ-პორტრეტებს შორის რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის პორტრეტიცაა. ის ძირითადად პუტინის "გასაკვირად არარეგულარულ სიარულის მანერაზე" დაკვირვებას ეყრდნობა. იმ ვიდეოფირის დემონსტრირებისას, რომელიც ძირითადად რუსეთის ტელევიზიის სიუჟეტებისგან შედგება და კრემლის ანდრეევსკის დარბაზში 2000 წელს ჩატარებული ინაუგურაციით დაწყებული, პუტინის პრეზიდენტობის ხანას მოიცავს, კონორსი შემდეგ კომენტარს აკეთებს: **"შენელებული ჩვენებისას ჩანს, რომ პუტინის მარცხენა ხელი და ფეხი მსუბუქი, ბუნებრივი რიტმით მოძრაობს. მაგრამ აი, იდაყვში მოხრილი მარჯვენა ხელი მოუქნელად მოძრაობს, თითქოს, მხარი აიძულებს კონვულსიურად იქანავოს. მარჯვენა ფეხი კი უკან რჩება, სხეულის მთელი სიმძიმის აბსორბირებას ვერ ახდენს... პუტინის სიარულისას მთელი ენერგია მარცხნიდან მოდის, მარჯვენა კი მხოლოდ ემორჩილება მას. სხეულის მარჯვენა მხარე საერთოდ გაყინულივითაა. როდესაც მარჯვენა ხელში კალამი უჭირავს, ის მოუქნელად გამოიყურება"**.



ვთქვათ, რომ ეს მართლაც ასეა. რა დასკვნები გამოაქვს აქედან კონორსს? მისი თქმით, მან კონსულტაციისთვის მიმართა მთელ რიგ ექსპერტებს, მათ შორის, ქირურგ-კარდიოლოგს სენტ-ლუისიდან თომას პეცელას, ნიუპორტის სამხედრო-საზღვაო ჰოსპიტალის ორ ქირურგ-ორთოპედსა და "სხეულისა და გონების კოორდინაციის" სკოლის დამაარსებელ ბონი ბეტიბრიჯ კოგენს (ის თავად ნევროპათოლოგად ითვლება). ექიმების ამ არეოპაგ-კონსილიუმმა პუტინის "მემარცხენეობის საყმაწვილო სენის" რამდენიმე ინტერპრეტაცია შეიმუშავა. ზოგიერთები ვარაუდობენ, რომ პუტინს, შესაძლოა, ინსულტი (!) ჰქონდა. მეორენი ამბობენ, რომ, შესაძლოა, საქმე ჰქონდეთ სამშობიარო ტრამვასთან, რომლის დროსაც მარცხენა მხარი დაზიანდა. მესამენი არ გამორიცხავენ, რომ ბავშვობაში პუტინი პოლიომელიტით იყო დაავადებული. ექიმები "ეჭვობენ", რომ პუტინის მარჯვენა ხელის თითები მოკლებულია მგრძნობელობას. (ვიდეოფირზე, რომელზეც აღბეჭდილია პუტინი ძიუდოს ორთაბრძოლისას, ჩანს, რომ ის ფეხზე ადგომისას, გაშლილ თითებს კი არ ეყრდნობა, არამედ მუშტად შეკრულ ხელს). კონორსი მიიჩნევს, რომ ჩვილობისას პუტინი საერთოდ არ ხოხავდა, რადგან არ გააჩნდა ის, რასაც მეცნიერები "კონტრალატერალურ მოძრაობას" უწოდებენ. ამის ნაცვლად პუტინი თევზივით მოძრაობდა (მოძრაობა: "თავი - კუდი").

დავუშვათ, ასეა. და რას უნდა ნიშნავდეს ეს? კონორსის აზრით, პუტინის ფიზიკურმა ნაკლმა **"მას გადარჩენის ინსტინქტი და საკუთარი სხეულის გაძლიერების მიზანსწრაფვა გამოუმუშავა. როდესაც ჩვენ რაიმეს გაკეთება არ შეგვიძლია, ჩვენი ცხოვრების სტილად თავდაუზოგავი შრომა იქცევა. სწორედ ამას უნდა მიეწეროს პუტინის წარმატებები ძიუდოში. ის ციგურებით მრბოლს ჰგავს, რომელიც დაზიანებული ტერფის მიუხედავად, ოლიმპიური ჩემპიონი ხდება"**. უნდა ითქვას, რომ კონორსი სიმპათიით არის პუტინის მიმართ განწყობილი, თუმცა, მისი დასკვნები ერთგვარად "კლინიკურად" ჟღერს. კონორსი ამბობს: **"ძალზე ძნელია მისი ვიდეოჩანაწერების ყურება, მაგრამ ის შესანიშნავად უმკლავდება თავის ნაკლს"**. ამით ის თურმე ამერიკის დიდებულ პრეზიდენტს თეოდორ რუზველტსაც შეიძლება შეადარო, რომელიც საკმაოდ ავადმყოფი ბავშვი იყო, მაგრამ ძლიერი ნებისყოფა ჰქონდა, თავს იკაჟებდა, რეგულარულად ვარჯიშობდა და კრივს მისდევდა. (სხვათა შორის, პუტინსა და რუზველტს შორის მსგავსება ამით როდი მთავრდება. მათ ოლიგარქებისადმი სიძულვილიც ანათესავებთ. სწორედ თეოდორ რუზველტმა დაშალა როკფელერის ნავთობის მონოპოლია "სტანდარტ ოილი" და უარი თქვა თეთრ სახლში სუპერბანკირის მორგანის მიღებაზე. მართალია, მერე ისინი ციხეში არ ჩაუსვამთ, თუმცა კი მიზეზი არ აკლდა - მ.ს.).

თავისი მეთოდის გამოყენებისას კონორსი ხშირად განყენებულ ემპირიებში ვარდება, რადგან ღრმა ფილოსოფიით არის დაკავებული მეჩხერ ადგილებში. ასე მაგალითად, ის მიიჩნევს, რომ პუტინის სწრაფვა თავისი სხეულის "გამთლიანებისკენ" განსაზღვრავს მის მცდელობას, რუსეთი დაშლას გადაარჩინოს (თითქოს, რუსეთის ფიზიკურად უფრო ძლიერი მმართველები იმავეს არ ცდილობდნენ). თევზისმაგვარმა, რეპტილიისებურმა მოძრაობამ, რომელიც თითქოს პუტინს ღრმა ბავშვობაში ახასიათებდა, თურმა გავლენა იქონია პუტინზე - პრეზიდენტზე. **"თევზებისა და რეპტილიების მსგავსად, რომლებიც მონდომებით იცავენ თავიანთ ტერიტორიებს და რეფლექსის დონეზე, მომენტალურად რეაგირებენ, თუ ამ ტერიტორიას უცხო ხელყოფს, პუტინიც ასევე რეაგირებს ჩრდილოეთ კავკასიაში ბოევიკების მოქმედებებზე"**, - ირწმუნება კონორსი. ასე რომ, პუტინს რომ ბავშვობაში ყველა სხვა ბავშვივით ეხოხა, დღეს სისხლისმღვრელ ომს აღარ აწარმოებდა! მაგრამ, რუსეთის საბედნიეროდ, პუტინი თევზისებურად გადაადგილდებოდა და მუდმივმა ძიუდოში ვარჯიშმა ასწავლა, რომ "სუსტები მარცხდებიან". ამიტომაც, ჩეჩენ სეპარატისტებთან მიმართებაში პუტინი "დაუნდობელი და სასტიკია". ამიტომაც შეაფასეს მისი თავი ჩეჩენმა ბოევიკებმა 20 მილიონ დოლარად და გამუდმებით ცდილობენ მისი ქალიშვილების გატაცებას.

ქალბატონი ბრენდა ლ. კონორსი თავისი "მოძრაობის ანალიზის" გამოყენებით, იმასაც კი ამბობს, რას მოიმოქმედებს პუტინი, როდესაც მისი პრეზიდენტობის ვადა ამოიწურება (2008 წელი). თუ ის ჩათვლის, რომ მისი სამუშაო ჯერ არ დასრულებულა, შესაძლოა, თავისი მმართველობის ვადის გაგრძელება სცადოს, რადგანაც, კონორსის თქმით, პუტინს არ უყვარს შუა გზაზე საქმის მიტოვება (ეს მაშინაც კი ასე იყო, როცა ძუძუს სწოვდა). თუმცა, მეორე მხრივ, კონორსის ანალიზი ამბობს, რომ რუსეთის პრეზიდენტმა, შესაძლოა, საკუთარ თავში აღმოაჩინოს, რომ ზოგჯერ დიდი ნებისყოფა და ძლიერი ნება, რომლებმაც ის ხელისუფლების სათავეში მიიყვანა, რაღაც მომენტში "იწყებს მომაკვდინებელი დივიდენდების მოტანას". რა იგულისხმება "მომაკვდინებელ დივიდენდებში"? რა და, ის, რომ რუსეთს "აქვს თვისება სასტიკად მოექცეს თავის მმართველებს". რუსეთის სისასტიკე შობს ისეთ კერკეტ კაკალ-მმართველებს, როგორც პუტინია. მაგრამ თითქმის ყოველთვის, რუსეთი მათ "გატეხვას" ახერხებს.

ამ უკანასკნელს დასკვნას ძნელია არ დაეთანხმო. არა იმიტომ, რომ ქალბატონი კონორსის "მოძრაობის ანალიზი" უნაკლოა, არამედ იმიტომ, რომ ამაზე მოწმობს რუსეთის სახელმწიფოებრიობის მთელი ისტორია...

აი, რაც შეეხება რუსეთის პრეზიდენტის სიარულის მანერას თავისი "მემარცხენეობით", მისი ინტერპრეტაციისთვის კონორს ამერიკელი ფსიქოლოგების, ქირურგებისა და ორთოპედებისთვის კი არა, რუსი ქუჩის ბიჭებისთვის უნდა მიემართა. პუტინის სიარულის მანერა ტიპურია, "ჩვენებური ბიჭის" და არა "მემარცხენეობის საყმაწვილო სენის" შედეგი.

# მონა ლიზა დაბრუნდა

ჩვენი პლანეტის ყველაზე ლამაზი ქალბატონი საკუთარ სახლში დაბრუნდა და, როგორც ჩანს, სამუდამოდ. მაფიოზურ იერარქიის პერიფრაზს თუ გავაკეთებთ, შეიძლება ითქვას, რომ ყველა საოცრებაზე მეტი საოცრების კაპრიზი ახალი მოსასვენებელი იყო და მიიღო კიდეც. საუბარია ფლორენციელი ვაჭრის ფრანჩესკო დელ ჯოკონდოს 24 წლის ლიზაზე, რომელსაც "მონა" შეარქვეს (ეს "მადონას" შეკვეცილი ფორმაა, რომელიც ამ შემთხვევაში ქალბატონს ნიშნავდა არა წმინდანს).

1503 წელს ფლორენციელმა ოლიგარქმა ლეონარდო და ვინჩის ლიზას, (ქალიშვილობაში ჯერალდინის) პორტრეტი შეუკვეთა. ოთხი წლის განმავლობაში მხატვარს ალვის ხის დაფაზე გადაჰქონდა ლა ჯოკონდას შეუდარებელი ხატება, რომლის ამოუცნობი ღიმილი დღესაც აგიჟებს უამისოდაც შეშლილ კაცობრიობას. როგორც ჩანს, შემკვეთიც შეშლილი იყო. ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, მან მონა ლიზას პორტრეტი არ გამოისყიდა და ის მის შემქმნელს დარჩა. 1516 წელს და ვინჩიმ კარავი დასცა საფრანგეთში, სადაც მას მეტად აფასებდნენ. მონა ლიზა მის კვალს გაჰყვა და მის გვერდით დაჰყო 1519 წლამდე. იქამდე, ვიდრე ღმერთმა ლეონარდოს თავისთან უხმო.

1798 წელს მონა ლიზა ის-ის იყო სამეფო სასახლიდან მუზეუმად გადაკეთებულ პარიზის ლუვრში დასახლდა. 1800 წლიდან ოთხი წლის განმავლობაში ყველაზე ცნობილი ქალბატონი ყველაზე ძლევასმოსილი მამაკაცის მძევალი იყო. ის იმპერატორ ნაპოლეონის საძინებელ ოთახში ეკიდა. (ვერ წარმომიდგენია, როგორ ცხოვრობდა ის სხვა ქალებთან ლა ჯოკონდას თანდასწრებით!)

ნაპოლეონი წმინდა ელენეს კუნძულზე გარდაიცვალა, მონა ლიზა კი ყველა რეჟიმის დროს - იმპერიული იქნებოდა თუ რესპუბლიკური - ლუვრში მეფობდა. ბედის უცნაური ირონიის წყალობით, მსოფლიო სახელი მონა ლიზას ნაპოლეონ ბონაპარტმა კი არა, ლუვრში მომუშავე იტალიელმა მხატვარმა, ვინმე ვინჩენცო პერუჯიამ მოუტანა. 1911 წლის 21 აგვისტოს მან მონა ლიზა ჩარჩოდან ამოიღო და მუზეუმიდან გაიტანა. მსოფლიო მასმედიის გოდება 1913 წელს შეწყდა, როდესაც გამტაცებელი იტალიაში დააკავეს. მონა ლიზა ლუვრში ტრიუმფით დაბრუნდა. მის სახელს ადიდებდნენ ისე, როგორც არასდროს. სახელი ერგო მას, თავის ტკივილი - ლუვრის დოყლაპიებს, რომელთაც მისი მოტაცება დაუშვეს. 1956 წელს დოყლაპიებს ხელიდან დაუსხლტათ შეშლილი, რომელმაც მონა ლიზას მჟავა შეასხა. იმავე წელს, ოღონდ, ოდნავ მოგვიანებით, მადონას ქვა ესროლეს (ვიღაცამ პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო ქრისტეს მოწოდება მარია მაგდალინელისთვის ქვის სროლის შესახებ). მონა ლიზა ტყვიაგაუმტარი მინის ქვეშ მოათავსეს. შუშის მიღმა მონა ლიზას ამოუცნობი ღიმილი კიდევ უფრო ამოუცნობი ხდებოდა.



როგორც ხდება ხოლმე, ყველა საოცრებაზე მეტმა საოცრებამ მსოფლიოს გარშემო დაიწყო გასტროლირება. უპირატესობას იმ დედაქალაქებს ანიჭებდა, სადაც მეტს იხდიდნენ. 1963 წელს მონა ლიზა ვაშინგტონსა და ნიუ იორკში გამოფინეს. 1974 წელს მან ორი თვე ტოკიოში გაატარა. ამ გასტროლებზე მონა ლიზამ საკმაო რაოდენობის ფული მოხსნა, მაგრამ ლუვრის დოყლაპიები მაინც წუწუნებდნენ. ცხადი გახდა, რომ სუპერსაოცრებას მეტი მოგების მოტანა შეეძლო თუ ის პარიზში, ლუვრში დარჩებოდა. მის გარეშე პარიზი ისე იყო, როგორც ეიფელის კოშკის გარეშე, ლუვრი კი ლუვრს აღარ ჰგავდა და პარიზიც იმდენი არ ღირდა.

სტატისტიკას მივმართოთ - ლუვრის სუვენირების მაღაზია ყოველწლიურად მონა ლიზასთან ასე თუ ისე დაკავშირებულ 300 ათას საგანს ყიდის, ამას პლუს - 200 ათასი ღია ბარათი მონა ლიზას გამოსახულებით, პლუს 20 მაგნიტი, პლუს 10 თავსატეხი. ისიც გამოთვლილია, რომ მნახველთა 80 პროცენტი ლუვრში "მონა ლიზას გამო" მოდის. ტურისტთა რამდენი პროცენტი ჩადის პარიზში "მონა ლიზას გამო", ამის გამოთვლა არ მოხერხდა, მაგრამ, ფულითა და კამერებით აღჭურვილი ამერიკელი და იაპონელი ტურისტები უაზროდ მიშტერებოდნენ იმ ადგილს, საიდანაც მონა ლიზა ჩამოხსნეს. დიდ ოსტატთა - რუბენსის, ბოტიჩელის, ტიციანისა და სხვათა ფუნჯით შექმნილი მშვენიერი მადონა და უბრალო ქალი ჩამოუხსნიათ ლუვრის კედლებიდან, სარესტავრაციოდ წაუღიათ და მათი არყოფნა არავის შეუმჩნევია. "ხელები შორს მონა ლიზასგან" - მოითხოვს ტურისტული ინტერნაციონალი.

2005 წელს, პირველად უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში, ტურისტები ვეღარ იხილავენ მშვენიერ ქალბატონს. ძველ აპარტამენტებში - ლუვრის ერთ-ერთ ფრთაში (ის ოთხი წელია რემონტდება) გადმოსვენებულ ქმნილებას მხოლოდ რჩეულები თუ ნახავდნენ. ამის შესახებ ლუვრის დირექციამ 6 ათასამდე (!) ტურისტული კომპანია წინასწარ გააფრთხილა. განცხადება ათ ენაზე, ყველა ვებსაიტზე გამოქვეყნდა (დიდი შანსი იყო, რომ მონა ლიზის თაყვნისმცემლებს წინასწარ გადახდილი თანხა უკან გამოეთხოვათ).

უდავოა, რომ მონა ლიზას საუკეთესო ადგილსამყოფელი შეურჩიეს. მისი ახალი სამფლობელო საგრძნობლად გაფართოვდა. ახლა მის ხილვას საათში 1500-მდე ადამიანი მოახერხებს (ყოველწლიურად ლუვრს ექვსი მილიონი დამთვალიერებელი ჰყავს, თუ უფრო დეტალურად დაინტერესდებით, დანარჩენი თავად გამოთვალეთ!). ქმნილებას მოდერნიზებული აქვს განათება, რომელიც ისეა მოწყობილი, რომ ტყვიაგაუმტარი დამცავი მინის ანარეკლი არასოდეს შეგაწუხებთ (ტყვიაგაუმტარი მინის იდეა 1956 წელს დაბადებულა, როცა ერთ ნორჩ ბოლივიელს, პროლეტარიატის უცვლელი იარაღი - მოზრდილი ქვა ხელუხლებელი ქალბატონისთვის დაუმიზნებია და მისი მარცხენა ხელის ნაზი იდაყვი დაუზიანებია). იმისათვის, რომ მონა ლიზას ტურისტების ცნობისმოყვარეობისგან დროდადრო მაინც "ამოესუნთქა", ღირსეული მეზობლებიც გამოუნახეს. ჰოლის საპირისპირო კედელს პაოლო ვერონეზოს ნამუშევარი "ქორწინება კანაში" ამშვენებს. სხვა ნამუშევართა შორის ის ყველაზე მოზრდილია. აქვე დაიდებს ბინას ვენეციური სკოლის რამდენიმე ქმნილება, მათ შორის, ტიციანის Conurt Champetze...

ვიმეორებ, რომ ინსტალაცია დახურულ კარს მიღმა შედგა. ჩვეულებრივი, მოკვდავი მნახველებისთვის ლუვრი დაკეტილი გახლდათ, ასევე, დაკეტილი იყო მეორე დღესაც.

თუკი მონა ლიზას უბრალო მსახურები საჭურისები არიან, სესილ სკაილიერესი მისი მთავარი დუენიაა. უკვე ოცი წელიწადია ეს კურატორი ქალბატონს თავალუხილავი მტვრის ნაწილაკებისგან კრძალვით იცავს. სუპერქალი სუპერპრიმადონაცაა და პოპ-ხატიც, ამიტომაც თავისებური ახირებებით გამოირჩევა - ყველა მის ნებას უნდა დაჰყვეს, შეასრულოს მისი უმნიშვნელო სურვილი. მონა ლიზას დრო მხოლოდ იმის გამო ვერ იტანს, რომ არაფრით ემორჩილება და ჩვეული მუშაობის რიტმს ურღვევს. ტურისტები მონომანიით ავადობენ, დაცვის წევრები კი - ნერვებს უჩიავიან, რადგან ყურადღებას ერთი წამითაც კი ვერ ადუნებენ. ყველგან ელანდებათ ქურდები და ქურდბაცაცები, რომლებიც მონა ლიზას სილამაზით მონუსხულ-პირდაღებული მაყურებლების გაძარცვას ცდილობენ. ექსპერტები დარდობენ, რომ ფოტოგრაფების ცოცხალ კედელს ვერ არღვევენ.

და ამ ორომტრიალის ცენტრში მთავარი მოქმედი პირი დუენიაა.

ის პრესასთან ჩიოდა:

ეს მოუხერხებლობასთანაა დაკავშირებული! მონა ლიზა საკუთარ წესებს თვითონ კარნახობს!

დუენია ყვება, რომ წლების განმავლობაში მონომანთა რაოდენობა გეომეტრიულად იზრდება. მონა ლიზას სასიყვრულო ბარათებით აწუხებენ და პასუხის გაცემას კი დუენიას სთხოვენ! წერენ კოდირებულ წერილებსაც. არც ისე დიდი ხნის წინ ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა პორტრეტის ზომასა და და ვინჩის დაბადების დღეს შორის საიდუმლო კავშირი აღმოაჩინა. თვითონ სესილი, მეჩვიდმეტე საუკუნის ევროპული ხელოვნების ისტორიის სპეციალისტი, რომელიც და ვინჩის უბრალოდ "ლეონარდოს" ეძახის და რომელსაც "ეკოლ დუ ლუვრი" აქვს დამთავრებული, ავტორი წიგნისა, სადაც მონა ლიზას გარშემო შექმნილი მითებია გაცამტვერებული, პრინციპულად არ კითხულობს ბრაუნის "და ვინჩის კოდს". "ეს კომერციაა, - აცხადებს გულამღვრეული, - ბესტსელერის შეკოწიწება ჩემი საქმე არაა".

"კოდი" მაინც და მაინც გულზე არც ლუვრის გიდს, სონი ბრიუნელს ეხატება. "სულელივით" (ასე უწოდებს თავს) უნდა ელოდოს ტურისტებს, რომლებიც მონა ლიზას ფონზე უამრავ სამახსოვრო ფოტოს იღებენ (როგორც ერთ ანეგდოტშია: "სერიოჟა, მარჯვნივ მე ვარ, მარცვნივ კი აპოლოა..."). ის მიზანმიმართულად არღვევს მარშრუტს და "ბოლოსთვის" იტოვებს მონა ლიზას, რომ მნახველები გზაში არ "დაეთესონ". ქალბატონი ხომ არ აღიარებს ლუვრში არსებულ ქრონოლოგიურ პრინციპს.

მაგრამ ტურისტებსაც უნდა გავუგოთ.

იყო პარიზში და არ ეწვიო ლუვრს, ე.ი. სულელი ხარ. იყო ლუვრში და არ ნახო მონა ლიზა, ე.ი. იდიოტი ხარ.

"აპრილი პარიზში," - ასე მღერიან ლეგრანის ცნობილი შანსონში. ნაბლი პასტერნაკისეულად ჰყვავის - გაცხარებით. და მონა ლიზა სენაზე გაზაფხულის მოსვლას დირიჟორობს. მარცხენა სანაპიროს ბისტროში კი ნატ კინგ კოულის "მონა ლიზას" ატრიალებენ...

B2 რევიუ B3 რევიუ B4-5 სპორტი B6 მეცნიერება და ტექნიკა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა



## აფიშა

### კონცერტები

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ოთარ თაქთაქიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი
დას: 19:00 სთ.

### თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
მარიუს ფონ მაინბურგი
"ცივი ბავშვი"
რეჟისორი: გურამ ბრეგაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ავქსენტი ცაგარელი
"ხანუმა"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**გლობუსი**
ჯოვანი ბოკაჩო
"დეკამერონი"
რეჟისორი: სანდრო მრევლიშვილი
ფასი: 2-3 ლარი
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ევრიპიდე, ჟან ანუი
"მედეა"
რეჟისორი: გოჩა კაპანაძე
დას: 19:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
პრემიერა
"სამყარო"
ავტორი და რეჟისორი: დ. შალიკაშვილი.
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
არტურ მილერი
"ყველა ჩემი შვილია"
რეჟისორი: ლეო ანთაძე
დას: 18:00 სთ.

### კინოთეატრები

**რუსთაველი**
"რობოტები"
დას: 14:30 სთ.

"დაიკიდე"
დას: 12:00; 17:00; 19:30; 22:00 სთ.

**ამირანი**
"დაიკიდე"
დას: 13:00; 15:30; 20:00; 22:15 სთ.

"ტუსაღი"
დას: 22:00 სთ.

### გამოფენები

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
სააღდგომო გამოფენა
"თექა-მიქსი"

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**თაგის არტი**
"ფიროსმანი თენგიზ მირზაშვილის თვალით"

**ჰობი**
სააღდგომო გამოფენა
(ფერწერა, გრაფიკა)

**ბავშვთა ნახატების გალერეა**
ნორჩ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა
"ევროპა-საქართველო"

**ეროვნული გალერეა**
გერმანელი მხატვრის ბერნარდ შვარცერის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**ცენტრ-პოინტის გალერეა**
ლია ბაგრატიონის ნამუშევრების გამოფენა "ფორმის ფორმა"

**სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსი**
საბიბლიოთეკო კვირეულის გახსნა
დას: 12:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*


### საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის** წარმოების დასაფინანსებლად

გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით

პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2005 წლის 31 მაისი, 17:00 სთ.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის** წარმოების დასაფინანსებლად გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით

პროექტების შემოტანის საბოლოო ვადაა 2005 წლის 20 მაისი, 17:00 სთ.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**დოკუმენტური ფილმის** წარმოების დასაფინანსებლად გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით

პროექტების შემოტანის საბოლოო ვადაა 2005 წლის 20 მაისი, 17:00 სთ.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**ანიმაციური ფილმის** წარმოების დასაფინანსებლად გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით

პროექტების შემოტანის საბოლოო ვადაა 2005 წლის 20 მაისი, 17:00 სთ. დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საქართველოს ეროვნულ კინოცენტრს:

0105 თბილისი, მარჯვენა სანაპიროს 4

ტელ/ფაქსი: 98 42 01 E-mail: kinocentre@myoffice.ge


# მცხეთა და ქვეყანა მისი

## განახლებული ექსპოზიცია განახლებულ მუზეუმ-ნაკრძალში

ვერა ნეფარიძე

*მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალის აღდგენილ საგამოფენო სივრცეში განახლებული ექსპოზიციის გახსნა გუშინ დიდი სტუმრიანობით აღინიშნა. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელები, ელჩები იყვნენ გამოფენის პირველი დამთვალიერებლები. საზეიმო განწყობას უდავოდ ჰქონდა ობიექტური მიზეზიც: მუზეუმი, რომელიც უკანასკნელ წლებში ნგრევის პირას მივიდა და ფუნქციის შესრულებაზე საუბარიც ზედმეტი იყო, აღდგა და საკმაოდ რთული მისიის შესასრულებლად მზადყოფნაშია.*

მუზეუმ-ნაკრძალის მისია, მარტივად რომ ვთქვათ, ასეთია: მცხეთის სტუმრები დააინტერესოს და "აიძულოს" მის ზღურბლს გადააბიჯონ. მაშინ, როდესაც გარეთ საქართველოს სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები უხვადაა, მუზეუმ-ნაკრძალად წოდებული დანგრევის პირას მიყვანილი შენობა, ცხადია, ვერ შეძლებდა ფუნქციის შესრულებას. სარემონტო სამუშაოები მუზეუმ-ნაკრძალში რამდენიმე თვის წინათ დაიწყო. ვინც მუზეუმში რემონტის დაწყებამდეც იყო და გუშინაც, ყველა აღნიშნავდა, რომ ეს ორი სივრცე ცა და დედამიწასავით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. თუმცა, მუზეუმ-ნაკრძალის პრობლემა მხოლოდ დაზიანებული ნაგებობა არ იყო.

გასული საუკუნის 50-90-იან წლებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა შარშან ოქტომბრამდე მუზეუმის საცავებში ინახებოდა. საცავებში ნივთების შესანახად არანაირი პირობა არ არსებობდა. ოთხასამდე ექსპონატი უმძიმეს მდგომარეობაში ჩააბარეს რესტავრატორებს. მათი რესტავრაცია-კონსერვაცია, შენობის სარემონტო სამუშაოებთან ერთად საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ და ს/ს "მინამ" დააფინანსა.



ვახო ბასილიას ფოტო

"ოქტომბერში დავიწყეთ პირველ ეტაპზე 120 ნივთის რესტავრაცია. ყველა მათგანი მეტად რთულ მდგომარეობაში იყო. სამუშაოებს ორი ეტაპი დასჭირდა. საბოლოოდ ექსპოზიციაზე მუშაობა სამი დღის წინათ დავასრულეთ", - ამბობს რესტავრატორი ხელოვნების მუზეუმიდან, ქალბატონი ნანა გოგინაშვილი. მასთან ერთად ნივთების გაწმენდაზე მუშაობდნენ: არქეოლოგიური კვლევის ცენტრის წევრები: გივი ინანიშვილი, ნინო თავართქილაძე, მარინა გეწაძე, სპექტრული ანალიზი აწარმოეს: მანანა მარგველაშვილმა და ქეთევან ცქიტიშვილმა.

ექსპოზიციაში (რომლის სახელწოდებაა: "მცხეთა და ქვეყანა მისი, ძვ. წ. IV ათასწლეული - ახ. წ. V-VI ს.ს") წარმოდგენილია დიდი მცხეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისა და ახ.წ. I-IV ს.ს სამაროვნებზე, XX ს. 50-იან - 90-იან წლებში მოპოვებული ლითონმქანდაკებლობის ახლად გაწმენდილ-გამაგრებული 380 ძეგლი; ასევე, XX ს. 60-იან წლებში გათხრილი და აქამდე ფართო საზოგადოებისათვის უცნობი ახ.წ. I-III ს.ს. ძეგლები მცხეთის V-VII ს.ს. "კარიბჭის" ტერიტორიიდან. ნივთები განეკუთვნება სხვადასხვა (კამარახევის, ნასტაკისის, ნატახტარის და სხვა) სამაროვნებს.

როგორც ცნობილია, სამთავროს ველზე არქეოლოგიური გათხრები საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობის განახლებას უკავშირდება. გათხრები მეოცე საუკუნის 30-იან წლებში განახლდა, საფუძვლიანი კვლევა კი - 1938 წელს. ივანე ჯავახიშვილი მიუთითებდა: "არ არსებობს მატერიალური კულტურის თითქმის არც ერთი დარგი, რომლის ისტორიისათვის ამ გათხრებმა არ მოგვცეს მდიდარი არქეოლოგიური მასალა". დიდი მეცნიერის ვარაუდი 1938-39 წლებში გამართლდა, როდესაც სამთავროს სამაროვანზე 724 სამარხი და ხუთი ათასამდე დასახელების ნივთი შეისწავლეს. მას შემდეგ, ველის კვლევა რამდენჯერმე შეჩერდა. 1976 წლიდან კი მისი შესწავლა გარკვეული პაუზებით გრძელდება. სამაროვნიდან მოპოვებულ ნივთებს შორის ვხვდებით: მიცვალებულთა პირად ნივთებს, ჭრილა ქვებს, სამგლოვიარო გვირგვინებს, მონეტებს, მინის ჭურჭელს, სარკეებს, სამკაულებს.

როგორც გუშინ მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორმა, თეიმურაზ ბიბილურმა თქვა, მუზეუმის ისტორიაში ეს იყო პირველი რესტავრაცია-კონსერვაცია. მანვე აღნიშნა, სამხარეო ადმინისტრაციის წვლილი სამუზეუმო სივრცის განახლებაში. მინისტრი გიორგი გაბაშვილი კმაყოფილი იყო გაწეული სამუშაოებით: "შვიდი თვის წინათ მე ვიყავი აბსოლუტურად განსხვავებულ სივრცეში. ეს არის დასაწყისი, რაზეც უნდა დაშენდეს ამ მუზეუმის საქმიანობა. მცხეთის მუზეუმი გაძლიერდება და მაგნიტივით მიიზიდავს არქეოლოგიით დაინტერესებულ საზოგადოებას", - განაცხადა მან. ექსპოზიციის განახლების მეცენატმა, ს/ს "მინას" დირექტორმა გოგი მგელაძემ კი, მხოლოდ დაგვაინტრიგა და გვითხრა, რომ მისი საწარმო მუზეუმის ხელმძღვანელობასთან ერთად ახალ პროექტს იწყებს. ანონსის გარეშე არ დაგვტოვა არც პრეზიდენტის რწმუნებულმა მცხეთა-მთიანეთში და გვითხრა, რომ მაისის ბოლომდე მცხეთას ექნება მკვეთრად დადგენილი საზღვრები.

განახლებულ ექსპოზიციასთან ერთად, მუზეუმის დირექციამ წარმოადგინა სერია "დიდი მცხეთა და ქვეყანა მისი" პირველი წიგნი. თეიმურაზ ბიბილურის თქმით, დირექციის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება დიდი მცხეთის არქეოლოგიური და ხუროთმოძღვრული ძეგლების პოპულარიზაციაც იქნება. სწორედ ამ მიზანს მოემსახურება ხსენებული სერია და ჟურნალი "მუზეუმი", რომელზეც უკვე დაწყებულია მუშაობა.

დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალის მხარდაჭერის მიზნით, "ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი" ექსპოზიციის განმავლობაში, დაიწყებს პროექტს "არქეოლოგიური ძეგლების მოტივებზე შექმნილი ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა". ამ აქციიდან შემოსული თანხა კი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალის ახალი საგამოფენო პროექტის - "ქართველი მხატვრების შემოქმედება მცხეთაში" პირველი ექსპოზიციის მომზადებას მოხმარდება. ასე რომ, ამიერიდან, მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალში თავისუფლად შეეძლებათ მსურველებს დაიკმაყოფილონ არქეოლოგიური ინტერესი და გაიფართოონ ცოდნა, რაც ზოგადად, მუზეუმის უმთავრესი ფუნქციაა.

# კარგი გამოფენა

## თოჯინური ფიგურები და დამსხვრეული ჩარჩოები გალერეა "კოპალაში"

ია ვეკუა

გალერეა "კოპალა" თბილისის ერთ-ერთი ყველაზე დატვირთული საგამოფენო სივრცეა, მაგრამ მის კედლებზე იაშვიათად ნახავთ საინტერესო ნამუშევრებს. აქ, ძირითადად, ისინი იფინებიან, ვინც მხატვრობას სამზარეულოში ტრიალს უთავსებენ ან წლობით ნაგროვებ ტილოებს მეგობრების დაჟინებული თხოვნის შემდეგ ამზეურებენ. თუმცა, ამ გალერეას კარგი საპრომოუშენო პროგრამა აქვს: პრეზიდენტის კორპუსის პირველ სართულზეა განლაგებული, ხოლო სტუმრებს ყოველთვის კარგი ღვინით უმასპინძლდებიან (გრადუსიანისთვის ყველა ნახატი ერთია).

გუშინ "კოპალამ" ეს არასასიამოვნო ტრადიცია დაარღვია და საკუთარი სივრცე არაჩვეულებრივ გამოფენას დაუთმო. ორგანიზაცია GAG-ში (ჯეო არტ გრუპ) გაერთიანებულმა ოთხმა მხატვარმა: მაკა ბატიაშვილმა, ანტონ ბალანჩივაძემ, ნინო მოსეშვილმა და ავთო გურგენიძემ პირველი ერთობლივი გამოფენა გამართეს. შეიძლება ითქვას, რომ ეს გამოფენა ერთ-ერთია იმ იშვიათ ექსპოზიციებს შორის, რომელიც მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში არ გხიბლავს და საფიქრალს თუ არა, მოსაგონარს ნამდვილად გიტოვებს.

ეს, პირველ რიგში, ახალგაზრდა მხატვრების თანამედროვე ხედვისა და ფერთა ენის სხარტად ფლობის დამსახურებაა. ისინი ნაკლებად ცნობენ ე.წ. ქართულ ფერებს, სტანდარტულ მონახაზებს და მოძველებულ კლიშეებს. ალბათ, ამიტომაც გამოსდით თითოეული ნამუშევარი ასე მეტყველი და შინაარსობრივად დატვირთული.



იური ლობოდინის ფოტო

თუმცა, ერთი მხრივ, ვინმეს მათი მხატვრობა, შესაძლოა, პრიმიტიულადაც მოეჩვენოს, რადგან ნახატების გმირები არასტანდარტული და მარტივი მონახაზებითაა შესრულებული. მაგალითად, ანტონ ბალანჩივაძის ადამიანები, ერთი შეხედვით, თოჯინებს მოგაგონებენ - დიდრონი თვალებითა და დედოფალებივით აპრეხილი წამწამებით. მაკა ბატიაშვილი კი ადამიანების ფიგურებს ხატავს და მათ შინაარსობრივი ფონით აძლევს სიცოცხლეს. განსაკუთრებით მეტყველია ბატიაშვილის ნახატი, რომელზეც გამოსახულია, როგორ დასტირის გოგონა მკვდარ ბატკანს... დიდი ინტერესი გამოიწვა ნინო მოსეშვილის არაბულმა სერიამ. მის მიერ წარმოდგენილი ჰარამხანები ოდნავ ერთფეროვანი, თუმცა დინამიკური და სანახაობრივია.

GAG ნოემბერში შეიქმნა და ადგილობრივ ბიზნესმენებთან თანაარსებობს. გუშინდელი გამოფენაც, სწორედ, მათი დამსახურებით შედგა. ბიზნესმენები მხატვრებს არა მხოლოდ სამუშაო მასალით, გამოფენების ორგანიზებითაც ეხმარებიან. ოთხმა ხელოვანმა ერთმანეთი ინტერნეტის საშუალებით მოძებნა (ამ კოალიციის ინიციატორი ანტონ ბალანჩივაძეა). ადრე ცალცალკე იფინებოდნენ, თუმცა საბოლოო გაერთიანებამდე მაინც მივიდნენ. მათ წინ კიდევ რამდენიმე პროექტი ელით, მათ შორის, თემატური გამოფენები. ამჯერად კი მხოლოდ საპრეზენტაციო გამოსვლით დაკმაყოფილდნენ და საგამოფენოდ ის ნამუშევრები გამოიმეტეს, რომლებსაც მხოლოდ ერთი რამ - ფერწერა აერთიანებთ.

იმას რომ, გამოფენა შედგა ისიც ადასტურებდა, რომ მის სანახავად მოსული საზოგადოება მხოლოდ მხატვრებისთვის ყვავილების მიძღვნით და ბანალური მილოცვებით არ შემოიფარგლებოდა. აქვე იყო თბილისის მერი, რომელმაც კულტურულ ღონისძიებაზე მისვლა, ალბათ, მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც დარწმუნდა, რომ მის ქალაქს წარღვნა არ ემუქრებოდა.

გამოფენაზე გამოტანილი ნამუშევრები იყიდება. მათი ფასი საშუალოდ 300-400 დოლარია.

# 100 კლასიკური კონკურსანტი

## თბილისში საერთაშორისო მუსიკალური კონკურსი იწყება

ია ვეკუა

სააღდგომოდ კლასიკური მუსიკის მოყვარულები მორიგ ციებცხელებაში ჩაერთვებიან. პირველ მაისს კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში დაიწყება ახალგაზრდა პიანისტთა თბილისის მეორე საერთაშორისო კონკურსი, რომელიც 8 მაისამდე გასტანს.

კონკურსი წელს მეორედ ტარდება. მისი ორგანიზატორია თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური. პირველად კონკურსი ორი წლის წინ ჩატარდა და მაშინაც დიდი ინტერესი გამოიწვია. ალბათ, ამის გამოა, რომ წლევანდელ კონკურსში ევროპის რამდენიმე ქვეყნის 20 წარმომადგენელი მონაწილეობს.

ახალგაზრდა პიანისტთა წლევანდელ კონკურსზე ჩამოვლენ პოლონელი, რუსი, უკრაინელი, აზერბაიჯანელი, სომეხი, იუგოსლავიელი და სერბი მუსიკოსები. წესების თანახმად, კონკურსანტთა ასაკი 10-დან 17 წლამდეა. ისინი ოთხ ასაკობრივ კატეგორიაში გამოვლენ. სტუმრები თბილისში 28 აპრილს ჩამოვლენ და ორი დღის განმავლობაში (29-30 აპრილს) რეპეტიციებს გაივლიან ხელოვნების მუშაკთა სახლში. აქვე ჩატარდება ტურები, ხოლო გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი და გალა-კონცერტი 8 მაისს თბილისის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება.

უცხოელ კონკურსანტთა გარდა, პირველობისთვის, ცხადია, ქართველი ახალგაზრდა პიანისტებიც იბრძოლებენ. მათი რაოდენობა სტუმრებისას აჭარბებს და კონკურსანტთა მთლიანი რაოდენობა ასს შეადგენს. თბილისის სამუსიკო სკოლების, მუსიკალური ათწლედისა და ტექნიკუმების მოსწავლეთა გარდა, კონკურსში საქართველოს რაიონებიდან ჩამოსული პიანისტებიც მიიღებენ მონაწილეობას.

კონკურსანტებისთვის გარკვეული წესებიც არსებობს. მსოფლიო კლასიკოსების გარდა, აუცილებლად უნდა შეასრულონ ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები (ეს უცხოელ მონაწილეებსაც ეხებათ).

პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასულები მოკრძალებული საპრიზო თანხით დაჯილდოვდებიან. გამარჯვებულს 250 ამერიკული დოლარი ერგება, დანარჩენებს - უფრო ნაკლები. სამაგიეროდ არსებობს იმის პერსპექტივა, რომ ჟიურის რომელიმე წევრი შეგამჩნევს და ნათელ მომავალს შეგპირდება. მაგალითად, პირველ კონკურსზე ერთ-ერთი ქართველი კონკურსანტი ჟიურის წევრს იმდენად მოეწონა, რომ სასწავლებლად პარიზში წაიყვანა და კონცერტებზეც გამოიყვანა.

ჟიურის შემადგენლობა კი შემდეგია: ვალენტინ შერსტიუკი (უკრაინა), ვერა ნოსინა (რუსეთი), ნევენა პოპოვიჩი (სერბია), ლია ნიქაბაძე და რევაზ ტაკიძე.

საპრიზო ადგილების გარდა კონკურსანტებს გადაეცემათ კულტურის გადარჩენის ფონდის, მსმენელისა და ჟიურის სიმპათიის პრიზები, დაჯილდოვდება ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოების საუკეთესო შემსრულებელი, მომავლის პიანისტი და სხვა.

# "თქვა ის, რასაც ხედავ, ამას დიდი გამბედაობა უნდა"

## ბერნდ შვარცერი თბილისში საკუთარი გამოფენის გახსნას დაესწრო

ვერა ნეფარიძე

*ევროპა, როგორც თემა, დიდი ხანია ბერნდ შვარცერის შემოქმედების ობიექტად იქცა. გერმანელმა მხატვარმა უზარმაზარი კოლექციის ნაწილი (რომელიც ეროვნული გალერეის სამ საგამოფენო დარბაზს ავსებს) თბილისში ჩამოიტანა. გამოფენა გუშინ გერმანიაში საქართველოს საელჩოს ძალისხმევითა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პატრონაჟით გაიხსნა.*



ეს გამოფენა არის მორიგი მცდელობა, რომ პოლიტიკური ვიზიტები კულტურულად შელამაზდეს. ამის გამოცდილება საქართველო-გერმანიის ურთიერთობებში ხუთი წლის წინათ შეიძინეს, როდესაც გერჰარდ შრიოდერის სტუმრობის პარალელურად თბილისში სახელოვანი გერმანელი მხატვრის, იორგ იმენდორფის გამოფენის ორგანიზება გერმანელმა კურატორმა რალფ პლაინმა და გერმანიაში საქართველოს ელჩმა მაია ფანჯიკიძემ ითავეს. აღსანიშნავია, რომ დიუსელდორფში არსებული რალფ პლაინის გალერეა წლების განმავლობაში გერმანიაში ქართველი მხატვრების შემოქმედების გასაცნობად მუშაობს. როგორც თბილისელი მხატვარი გია გურასპაშვილი იხსენებს, სწორედ პლაინის დახმარებით მოხვდნენ 1996 წელს ქართველი მხატვრები 28 ქვეყნის მხატვრებთან ერთად გრანდიოზულ, საერთაშორისო გამოფენაზე. მაშინ კურატორმა გერმანელ დამთვალიერებელს 300 ნამუშევარი აჩვენა საქართველოდან; ქართველ მხატვრებს კი, გამოფენაზე ყველაზე დიდი დარბაზი დაუთმო. გერმანიაში საქართველოს საელჩოსთან თანამშრომლობაც რალფ პლაინის ინიციატივა იყო. საელჩოში ამ თანამშრომლობით დაინტერესდნენ და გადაწყვიტეს, რომ კურატორთან ერთად საპასუხო გამოფენა მოეწყოთ თბილისში. რალფ პლაინი ბევრ გერმანელ მხატვართან თანამშრომლობს და აქვს უფლება, მათი შემოქმედება სხვადასხვა ქვეყანაში წარადგინოს. ხუთი წლის წინათ არჩევანი იორგ იმენდორფზე შეჩერდა. საქართველო-გერმანიის პოლიტიკურ-კულტურული ღონისძიებების კომბინაციას ამჟამად მაია ფანჯიკიძე ამგვარად იხსენებს: "როდესაც მე და რალფ პლაინი შევთანხმდით, გადავწყვიტე, გამოფენა შრიოდერის ვიზიტთან დამეკავშირებინა. მოგვიანებით, გერმანიაში რომ დავბრუნდი, ვნახე, იქაურმა პრესამ შრიოდიერის ვიზიტის პროგრამიდან უპირატესობა ამ გამოფენას მიანიჭა; თავად შრიოდერმა კი, როდესაც შეიტყო, რომ ჩვენთან იმენდორფის გამოფენა იხსნებოდა, მეორე დღეს პოლიტიკური შეხვედრების განრიგი შეცვალა და საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტთან ერთად მოვიდა გალერეაში. მაშინ მივედი დასკვნამდე, რომ კარგად ჟღერს, როდესაც პოლიტიკურ ვიზიტს კულტურული ღონისძიება ალამაზებს". ამგვარად დაუკავშირდა ამჯერადაც გერმანიის იუსტიციის ფედერალური მინისტრის ვიზიტს ბერნდ შვარცერის გამოფენის გახსნა თბილისში. არის კიდევ ერთი სასიამოვნო დამთხვევა: თბილისის გამოფენამდე ერთი დღით ადრე, ბერლინში ქეთი მატაბელისა და გია გუგუშვილის ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა. გერმანიაში საქართველოს საელჩოსა და კვლავ რალფ პლაინის თანამშრომლობის შედეგად, შემოდგომაზე გერმანიის ბუნდესტაგის პრეზიდენტის ვიზიტს გერმანელი ქალბატონის, ელვირა ბახის ექსპოზიცია შეალამაზებს.

კავშირები ბერნდ შვარცერის თბილისში ჩამოტანილ ექსპოზიციასა და პოლიტიკურ ვიზიტს შორის ძნელად შესამჩნევი სულაც არაა. საქართველოს სწრაფვას ერთიან ევროპულ სახლში გაერთიანებასთან დაკავშირებით, შვარცერის გამოფენა უდავოდ ეხმაურება. ეროვნულ გალერეაში ნახავთ მხატვრის ნამუშევრებს, რომლებიც შვარცერმა შარშან, უკრაინის ნარინჯისფერი რევოლუციის დროს მიღებული ემოციების შედეგად შეასრულა. ევროპის თემით შვარცერი წლების განმავლობაშია დაინტერესებული. ექსპონატების სახელწოდებებს შორისაა: "ევროპული ვულკანი", "პრეზიდენტის არჩევნები - იუშენკო", "ევროპის ხალხთა უფლებების თავისუფლება"; "ღმერთს ყველა მხატვარი უყვარს", "ევროპული ჯვარი" და ა.შ. სახელოვან ევროპელებს შორის შეხვედებით: ჰელმუტ კოლს, მიხეილ გორბაჩოვს, აწგარდაცვლილ რომის პაპს იოანე-პავლე მეორეს (სხვათა შორის, შვარცერის მორიგი გამოფენა კრაკოვშია დაგეგმილი). უკრაინის ნარინჯისფერ რევოლუციაზე გერმანელი მხატვარი ამბობს, რომ დაახლოებით ოცი წლის წინათ იწინასწარმეტყველა. ყველაზე მეტად, რაც შვარცერის გამოფენის დათვალიერებისას გეცემათ თვალში, უხვად დახარჯული საღებავია. თბილისელი მხატვრების დახმარებით ამის მიზეზიც (თუ ხელშემწყობი პირობა) გავარკვიე: საღებავების მწარმოებელი ერთ-ერთი ქარხნის დირექტორი მხატვრის მეგობარი ყოფილა; შვარცერის ნამუშევრები კი - ამ ქარხნის პროდუქციის რეკლამის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება.

ბერდნ შვარცერს მიაჩნია, რომ გაბედულება არ აკლია. "დიდი ხელოვანი ხედავს მომავალს. ეს მეტად რთული ასახსნელია; თქვა ის, რასაც ხედავ, ამას დიდი გამბედაობა უნდა, რაც ბევრს არ გააჩნია. ეს ძალა მე თავისუფლებას მაძლევს; მიბიძგებს, შევქმნა ახალი, რასაც ჯერ სახელი არ აქვს და ალბათ მოგვიანებით რამეს დაარქმევენ. თუკი გამბედაობა არაა, დემოკრატიის პროცესში საზოგადოება ვერ შედგება. ეს გამბედაობა უნდა ჰქონდეს მხატვარს, მწერალს, გალერისტს". შვარცერის შთაგონების წყარო ძირითადად, მოგზაურობაა. საკმაოდ აქტიური მხატვარი გამოფენებს აწყობს მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში. შარშანწინ ბერნდ შვარცერის იგივე გამოფენა, რაც თბილისშია წარმოდგენილი, ნაჩვენები იყო პეტერბურგში. იქვე შვარცერს დაუბეჭდეს კატალოგი, რომელიც როგორც თავად ამბობს სიხარულით, ზომით ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი კატალოგია. გამოფენა ეროვნულ გალერეაში რამდენიმე დღეს გაგრძელდება; თავად მხატვარი კი თბილისიდან ხვალ გაემგზავრება.

# ფრანგული მანქანის ქართული დიზაინი

ნათია ლურსმანაშვილი

1997წელს ფრანკფურტის ავტოსალონის 100-წლისთავთან დაკავშირებულ გამოფენაზე 44 ქვეყანასთან ერთად საქართველოც იღებდა მონაწილეობას. "ქართუ" ბანკის სპონსორობით, დიზაინერმა ზვიად ციკოლიამ "ბუგატისთვის" შექმნილი ავტომანქანა წარადგინა. ეს იყო პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი პროექტი, რომელიც საქართველოს სახელით მოხვდა საავტომობილო დიზაინის ისტორიაში. "ბუგატი" თბილისში დამზადდა და გადაზიდვა "ეარ ჯორჯიამ" უზრუნველყო.



პეჟო



შემდეგ 2002წელს A-level-ის პროექტში მიიღო მონაწილეობა, რომელიც ასევე "ბუგატის" ეხებოდა. კონკურსი საკმაოდ რთული იყო მონაწილეთა გამოცდილების და წონის მიხედვით. თუმცა ქართულმა დიზაინმა უკან ჩამოიტოვა "ჯენერალ მოტორსის", "ტოიტოტას", "პეჟო-სიტროენის" დიზაინერების ნამუშევრები და პირველი ადგილიც აიღო. ამ ფაქტს ხმამაღალი გამოხმაურება მოჰყვა. საქართველოში ჩამოსულს ქუთაისის ავტოქარხანა დაუკავშირდა და თანამშრომლობა შესთავაზა. იმ დროისთვის ქარხანა ინდური ჯიპების წარმოებით იყო დაკავებული. საუბარი თითქოს შედგა, ესკიზებიც შეიქმნა. მანქანის შექმნა რეალური იყო ქარხანაში არსებულ სავალ ნაწილზე. თუმცა მომავლის მანქანას ჩამოჰგავდა და საკმაოდ ავანგარდულიც იყო. არც მისი საერთაშორისო ავტოსალონებში გამოფენა გაჭირდებოდა. თუმცა, პროექტმა ვერანაირად ვერ პოვა მხარდაჭერა. **"მე ვიყავი მათთან შეხვედრაზე. საკმაოდ თბილად მიგვიღო მთავარმა დიზაინერმა, მაგრამ არაადეკვატური რეაქცია იყო დირექტორისგან. არც კი შეგხვედრია არც ქუთაისში და არც მაშინ, როდესაც თბილისში ჩამოვიდა. ისიც შევთავაზე, რომ ტექნოლოგიას ერთად გავაკონტროლებდით და მივიღებდით ქართულ ჯიპს. არანაირი გამოხმაურება ამას არ მოჰყოლია. ყოველგვარი მიზეზების დასახელებისგან თავი შეიკავეს".**

თანამშრომლობა იწყებოდა იტალიურ ფირმა "პიაჯოსთანაც". პიაჯო საკუთარ თავზე სავალი ნაწილის მოწოდებას იღებდა, რაც მის ინტერესებში შედიოდა. ქართული მხარე კი ექსტრავაგანტურ და კონცეპტუალურად ახალი ძარაზე იმუშავებდა, რომელიც ახალ ტექნოლოგიაზე იქნებოდა დაფუძნებული. მაგრამ იმის გამო, რომ ამ სფეროსთვის საკმაოდ მცირე თანხა 10 ათასი დოლარი არ გამოიძებნა, პროექტმა კრახი განიცადა. თუმცა, ტექნოლოგია "მარაგშია" და მას აუცილებლად განახორციელებენ.

თუმცა, ზვიადი დაკვეთების სიმცირეს არ განიცდის. სულ ახლახანს გამოვიდა "პეჟო 1007", რომლის ექსტერიერის დიზაინიც მას ეკუთვნის. ასევე, მუშაობდა ამავე მარკის ახალი მოდელის ინტერიერის დიზაინზე. ასევე იყო "როლს როისის" და მრავალი კერძო ფირმის თუ მულტიმილიონერის დაკვეთები.

ამჯერად რამდენიმე პროექტზე მუშაობს, რომლებიც ორი წლის წინ დაიწყო და გარკვეული ტექნიკური სირთულეების გამო ჯერ არ დასრულებულა. ერთ-ერთი მათგანი ჟენევი ავტოსალონს ეხება და ამ მანქანაზე მუშაობა პარალელურად უცხოეთშიც მიმდინარეობს.

განათლება თბილისის სამხატვრო აკადემიაში მიიღო - სამრეწველო დიზაინის განხრით. მოგვიანებით ნორჩ ტექნიკოსთა სადგურში სატრანსპორტო ლაბორატორიაში განაგრძო სწავლა. ხემძღვანელი ნოდარ ინჯია იყო, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ამ დარგს საქართველოში და მრავალ, დღეს მოქმედ დიზაინერსაც მისცა სათანადო განათლება. სადგურს უამრავი ახალი გამოგონება აქვს დაპატენტებული, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს განადგურებულია.

მოდელის შექმნისას თავდაპირველად იმ ძირითადი ასპექტების ჩამოყალიბება ხდება რაც წინა პლანზე უნდა წამოვიდეს. დიზაინერის წარმატებაც და წარუმატებლობაც იმაზეა დამოკიდებული რამდენად სწორად განსაზღვრავს ამ პრიორიტეტებს - რომელი წამოვიდეს წინ და რომელი არა. შემდეგ ამ ავტომობილის პრაქტიკულობის, ესთეტიკური სილამაზის, ტექნოლოგიის, სიიაფის და სხვა დეტალების თავმოყრა და საერთო ოქროს შუაგულის გამონახვა.

დამკვეთი აუცილებლად აყენებს გარკვეულ მოთხოვნებსაც, რომელიც წარმატების მიღწევის სურვილის შემთხვევაში აუცილებლად გასათვალისწინებელია. **"დიდი ყურადღება ექცევა ფესვებს და არა სტილს. პეჟოსთან დაკავშირებით მოკლედ და კონკრეტულად ამიხსნეს მთელი კონცეფცია. მითხრეს, რომ სტაილინგი არ სჭირდებოდათ და აქცენტი დიზაინზე უნდა გადამეტანა. ანუ ახალ კონცეპტუალურ მიდგომას, თავისი პროდუქტის თანამედროვედ, სხვანაირად დანახვა სურდათ. სტაილინგი უკვე შექმნილ დიზაინში მცირე ცვლილებების შეტანაა".**

სამწუხაროდ, ერთ-ერთი მოთხოვნა, რომელსაც უცხოელი დამკვეთი აყენებს - საავტორო უფლებების მთლიანად დამკვეთზე გადაცემაა. **"მე არანაირი პრეტენზია არ მაქვს იმაზე, რომ ჩემი სახელი დაფიქსირდეს, რამდენადაც ეს თავიდანვე გათვალისწინებულია კონტრაქტში. მანქანა სხვისი სახელით გამოვა და რეალურად ვინ დგას ამის უკან ამაზე საუბარი საერთოდ არ იქნება. ჩვენ გვაქვს იმის პოტენცია, რომ საერთაშორისო დონის პროდუქცია შევქმნათ, მაგრამ ამით არავინ ინტერესდება".**

პაულო კოელიოს სვეტი

# დიალოგი ღმერთთან და ეშმაკთან



### როგორ ვაკეთო ის, რაც მინდა

სიკვდილის შემდეგ ჯონი ერთ ულამაზეს ადგილას მოხვდა, ძვირფასი ნივთებით გარშემორტყმული, ფუფუნებაში ჩაფლული. ასეთ გარემოში მოხვედრაზე მუდამ ოცნებობდა. მალე თეთრებში ჩაცმული კაცი მიუახლოვდა: "შენ ახლა ყველაფრის უფლება გაქვს: მიირთვი, რაც გინდა, ისიამოვნე, როგორც გინდა, გაერთე ბოლომდე", - უთხრა მან.

კმაყოფილმა ჯონმაც ისე ცხოვრება დაიწყო, როგორც მას სურდა. მთელი არსებით მიეცა განცხრომას და საკუთარ თავს უარს არაფერზე ეუბნებოდა. რამდენიმე წლის განმავლობაში ცხოვრობდა ასე. მერე ისევ თეთრებში ჩაცმულ კაცს მიმართა:

"ზუსტად ისე ვიცხოვრე, როგორც შენ მითხარი. ოღონდ, ერთადერთი რაც ახლა მჭირდება, საქმის კეთებაა. მინდა, თავი საჭირო ადამიანად ვიგრძნო".

"ძალიან ვწუხვარ", - მიუგო თეთრებიანმა კაცმა, - "ეგ ერთადერთია, რასაც აქ ვერ მოგცემ. აქ სამუშაო არ არის".

"რა საშინელებაა", - გაბრაზდა ჯონი, - "მთელ მარადიულობას ასე მოწყენაში გავატარებ? ასე ყოფნას ათასჯერ მირჩევნია, ჯოჯოხეთში მოვხვდე!"

თეთრებში ჩაცმული კაცი მიუახლოვდა მას და დაბალი ხმით უთხრა: "და ახლა რა გგონია, სად ხარ?".

### გვირგვინების მნიშვნელობა

როცა ბიბლიის ერთი ნაწილის დაწერის მიზნით მოსე სამოთხეს ეწვია, უზენაესმა მას სთხოვა, თორაში გარკვეული ასოების თავზე გვირგვინი გამოესახა.

მოსემ ჰკითხა: "სამყაროს შემქმნელო, რატომ უნდა დავხატო გვირგვინები ამ ასოების ზევით?".

"იმიტომ, რომ ასი თაობის შემდეგ, კაცი სახელად აკივა ამ ნიშნების ჭეშმარიტ მნიშვნელობას გაშიფრავს".

"მეც მაჩვენე ის, რასაც ეს კაცი ახსნის", - სთხოვა მას მოსემ.

უფალმა მოსე მომავალ დროში გადაიყვანა და ერთ-ერთი სკოლის საკლასო ოთახში ამოაყოფინა თავი, სადაც რაბინი აკივა შეგირდებს გაკვეთილს უტარებდა.

მოსწავლემ მას ჰკითხა: "რაბინო, ზოგიერთი ასოს თავზე რატომ ხატია გვირგვინები?"

"ზუსტად არ ვიცი", - მიუგო აკივამ, - "და მგონი, მოსემაც არაფერი იცოდა ამის შესახებ. მაგრამ რადგან ის წინასწარმეტყველებს შორის უდიდესი იყო, მან ეს გვირგვინები მაინც გამოსახა; გამოსახა, რათა ჩვენთვის ეჩვენებინა, რომ არ არის აუცილებელი ღმერთის ყველა გადაწყვეტილება გვესმოდეს; რომ ჩვენ უზენაესის ძალას ზედმეტი, ფუჭი კითხვების გარეშე უნდა მივენდოთ".

შემდეგ ღმერთმა მოსე უკან, თავის დროში დააბრუნა. მოსემ კი სამყაროს შემქმნელს შენდობა სთხოვა.

### არ არის იოლი, იყო ეშმაკი

ეშმაკმა უთხრა ბუდას: "იყო ეშმაკი, არ არის ადვილი. ყოველთვის გამოცანებით უნდა ვილაპარაკო, ხალხმა ცდუნება რომ არ შენიშნოს და არ დაფრთხეს. ყოველთვის მომეთხოვება, ვიყო განსწავლული და ჭკვიანი, რომ ხალხი აღვაფრთოვანო და ჩემს მხარეს გადმოვიბირო. ყველაფერ ამას დიდი ძალისხმევა სჭირდება. ძალიან დიდ ენერგიას ვახარჯავ თუნდაც რამდენიმე შეგირდის დასარწმუნებლად, რომ ჯოჯოხეთი უფრო საინტერესოა, ვიდრე სამოთხე. დავიღალე, ვბერდები, და მინდა ჩემი შეგირდები შენ გადმოგილოცო".

ბუდა მიხვდა, რომ ეს მახე და ეშმაკის ჩვეული ხრიკები იყო: თუ მიიღებდა შემოთავაზებას, თვითონაც ეშმაკი გახდებოდა, ეშმაკი ბუდა. ამიტომ მიუგო: "შენ ფიქრობ, რომ ბუდად ყოფნა კარგია, მაგრამ არც ასე იოლადაა საქმე. გარდა იმისა, რომ აკეთო ის, რაც შენ ზევით ჩამოთვალე, მე ჩემს შეგირდებსაც უნდა გავუძლო! ისინი ისეთ სიტყვებს ხმარობენ, ჩემი პირიდან არასდროს რომ არ ამოსულა, ჩემი სწავლების გასავრცელებლად სხვებს ფულს ახდევინებენ, ჩემგან კი ითხოვენ, მუდამ ბრძენი ვიყო! ვერასდროს გაუძლებ იმას, რასაც მე! ასეთ ცხოვრებას ვერასდროს აიტანდი!"

ეშმაკი მიხვდა, რომ ადგილების გაცვლა სასიკეთოს არაფერს მოუტანდა, ბუდაც ასე გადაურჩა ცდუნებას.

***ქართულად გამოცემულია პაულო კოელიოს საერთაშორისო ბესტსელერები: "თერთმეტი წუთი", "ალქიმიკოსი", "რიო-პედრას ნაპირას ჩამოვჯექი და ავტირდი" და "ვერონიკამ სიკვდილი გადაწყვიტა". იკითხეთ წიგნის მაღაზიებში.***

ინფოთეკა

### "ბაიერნი" ბელამს უმიზნებს

მიუნხენის "ბაიერნი" დიდ ინტერესს ამჟღავნებს "ნიუკასლის" ფორვარდის კრეიგ ბელამის მიმართ. ბრიტნული პრესის ცნობით, მიუნხენელთა გენერალური მენეჯერი ული ჰოინესი და გუნდის მთავარი მწვრთნელი ფელიქს მაგატი ინგლისის ჩემპიონატში "ნიუკასლის" ბოლო მატჩს დაესწრნენ. ჰოინესის თქმით, თავდამსხმელმა მასზე "დიდი შთაბეჭდილება მოახდინა".

"ამ მატჩის დროს მოედანზე ორი-სამი ფეხბურთელი იყო, რომელთანაც მუშაობას ვისურვებდით, თუმცა, ჩემი აზრით, ბელამი საუკეთესო იყო", - აღნიშნა ჰოინესმა.

### "ვალიადოლიდის" მეკარე "დეპორტივოში" გადადის

ესპანური კლუბი "დეპორტივო" "ვალიადოლიდის" ხელმძღვანელობას უკვე შეუთანხმდა მეკარის ალბანო ბიზარის შეძენის შესახებ. არგენტინელი ახალ გუნდში თამაშს მომავალი სეზონიდან დაიწყებს. მოლაპარაკებები რამდენიმე კვირას გაგრძელდა. "დეპორტივომ" მას შემდეგ გამოთქვა ამ მეკარის შეძენის სურვილი, რაც მადრიდის "რეალის" ფეხბურთელს სეზარსა და "ვილიარეალის" მეკარეს პეპე რეინასთან შეთანხმება ვერ შეძლო.

### "არსენალი" რეიესის გაყიდვას არ აპირებს

ლონდონის "არსენალმა" უარით გაისტუმრა მადრიდის "რეალი", რომელსაც ესპანელი თავდამსხმელის ხოსე რეიესის შეძენა უნდა რვა მილიონ გირვანქა სტერლინგად. Tribalfootball-ის ცნობით, ინგლისური კლუბის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ თავდამსხმელის გაყიდვას არ აპირებს. თუმცა, თავად ფეხბურთელი მერყეობს - ვერ გადაუწყვეტია, ლონდონის კლუბში დარჩეს თუ სხვაგან გააგრძელოს კარიერა. ამიტომაც "მეთოფეთა" მწვრთნელი არსენ ვენგერი ცდილობს, რეიესი გუნდში დარჩენაზე დაითანხმოს. მისი შესაძლო წასვლის ერთ-ერთი მიზეზად მწვრთნელი ჰავას ასახელებს.

"რეიესს უჭირს კლიმატთან შეგუება. მართლაც, ზამთარი სევილიაში და ზამთარი ბოლტონში სრულიად სხვადასხვა რამეა", - განაცხადა ვენგერმა.

### "მანჩესტერ იუნაიტედს" მილიტოს შეძენა უნდა

"მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობა მოლაპარაკებას აწარმოებს ესპანურ "სარაგოსასთან" მცველის გაბი მილიტოს შეძენის შესახებ. არგენტინელი ფეხბურთელი ესპანეთის ჩემპიონატში ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა მცველია. ინგლისის მასობრივი საინფორმაციო წყაროების ცნობით, ინგლისელები მზად არიან, მილიტოში 3,75 გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს.

### ტოტიმ საჯაროდ მოიხადა ბოდიში

"რომას" კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ საჯაროდ მოიხადა ბოდიში წითელი ბარათისთვის, რომელიც იტალიის ჩემპიონატში "სიენას" წინააღმდეგ თამაშის დროს დაიმსახურა.

ფეხბურთელმა არასპორტული საქციელისთვის ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია და 500 ევროს ოდენობის ჯარიმა მიიღო. მეტიც, კლუბის ხელმძღვანელობამ ტოტის ხელფასის ერთი მესამედი დაუქვითა.

"მინდა ბოდიში მოვიხადო, რადგან ვხვდები, რომ მართალი არ ვიყავი. ყველა სასჯელს ვიღებ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ცოტა გადამეტებულია. მე გამომიწვიეს, თუმცა, ჩემი ბრალია, რომ ეს გამოწვევა მივიღე", - განაცხადა ფეხბურთელმა.

### "რეალი" ჩინეთში ჩაატარებს ტურნეს

"როიტერსის" ცნობით, მადრიდის "რეალის" ფეხბურთელები ივლისში ჩინეთში რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებენ.

"ჩინეთში უმრავი თაყვანისმცემელი გვყავს, ამიტომაც, აუცილებლად უნდა ვესტუმროთ ამ ქვეყანას. ჩემს ხელთ არსებული მონაცემებით, ჩინეთში "რეალი" ხუთიდან ყოველ ოთხ ფეხბურთის გულშემატკივარს უყვარს", - განაცხადა "სამეფო გუნდის" ვიცე-პრეზიდენტმა ემილიო ბუტრაგენიომ.

"რეალი" ჩინეთში 19-24 ივლისს გაჩერდება. ბუტრაგენიომ პირობა დადო, რომ გუნდი ქვეყანას "საუკეთესო ფეხბურთელებით ეწვევა და შეეცდება, გულშემატკივრებზე ისეთივე კარგი შთაბეჭდილება მოახდინოს, როგორც ორი წლის წინათ".



# ვერისბაღული დისპუტები პარლამენტისას სჯობდა

## შეცდომის დაშვების უფლება აღარ გვაქვს

*რუბრიკას უძღვება*
ნინო სვანიძე

*ფეხბურთის დიდმა ქომაგმა და ძველმა ვერისბაღელმა გივი შუღაროვმა ვერისბაღელების ცხოვრებიდან ძალიან საინტერესო ეპიზოდები გაიხსენა; გამოთქვა საკუთარი მოსაზრებები ფედერაციის პრეზიდენტობის სავარაუდო კანდიდატებთან დაკავშირებითაც. მასთან ერთად ამ და სხვა საკითხებზე მსჯელობდა ყოფილი ფეხბურთელი ვაჟა ჟვანია...*

**გივი შუღაროვი:** "ფეხბურთი ჩემი ცხოვრების ერთი ძალიან დიდი და განუყოფელი ნაწილია. ვერის ბაღს რაც შეეხება, ეს ჩემთვის იყო ერთი დიდი უნივერსიტეტი, სადაც ძალიან ბევრი კარგი რამ შევიძინე; მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე უმაღლესი მაქვს დამთავრებული, ბევრ საპასუხისმგებლო თანამდებობაზეც მიმუშავია და ხშირად მე თვითონ სხვებს ვასწავლიდი, ვერის ბაღში იმდენი რამ ვისწავლე, რასაც, ალბათ, ვერანაირ სახელმძღვანელოში ვერ ამოვიკითხავდი. საბჭოთა სისტემაში ჩემთვისაც და ბევრი სხვა ადამიანისთვისაც ეს გახლდათ ცალკე აღებული თავისუფალი სამყარო, სადაც უამრავი საინტერესო და საყვარელი ადამიანი იკრიბებოდა, რომლებიც ხშირად ისეთ თემებზე მსჯელობდნენ, რაზეც იმ დროს, საუბარი და კამათი კი არა, ფიქრიც აკრძალული იყო. ეს ლაპარაკში ღამისმთეველი კაცები ვიღაც გაუთვითცნობიერებლებს უსაქმურები ეგონათ, მაგრამ სინამდვილეში ვერის ბაღი მართლაც უნიკალური ფენომენი იყო და მე სულ იმედი მაქვს, რომ როდესმე აღდგება"...

**ვაჟა ჟვანია:** "არ ვიცი, რამდენად შესაძლებელია ბაღის ძველი სახით აღდგენა - უამრავი საყვარელი ვერისბაღელი ხომ დღეს ცოცხალიც აღარაა, მაგრამ პირადად მე, როგორც ფეხბურთელს, საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი, რას ნიშნავს გყავდეს ნამდვილი გულშემატკივარი. როდესაც რაიმე საჭირბოროტო საკითხი წყდება ფეხბურთში, განსაკუთრებით მაშინ იგრძნობა ვერისბაღელების საჭიროება - იქ ხომ ყველა სადავო საკითხზე ფუნდამენტურად იცოდნენ მსჯელობა და ძალიან სამართლიანი განაჩენიც გამოჰქონდათ; თუნდაც ახლა - ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატებთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო იქნებოდა ვერისბაღული პოლემიკის მოსმენა. თავის დროზე საზოგადოებრივი აზრი სწორედ იქ იქმნებოდა"...

**გივი შუღაროვი:** "საერთოდ, როდესაც რაიმე პრობლემური ხდება, ჯერ მთავარია "დიაგნოზის" დასმა, მერე კი - გამოსავლის ძიება. მე ვფიქრობ, ასეთი "დიაგნოზების" დასმაში და, თუნდაც, გამოსავლის მოძებნაში ვერისბაღელებს ვერავინ შეედრებოდა; ყველა საკითხზე იმდენად ამომწურავად მსჯელობდნენ, არ შეიძლებოდა, საღი აზრი არ გაჩენილიყო. რაც უფრო მძიმე პერიოდი ედგა ქართულ ფეხბურთს, ვერის ბაღი მით მეტად აქტიურდებოდა, ფეთქავდა და გამოსავალს ეძებდა. როგორც წესი, თავის საქმეში დილეტანტებისგან ჭკუის დარიგებას ვერავინ იტანს, მათ შორის - მეც, მაგრამ ხანდახან, როდესაც ეს რჩევა მართლაც ჭკვიანი ადამიანისგან მოდის, თანაც - უანგაროდ, მისი გათვალისწინება ნამდვილად ღირს და, იყო დრო, ფეხბურთის მესვეურები მართლაც იღებდნენ ზოგიერთ რჩევას ვერისბაღელებისგან"...

**ვაჟა ჟვანია:** "ისე, ვერისბაღელებს მთლად დილეტანტებსაც ვერ დაარქმევ, ბევრი მათგანი ფეხბურთში ისეთ ცოდნას ფლობდა - მუდმივად ეცნობოდნენ სპეციალურ ლიტერატურას, კითხულობდნენ უცხოურ პრესას; როგორღაც ახერხებდნენ და საზღვარგარეთული ფეხბურთის თითქმის ყველა მნიშვნელოვან მატჩს ნახულობდნენ, მერე ამ ცოდნას ჩვენ, ფეხბურთელებს გვიზიარებდნენ. სხვათა შორის, სწორედ ბატონი გივი შუღაროვის დამსახურებაა ვერისბაღელებისთვის ბევრი საინტერესო საერთაშორისო მატჩის ჩვენება; იმ დროს ხომ ჩვენთან ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებს ასე ვრცლად არ აშუქებდნენ".

**გივი შუღაროვი:** "იმ დროს მე ახალქალაქის რაიკომის მდივანი ვიყავი და რაღაცნაირად შევძელი, რომ ჩემი მეგობრების მიმართ სიყვარული ჩემებურად გამომეხატა. 1981 წელია და იტალიაში ევროპის პირველობა იწყება. ახალქალაქში მაშინ ყველაზე დიდი დივიზია იდგა და ამ დივიზიის უფროსი იყო გენერალ-ლეიტენანტი მოროზი. ამ კაცთან ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა; ერთხელ დავუძახე და ვეუბნები: თუ გინდა, ჩვენი მეგობრობა ძველებურად გაგრძელდეს, უნდა დამეხმარო და ისეთი ანტენა დამადგმევინო, რომელიც თურქეთის გადაცემებს დაიჭერს-მეთქი. მოროზმა მითხრა: რას ამბობ, მეც დამიჭერენ და შენცო. ვუთხარი: ნუ გეშინია, ფეხბურთის ყურებისთვის არავინ არ დაგვიჭერს-მეთქი; დამიჯერა და დამთანხმდა. ჩამოვედი, ვერის ბაღში მივედი და, როგორც ძალიან დიდი საჩუქარი, ისე მივართვი ეს სასიხარულო ინფორმაცია ჩემს მეგობრებს; იმათი სახეები არ დამავიწყდება.

მოკლედ, პირველ რიგში, იმის თადარიგი დავიჭირე, რომ იქაურ სასტუმროში ყველა ნორმალური ნომერი იმ დროისთვის თავისუფალი ყოფილიყო - არ დამთხვეოდა არავითარ კონფერენციას ან მსგავს ღონისძიებას. მე თვითონ, ყველამ იცოდა, რომ ორი კვირის მანძილზე სხვა არაფრისთვის არ მეცალა - წინასწარ გავაფრთხილე; თქვენ წარმოიდგინეთ, უფროსი თაობის ვერისბაღელების კაპრიზის შესრულებაც მომიხდა: ასე მითხრეს: ახალგაზრდებთან ერთად ნუ გვაყურებინებ იმ თამაშებს, ხელს შეგვიშლიანო; მოკლედ, საამისო თადარიგიც დავიჭირე. ფეხბურთს ღამით ვუყურებდით, დღისით კი მთელ შემოგარენს ერთად ვათვალიერებდით - ისტორია ისე იცოდნენ და იმდენ საინტერესო თემაზე ვსაუბრობდით, ის ექსკურსიებიც ძალიან კარგად მახსენდება"...

**ვაჟა ჟვანია:** "თუ არ ვცდები, სწორედ მაშინ ჩაისახა ის იდეაც - აჭარიდან ახალქალაქში მოსახლეობის გადმოსახლების შესახებ"...

**გივი შუღაროვი:** "მართალია, მაშინ ჩვენ ყველას ერთად მოგვივიდა ეს აზრი - მე, ქართლოსს, ლევან ჭაჭიაშვილს, კოტე გაბაშვილს, კახა ქორიძეს, ზაზა ბოკერიას... და მივწერეთ მთავრობას წერილი; დასტურიც მივიღე, მაგრამ იცით როგორი? - შინაგანად გრძნობდნენ, რომ ეს გასაკეთებელი იყო, ოღონდ პასუხისმგებლობა მე უნდა ამეღო ჩემ თავზე. და მართლაც, 50 ოჯახი ჩამოვასახლეთ აჭარიდან, ოღონდ, ვიდრე ჩამოვიყვანდით, ოკამის მეურნეობაში, გოგაშენში, მიმდებარე სოფლებში ჯერ მიწები გამოვუყავით და სახლები ავუშენეთ. დღევანდელ პირობებს რომ შევუსაბამოთ ეს ყველაფერი, ახლაც ასახლებენ დაზარალებულებს, ვთქვათ, წალკაში, მაგრამ იქ იმ ადამიანებს არანაირი პირობები არ ხვდებათ; აი, სწორედ ამ პასუხისმგებლობაზე იყო ლაპარაკი"...

**ვაჟა ჟვანია:** "როგორც ყვებოდნენ, ადგილობრივი მოსახლეობა გულუხვად გამასპინძლებია თქვენს სტუმრებს"...

**გივი შუღაროვი:** "იცით, როგორი გულშემატკივრები იყვნენ ახალქალაქში? - მამა-შვილი იყო, ფეხბურთის საოცარი მოყვარულები; იმათ აქაურებიც იცნობდნენ. სასაცილო სახელები ერქვათ - მამას მასკვა, შვილს - ლენინგრადი...

სასაზღვრო სოფელში, სადაც ფეხბურთს ვუყურებდით, ერთი იქაური გლეხი - არაჩვეულებრივი ადამიანი, გაფრთხილებული მყავდა, - აბა, შენ იცი, ნამდვილი ჯავახური სტუმართმოყვარეობა უნდა გამოამჟღავნო-მეთქი; და, მართლაც, საოცარ კერძებს უმზადებდნენ ჩემს სტუმრებს; სამზარეულოში დიდი ქოთნებით იდგა კამეჩის მაწონი და ნამდვილი ჯავახური თაფლი; ზაზა ბოკერია ერთმანეთში ურევდა და ისე მიირთმევდა; ბოლოს ირაკლი ცინცაძესაც დაუძახა, - მოდი, მაგარ რამეს გაჭმევო. ამ დროს დანარჩენები ეზოში ვიყავით; იქვე ძველი შტანგა ეგდო - დაახლოებით, 40-კილოგრამიანი. კოტე გაბაშვილი დასწვდა და გაჭირვებით, როგორც იქნა, ერთხელ ასწია. ზუსტად ამ დროს სამზარეულოდან თაფლნაჭამი ირაკლი ცინცაძე გამოვიდა. კოტემ თვალი ჩაგვიკრა და თქვა: ხომ ვამბობდი, ოცდათექვსმეტჯერ ავწევო. ირაკლი გადაირია: შენ თუ ოცდათექვსმეტჯერ ასწიე, მე ორმოცჯერ ავწევო. და დაიწყო. ორმოცჯერ მართლაც ასწია და... დავარდა.

ერთი სიტყვით, მოსაგონარი ძალიან ბევრი მაქვს; უბრალოდ, გული მწყდება, რომ იმ ბედნიერებას, რასაც ვერის ბაღი ერქვა, უამრავი ადამიანი ვერ მოესწრო, მათ შორის - ვერც ჩემი შვილი. 12 წელია, პარლამენტის წევრი ვარ და მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ იმ რანგის დისპუტები, რაც ვერის ბაღში იმართებოდა, პარლამენტში ნამდვილად არ მომისმენია. იქ ნამდვილი სუპერორატორები გვყავდა"...

**ვაჟა ჟვანია:** "სხვათა შორის, ბატონი გივი დღემდე ყოველ შაბათს თამაშობს ფეხბურთს. მგონი, პარლამენტის გუნდიც არსებობს, არა"?

**გივი შუღაროვი:** "არც ერთ შაბათს არ ვტოვებ. ყველამ იცის, ქვეყანა რომ ინგრეოდეს, მე ფეხბურთი მაინც უნდა ვითამაშო. ფეხბურთი და ჯაზი - ჩემი ორი, ერთნაირად საყვარელი გატაცებაა. რაც შეეხება პარლამენტის გუნდს, ერთი სახალისო ამბავი მახსენდება. მახსოვს, ჩვენი პარლამენტის გუნდი უკრაინაშია ჩასული იქაურ რადას გუნდთან სათამაშოდ. სხვათა შორის, შთამბეჭდავად ვუგებდით უკრაინელებს. სათადარიგო შემადგენლობაში გვყავს ჩემი კომიტეტის თავმჯდომარე (მე მოადგილე ვარ) კახა ჩიტაია, რომელიც ოცნებობს ძირითად შემადგენლობაში თამაშზე, არადა, მაჩაიძე არაფრით არ აყენებს; ბოლოს ითხოვა, - ამ სიშორეს ჩამოვსულვარ, ბოლო სამი წუთით მაინც მათამაშეთო. მანუჩარი უარზეა, - სამი წუთი ცოტა არ გეგონოს, სამ წუთში შეიძლება ყველაფერი დავკარგოთო. ბოლოს მაინც ათამაშა სამი წუთი, მაგრამ ბურთი სულ მანუჩარს აქვს და ჩიტაიას პასს საერთოდ არ აწოდებს. ჩიტაიამ შემომჩივლა, - უთხარი, ერთხელ მაინც მომაწოდოს ბურთიო. მე ვუთხარი, - მანუჩარი, შენ კი არა, ყიფიანს და ჩივაძეს არ აძლევდა პასს, ასე რომ, არ გეწყინოს-მეთქი"...

**ვაჟა ჟვანია:** "ყიფოს ტრავმა რომ ჰქონდა და ქართლოსმა დასასვენებლად თქვენთან რომ ჩამოიყვანა"...

**გივი შუღაროვი:** "ქართლოსმა დამირეკა, - ყიფიანს მშვიდი გარემო სჭირდება და ათი დღით გვინდა ჩამოსვლაო. რა თქმა უნდა, მთელი გულით მოვიპატიჟე, მაგრამ რა მშვიდი გარემო - ყიფოს გაცნობაზე და მასთან ურთიერთობაზე ყველა ოცნებობდა; მეხვეწებოდნენ, შეგვახვედრეო. თან იმ დროს ერთი პრობლემის წინაშე ვიდექი - მთელ ახალქალაქზე ერთადერთი "დუბლიონკა" იყო გამოგზავნილი (მოგეხსენებათ, მაშინ ყველაფერს რაიკომი ანაწილებდა) და ხან რომელი გლეხი მომადგებოდა და ხან რომელი - ყველა ცალ-ცალკე მთხოვდა იმ ერთ "დუბლიონკას"; რა მექნა, არ ვიცოდი. სწორედ იმ დღეებში ჩამოვიდნენ ყიფო და ქართლოსი და გამოსავალიც ვიპოვე - დიდ დარბაზში ყრილობის დროს გამოვაცხადე, რომ იმ "დუბლიონკას" ახალქალაქი დავით ყიფიანს ჩუქნიდა. უნდა გენახათ, როგორი ტაშის გრიალით შეხვდა ხალხი ამ ამბავს. იმავე დღეს გადაწყდა, რომ ახალქალაქში გაგვემართა ქართველ და სომეხ ვეტერან ფეხბურთელთა შეხვედრაც.

საერთოდ, ფეხბურთს შესწევს უნარი, დიდი პოლიტიკური მისია შეასრულოს, სხვადასხვა ეროვნების ადამიანები დააახლოოს. ვფიქრობ, ახლაც აუცილებელია, მისი ეს ფუნქცია აღდგეს, რადგან ფეხბურთი შეიძლება ჩვენი ქვეყნის გამაერთიანებელი გახდეს. ამიტომ მას მართლაც სერიოზულად უნდა მიექცეს მთავრობის მხრიდან ყურადღება"...

**ვაჟა ჟვანია:** "ბატონო გივი, მართალია, თქვენი საყვარელი ბაღელი პოლემისტები აქ არ გყავთ, მეც მოკამათედ არ გამოგადგებით. თუმცა, ჩემი პოზიცია მაქვს - ვეტერანმა ფეხბურთელებმა უკვე გავაკეთეთ ჩვენი არჩევანი - ფედერაციის პრეზიდენტობის ჯერჯერობით ერთადერთ, ოფიციალურად გაცხადებულ კანდიდატს ვლადიმერ გუცაევს ვუჭერთ მხარს. მიგვაჩნია, რომ ვოვა, ბევრი პარამეტრის მიხედვით, ღირსეული პრეზიდენტი იქნება - ფეხბურთში მის მიერ შეტანილ წვლილს თავი რომ დავანებოთ, ახლაც ძალიან საინტერესო პროგრამა და გეგმები აქვს, რასაც, დარწმუნებული ვართ, საუკეთესოდ გაართმევს თავს. ძალიან მაინტერესებს თქვენი, როგორც ვერისბაღელის, აზრი ფედერაციის პრეზიდენტის სავარაუდო კანდიდატებთან დაკავშირებით"...

**გივი შუღაროვი:** "ახლა ერთადერთი ოფიციალური კანდიდატია ვოვა გუცაევი. თუმცა, არაოფიციალურად ყველა ყველაფერს იგებს და მეც ვიცი, რომ ლაპარაკია გიორგი ნემსაძეზეც, რომელთანაც ხშირად მითამაშია ფეხბურთი და უნდა ვთქვა, რომ არაჩვეულებრივი, ზრდილი ახალგაზრდაა; ლაპარაკია ნოდარ ახალკაცის შვილზეც - ევროპულად განათლებული ყოფილა და ესეც ძალიან კარგია. კანდიდატების არჩევისას თუ მთავარი კრიტერიუმი ის იქნება, ვინ როგორი ფეხბურთელი იყო, მაშინ, რა თქმა უნდა, ვოვა გუცაევს კონკურენტი არ ჰყავს. შეიძლება ვინმე სრულიად მოულოდნელი კანდიდატიც აღმოჩნდეს; საერთოდ, არც ისეთი დიდი არჩევანი გვაქვს. თანაც, საფეხბურთო სამყარო ერთი დიდი ოჯახივითაა - აქ ყველამ ძალიან კარგად იცის, ვინ რას წარმოადგენს, ვის რა შესაძლებლობები აქვს. ამიტომ, ალბათ, უნდა დაველოდოთ, ვიდრე ოფიციალური კანდიდატების ვინაობა გაირკვევა და შემდეგ თითოეულის შესაძლებლობებზე ვიმსჯელოთ".

**ვაჟა ჟვანია:** "ერთი რამ ცხადია - შეცდომის უფლება აღარ გვაქვს".

ინფოთეკა

### "ინტერს" ფრეა აინტერესებს

მილანის "ინტერის" ხელმძღვანელობამ მეკარის სებასტიან ფრეას შეძენის წინადადებით მიმართა "პარმას". Tribalfootball-ს ცნობით, თავად ფეხბურთელმა განაცხადა, რომ მილანის კლუბში გადასვლის წინააღმდეგი არ არის.

"ინტერი" დაახლოებით 4,3 მილიონ გირვანქა სტერლინგის გადახდას გეგმავს. "პარმას" გენერალურმა დირექტორმა ლუკა ბარალდიმ მოსაფიქრებლად დრო მოითხოვა.

### ჰიუზი ზაფხულში ფულის დახარჯვას აპირებს

ინგლისური კლუბის "ბლექბერნის" მთავარი მწვრნელი მარკ ჰიუზი დიდ ინტერესს ამჟღავნებს "პარმას" თავდამსხმელის ბენი მაკატის მიმართ. ბრიტანული კლუბის მწვრთნელი სამხრეთაფრიკელი ფეხბურთელის შეძენას სამ მილიონ გირვანქა სტერლინგად ვარაუდობს - "ბლექბერნი" მზადაა სწორედ ეს თანხა გადაიხადოს.

"ამ ზაფხულს ნამდვილად ვაპირებ გუნდის გაძლიერებას. ამისთვის ფულიც საკმარისი მაქვს," - განაცხადა მწვრთნელმა, რომელმაც უკვე გაუშვა სკაუტი პორტუგალიაში.

**მოამზადა ნინო ტიკარაძემ**

TV-სპორტი

### ხუთშაბათი. 28 აპრილი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:20 ლიბერტადორესის თასი. "სპორტინგ კრისტალი" (პერუ) - "ბოკა ხუნიორსი" (არგენტინა)
14:00 ინგლისის ჩემპიონატი. "კრისტალ პალასი" - "ლივერპული"
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:55 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:50 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. "ჩელსი" - "ლივერპული". პირველი მატჩი
19:45 თავისუფალი დარტყმა
20:00 სახვალიო ტელეპროგრამა
20:10 საუიკენდო მატჩების ანონსი
20:15 "საფეხბურთო კლუბი". პირველი დივიზიონი
20:45 ლიბერტადორესის თასი. "სპორტინგ კრისტალი" (პერუ) - "ბოკა ხუნიორსი" (არგენტინა)
22:30 "ფეხბურთი ჭრილში"
23:00 "საფეხბურთო კლუბი". რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა
00:00 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:55 თავისუფალი დარტყმა

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 16:15, 19:15, 21:00 პრესცენტრი
10:20, 19:30 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. პირველი წრის მატჩების მიმოხილვა
11:45 "სპორტის აკვატორია"
12:15 "სპორტისიმო"
13:35 კარატე-კეკუშინკაი. რუსეთის სასაზღვრო სამსახურის ჩემპიონატი
14:45 როდეო. "Bull Riders"
15:30 "არტეფაქტი" - ჰოკეი
16:30 ჰოკეი. სტენლის თასის რეტროსპექტივა. 2001 წელი. ნახევარფინალი. "NEW JERSEY DEVILS" - "PITTSBURGH PENGUINS". მე-5 მატჩი
18:45 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
19:40 სახვალიო ტელეპროგრამა
19:45 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
20:15 "მოტოვებული კვირა"
21:00 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. პლეი-ოფი. შესვენებისას (21:30) - პრესცენტრი
23:45 თავისუფალი სტილით ჭიდაობა. "რუსები ევროპის ჩემპიონატზე"
00:15 ახალი ამბები
00:30 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
01:00 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა

**EUROSPORT**

10:30 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჟურნალი
11:00 ფეხბურთი - უეფას თასი. მეოთხედფინალი
12:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. მეოთხედფინალი
13:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი პოლონეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
16:30 მულტისპორტი - აი, მესმის!
17:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია
2:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
22:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 ახალი ამბები
01:15 ფეხბურთი - უეფას თასი. ნახევარფინალი
02:15 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. კვირის მატჩი

ფორმულა 1

# ფია-მ BAR-ი მოიმარჯვა

## შესაძლოა, "BAR-ჰონდა" სამეფო რბოლებიდან მოკვეცონ

*გამორიცხული არაა, მალე ხმაურიანი სკანდალის მოწმენი გავხდეთ. ხმაური და აჟიოტაჟი კი სამეფო რბოლებთან და მის ბინადართან BAR-ის საჯინიბოსთან მიგვიყვანს. გერმანული პრესის მიერ გახმაურებული ინფორმაციით, "BAR-ჰონდა 007"-ში ჩამონტაჟებული უნდა იყოს საწვავის დამატებითი ავზი, რომელიც სეზონის წინ საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციისთვის (ფია) წარდგენილი ბოლიდის ტექნიკურ აღწერილობაში არ ფიგურირებს.*

მოვლენები "სან მარინოს დიდი პრიზის" დასრულებისთანავე განვითარდა, როდესაც ბოლიდთა სავალდებულო საკონტროლო აწონვისას ჯენსონ ბატონის "BAR-ჰონდა 007" დასაშვებ 600 კილოგრამზე მსუბუქი აღმოჩნდა, რაც ბრიტანელ მრბოლს მესამე ადგილის დაკარგვასა და დისკვალიფიკაციას უქადდა. დღის წესრიგში დადგა საკითხი: რამდენად ლეგალური იყო ბატონის ბოლიდი. თუმცა, ბარელებ-ის მიმართ ეჭვი ჯერ კიდევ რბოლისას გაღვივდა. კერძოდ, საჯინიბოთი ფია-ს ტექნიკური დელეგატი ჩარლი უაიტინგი დაინტერესდა. დაინტერესდა მას შემდეგ, როდესაც ბარელების ორივე მანქანა ასპარეზობის პირველ ნახევარში საეჭვოდ სწრაფად მოქმედებდა და, ამასთან, პიტ-სტოპითაც უჩვეულოდ გვიან ისარგებლეს. ბი-ბი-სის მონაცემებით, ბატონის მანქანის რბოლის შემდგომმა წონამ, ბოლიდში დარჩენილი საწვავით, 606,1 კილოგრამი შეადგინა, ხოლო უსაწვავოდ - 594,6 კგ. ფია-ს წესდებით, რბოლის ნებისმიერ მომენტში ბოლიდის წონა არ უნდა აჭარბებდეს 600 კილოგრამს. ეჭვიც სწორედ აქედან გაჩნდა.

თემასთან დაკავშირებული სპეკულაციების თანახმად, "BAR-ჰონდა" დაახლოებით ერთი წელიწადია, რაც ერთგვარი საიდუმლო დამატებითი ავზის წყალობით ბოლიდის წონით თამაშობს, რაც მრბოლს საშუალებას აძლევს, დაზოგოს საბურავები და მოიგოს სიჩქარეში, ამასთან, საწვავის აღების მოქნილი სტრატეგიის საშუალები-



თაც ისარგებლოს.

"იმ შემთხვევაში, თუ ვინმეს გამოვიჭერთ განზრახულ ყალთაბანდობაში, მას ჩემპიონატიდან განვდევნით - განურჩევლად იმისა, ვინც არ უნდა იყოს", - მკაცრი ტონით თქვა ფია-ს პრეზიდენტმა მაქს მოსლიმ.

საგულისხმოა "სან მარინოს დიდი პრიზის" სტიუარდთა მიერ რბოლის შემდეგ გავრცელებული ოფიციალური პრესრელიზიც, რომლის მიხედვით ბატონის ბოლიდთან დაკავშირებით ყველაფერი წესრიგში იყო. კერძოდ, პრესრელიზი გვამცნობდა, რომ თავდაპირველი აწონვისას ბრიტანელის მანქანა დარჩენილ საწვავთან ერთად აწონეს, მერე კი - უსაწვავოდ. გაუგებრობაც სწორედ აქედან წარმოიშვა, მაგრამ ფაქტია, რომ ვითარება მაინც დაძაბულია. ესეც დასტური: ორშაბათს ფია-მ საკუთარ სტიუარდთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება გააპროტესტა. თუმცა, საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის პროტესტი არ ნიშნავს მაინცდამაინც ბარელების დისკვალიფიკაციას. საბოლოო განაჩენს პარიზში, საკასაციო სასამართლოზე გამოიტანენ. მოსმენა კი 4 მაისს შედგება.

"იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდა, რომ ისინი გამიზნულად მოქმედებდნენ, გუნდს ძალზე მკაცრი სასჯელი ელის", - მიიჩნევს ექსპერტი მარკ შურერი. შურერს კვერს უკრავს კიდევ ერთი ექსპერტი ჰანს-იოახიმ შტუკიც: "ჰონდა" ძალზე სერიოზული კომპანიაა. მათთვის საკითხის განხილვა და შესაბამისი განაჩენის გამოტანა დიდი დარტყმა იქნება".

რა თქმა უნდა, "BAR-ჰონდა" მისი მისამართით გაკეთებულ შენიშვნებს არ ეთანხმება. საჯინიბოს შეფის ნიკ ფრეის თქმით, "საქმის განხილვაზე იგივე მტკიცებულებებს გავიტანთ, რომელიც კვირას რბოლის შემდეგ რბოლის ხელმძღვანელობას გამოვუმზეურეთ. დარწმუნებული ვართ, საკუთარ სიმართლეს მეორედაც დავამტკიცებთ. ორი მსხვილი საწარმოსთვის უაზრობაა, ტყუილს მიმართოს. ჩვენი მანქანა "სან მარინოს დიდ პრიზზე" წესებს სრულად შეესაბამებოდა".

ფეხბურთი

# ეროვნულობა და პატიოსნება

## ზურაბ პეტრიაშვილი საარჩევნო მარათონში ებმება

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტის მაძიებელთა არცთუ მცირერიცხოვან კოჰორტას კიდევ ერთი ღირსეული კანდიდატი შეემატა. ზურაბ პეტრიაშვილს ქართული საფეხბურთო, გნებავთ, ეროვნულ-პატრიოტული წრეებისთვის განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. ეს კაცი მთელი თავისი არსით ორ საქმეს - საკუთარ ქვეყანას და ქართულ ფეხბურთს ემსახურება. მისი კანდიდატურის წარდგენა-პრეზენტაციაც ჟურნალისტის სახლში ზუსტად ისე ჩატარდა, როგორც ბატონ ზურაბს შეეფერება - სადად და ნაკლებად პომპეზურად.

"დღეს დგას საკითხი - ვინ უნდა უხელმძღვანელოს ქართულ ფეხბურთს. ციხეში მყოფ კაცზე ან კარგი უნდა თქვა, ან - არაფერი. სამწუხაროდ, ამ მოსაზრების დარღვევა მიწევს. ქართული ფეხბურთი გაჩანაგებულია და სულს ღაფავს. ფედერაციის სტრუქტურა, ორგანიზაციული მხარე, არსებული წესდება და, შედეგად, ქართული ფეხბურთის დღევანდელი მდგომარეობა ძალზე მძიმეა. თუ სწრაფად არ გადაიდგა აუცილებელი ნაბიჯები, უფსკრულში აღმოვჩნდებით. ქართული ფეხბურთის მესაჭედ უნდა მოვიდეს ისეთი კაცი, რომელსაც თავისი პატიოსნებით, პროფესიონალიზმით, ეროვნული სულისკვეთებით შეეძლება საქმის გაძღოლა. ჩვენ, ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგა, ასეთ კანდიდატად ზურაბ პეტრიაშვილს მივიჩნევთ და მის კანდიდატურას მხარს უჭერთ", - ეს სიტყვები ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის პრეზიდენტს, საქართველოს სახელმწიფო მდივანს გურამ აბსანძეს ეკუთვნის.

ზურაბ პეტრიაშვილი იმ მცირერიცხოვან დონ კიხოტთა ჯგუფს ეკუთვნის, რომლის ბრძოლაც საბჭოურისგან ქართული ფეხბურთის გამოსაცალკევებლად ბევრს ქარის წისქვილებთან გაპაექრება ეგონა, მაგრამ მან, თავის თანამოაზრეებთან ერთად, ამ საშვილიშვილო საქმეს თავი მოაბა. ამბობენ, რომ იგი ეროვნული მოძრაობიდან მივიდა ქართულ ფეხბურთში, თუმცა, პირიქით რომ ვთქვათ, არც ეს იქნება შეცდომა. ბატონი ზურაბი 70-იან წლებში საკმაოდ მაღალ დონეზე თამაშობდა ფეხბურთს.

"ჩემს სამოქმედო პროგრამაზე დღეს ბევრს არაფერს გეტყვით. როდესაც ოფიციალურად გავივლი რეგისტრაციას, ამ თემაზე მერე ვილაპარაკოთ. რა თქმა უნდა, ის ძირითადი პრიორიტეტები, რომლებიც ფეხბურთის განვითარებისთვის ობიექტურად აუცილებელი ფაქტორებია - იქნება ეს ბავშვთა ფეხბურთი, ეროვნული ჩემპიონატების სტრუქტურის დახვეწა, ეროვნული ნაკრები გუნდები და ასე შემდეგ, ჩემს სამოქმედო პროგრამაში წამყვან პოზიციებზეა. მაგრამ ეს არ მიმაჩნია მთავარ საქმედ. პროგრამა გნებავთ? ნებისმიერი ქართველ მოზარდს და ბავშვს, ვისაც ფეხბურთის თამაში უნდა, ეს უნდა შეეძლოს და არავითარი ხელშემშლელი პირობა არ უნდა არსებობდეს. აი, ეს გახლავთ ჩემი პროგრამა. და კიდევ - გამარჯვება. არაფერი არ ანიჭებს ქართველ ხალხს ისეთ დიდ სიხარულს, როგორც დიდი საფეხბურთო გამარჯვება. წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა, ბერძნები რომ დაგვემარცხებინა? ისეთი შეგრძნება მაქვს, ეს რომ



მოგვეხერხებინა, ჩვენს პრეზიდენტს ევროკავშირში მიიწვევდნენ და შესთავაზებდნენ - ევროპის ჩემპიონი საბერძნეთის ნაკრები დაამარცხეთ, ესე იგი, დიდი ხალხი ხართ და თქვენი ადგილი ევროკავშირშიაო. ასეთი გამარჯვებები, როგორც არასდროს, ისე სჭირდება ქართველ ხალხს და თუ პრეზიდენტად ამირჩევენ, ყველაფერს გავიღებ ამისთვის", - ასე ფიქრობს ზურაბ პეტრიაშვილი.

ეროვნული მოძრაობის ეს აქტიური წევრი თავისი გუნდით აპირებს ახალი პოსტის დაკავებას.

"ჯერ არც ერთ კანდიდატს არ დაუსახელებია ის გუნდი, ვისთან ერთადაც აპირებს ფედერაციაში მისვლას და საფეხბურთო საქმეების გაძღოლას. მე არავისთან დასამალი არ მაქვს - ფედერაციაში მისვლას ვაპირებ ლანჩხუთის "გურიის" იმ ვეტერან ფეხბურთელებთან ერთად, რომლებმაც 1990 წელს გადამწყვეტი როლი შეასრულეს ქართული ფეხბურთის საბჭოურისგან გამოყოფაში. მაშინ მათ დაამტკიცეს, რომ ნამდვილი გმირები არიან. მას შემდეგაც ეს ადამიანები პატიოსანი ცხოვრების წესით და ფეხბურთის სიყვარულით ადასტურებენ, რომ ღირსეულები არიან. ჩოლარიას ეპოქა უნდა დასრულდეს ქართულ ფეხბურთში", - საკმაოდ კატეგორიულია პეტრიაშვილი.

ქომაგთა ლიგის კანდიდატი კონკურენტების თემასაც შეეხო და ერთადერთ ღირსეულ მოწინააღმდეგედ გიორგი ნემსაძე მიიჩნია.

"ჩემთვის დღეს სამი კანდიდატია ცნობილი - ნოდარ ახალკაცი, ვლადიმერ გუცაევი და გიორგი ნემსაძე. ახალკაცზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი - ვერც საქებარს, ვერც კრიტიკულს. როდესაც პატარა იყო, ხშირად ვხვდებოდი იმის გამო, რომ მამამისთან მქონდა ურთიერთობა. იგი წლების განმავლობაში მოწყვეტილია საქართველოს და ფეხბურთთან ბევრი არაფერი აკავშირებს. რაც მთავარია, მე არ ვიცი მისი ხედვა, მისი პოზიცია მთელ რიგ მნიშვნელოვან საფეხბურთო საკითხებში. ვლადიმერ გუცაევი საქართველოს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად მიმაჩნია. მას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ როდესაც შევიტყვე, თუ რომელი ხმების იმედი აქვს, ნათელი გახდა: გუცაევმა თუ გაიმარჯვა, ეს იქნება ჟორდანიას ერთგვარი ჩანაცვლება და სადავეები ისევ ჩოლარიას დარჩება. ეს კი დაუშვებლად მიმაჩნია. ერთადერთი ღირსეული კანდიდატი გიორგი ნემსაძეა. იგი უწესიერესი, პატიოსანი ადამიანია, ჩვენი საფეხბურთო ოჯახის ნამდვილი წევრია, განათლებულია და მას სრული მორალური უფლება აქვს, კენჭი იყაროს ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში. თუ ისე მოხდა, რომ ნემსაძემ სამართლიან არჩევნებში ყველა კანდიდატს, მათ შორის, მეც, გვაჯობა და გაიმარჯვა, პირველი მე მივულოცავ და მასთან აუცილებლად ვითანამშრომლებ. თუ მე გავიმარჯვებ, დარწმუნებული ვარ, იგივეს გააკეთებს გიორგიც", - განაცხადა ზურაბ პეტრიაშვილმა.

როგორც ჩანს, ბატონ ზურაბს არც მხარდაჭერა აკლია, ყოველ შემთხვევაში, ამას ღიად ადასტურებს სახელმწიფო მინისტრი და ეს პოზიცია, გურამ აბსანძის მაღალი რანგის გათვალისწინებით, არცთუ უმნიშვნელო არგუმენტია არჩევნებში წარმატების მისაღწევად.

"ბატონ ზურაბს სერიოზული მხარდაჭერა აქვს როგორც საფეხბურთო წრეებში, ისე ხელისუფლებაში. საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მთავრობა არჩევნებში არ ჩაერევა, რაც სწორი პოზიციაა და, როგორც სახელმწიფო მინისტრი, აბსოლუტურად ვეთანხმები. ამდენად, როდესაც ვამბობ მხარდაჭერას, ვგულისხმობ ხელისუფლების კეთილგანწყობას და არჩევნების შემდეგ ნაყოფიერი თანამშრომლობის პერსპექტივას ზურაბ პეტრიაშვილის მიმართ", - აღნიშნა აბსანძემ.

# "მილანი" ზეიმობს



ანდრეი შევჩენკოსა და იონ დალ ტომასონის გოლებმა კახა კალაძის "მილანს" საშუალება მისცა, დიდი ნაბიჯი გადაედგა ჩემპიონთა ლიგის ფინალისკენ. აღსანიშნავია, რომ ეს იქნება მილანური კლუბის მეორე ფინალი ბოლო სამ წელიწადში. ორივე გოლი ტაიმების მიწურულს გავიდა. ჯერ 42-ე წუთზე, შემდეგ კი - 90-ეზე ანდრეი შევჩენკომ და იონ დალ ტომასონმა გამოიჩინეს თავი.

ამით შეწყდა ჰოლანდიის ახლად გამომცხვარი ჩემპიონების 20-მატჩიანი წაუგებელი სერია. თანაც, მათთვის სავალალოდ, ეს სერია ყველაზე უდროო დროს შეწყდა. განმეორებით მატჩში "პსვ ეინდჰოვენი" იძულებულია, სულ ცოტა, ორი გოლი გაიტანოს და საკუთარი კარი მშრალად შეინახოს. რაც შეეხება "მილანს", გუნდს ევროპულ სარბიელზე გამართულ ბოლო შვიდ შეხვედრაში გოლი არ გაუშვია.

**კარლო ანჩელოტი, "მილანის" მთავარი მწვრთნელი:** "პირველ ტაიმში წლევანდელი სეზონის საუკეთესო თამაში ვაჩვენეთ. პირველი ნახევარი მართლაც შესანიშნავი გამოვიდა, მაგრამ მეორე ტაიმში პოზიციები დავთმეთ. დაცვაზე მოვახდინეთ კონცენტრირება და შევეცადეთ, თამაში კონტრშეტევებზე აგვეგო, მაგრამ ასეთ დონეზე თამაშისას ეს ნორმალურია. ჩვენი მეტოქე მართლაც ძლიერი აღმოჩნდა და მაღალი კალსის თამაში გვიჩვენა. განმეორებითი მატჩი უაღრესად რთული იქნება, მაგრამ დღეს მთლიანობაში შესანიშნავ შედეგს მივაღწიეთ".

**გუუს ჰიდინკი, "პსვ ეინდჰოვენის" მთავარი მწვრთნელი:** "საწყენია, როცა ისეთ მაღალი დონის მეტოქესთან, როგორიც "მილანია", ექვს საგოლე მომენტს შექმნი და ვერ გაიტან. ჩვენს შემადგენლობაში "მილანის" რომელიმე ფორვარდი რომ ყოფილიყო, ჩვენ გავიმარჯვებდით. თამაში უაღრესად არადამაჯერებლად დავიწყეთ, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ტაიმის მიწურულს გოლი გავუშვით, მეორე ნახევარში ინიციატივა მაინც მოვიპოვეთ. მინიმალური ანგარიშით მარცხი კიდევ არ იქნებოდა ტრაგედია, მაგრამ მეორე გოლმა უკვე სერიოზულად გაგვირთულა ამოცანა. 0:2-ის გაქვითვა ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ ჩვენ მაინც შევეცდებით. განმეორებით მატჩში თავდაუზოგავ ბრძოლას ველოდები. "მილანი" მწვავე კონტრშეტევებს განახორციელებს".

**ანდრეი შევჩენკო, "მილანის" ფორვარდი:** "ეს უაღრესად რთული შეხვედრა იყო. მეტოქემ გვაიძულა, მთელი 90 წუთი გვერბინა. მატჩის ბოლოს ყველანი გამოფიტული ვიყავით. ჰოლანდიელები არც ისე მაღალ ტემპში თამაშობდნენ, მაგრამ შესანიშნავად აკონტროლებდნენ ბურთს და უბრძოლველად არც ერთხელ არ დაუთმიათ. ვფიქრობ, გამარჯვების მოსაპოვებლად სწორი ტაქტიკა ავირჩიეთ. ჩვენ გამოგვდიოდა მოედნის ცენტრში ბურთის ართმევა და კონტრშეტევებზე თამაში. ტომასონის გოლი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ამ გოლმა ჩვენ საგრძნობი უპირატესობა მოგვანიჭა, მაგრამ ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა.

**კაკა, "მილანის" ნახევარმცველი:** "ძალიან მიხარია, რომ გავიმარჯვეთ. ვამაყობ იმ პასით, რომელიც შევჩენკოს გადავეცი. პირველ ტაიმში გოლის გატანასთან ახლოს ვიყავი, მაგრამ სტუმრები რამდენჯერმე მეკარე ეურელიო გომესმა გადაარჩინა. შესვენების შემდეგ ცოტა დავიღალეთ, მაგრამ ეს ბუნებრივია, რადგან ბოლო დროს ძალიან ბევრი მატჩი გავმართეთ. ახლა უდიდეს მიღწევამდე მხოლოდ ორი მატჩი დაგვრჩა. შეჩერებას არ ვაპირებთ".

**ალექსი, "პსვ ეინდჰოვენის" მცველი:** "მილანის" წინააღმდეგ "სან სიროზე" თამაში იოლი არ არის, მაგრამ, ვფიქრობ, ღირსეულად გამოვიყურებოდით. სამწუხაროდ, ვერ გამოვიყენეთ დიდას კართან შექმნილი ვერც ერთი მომენტი. მეტოქემ კი ყოველი შეცდომისთვის დაგვსაჯა. ამის მიუხედავად, განმეორებითი მატჩის წინ ოპტიმისტურად ვართ განწყობილი, რადგან დავამტკიცეთ, რომ "მილანთან" თანაბარ დონეზე ვთამაშობთ. ორბურთიანი დეფიციტის აღმოფხვრა ძნელი იქნება, მაგრამ არა წარმოუდგენელი".

# "მიშლენი" თავიდან იგონებს საბურავებს




მიშლენმა დეტროიტში თავისი "ტვილის" სადემონსტრაციოდ აუდი A4 გამოიყენა



ტვილი მსუბუქი ავტომობილების გარდა ტრაქტორებსაც მოემსახურება

ძნელი სათქმელია, რამდენად გამართლებულია ბორბლის ხელახლა გამეორება, თუ ჩვეულებრივი ბორბლები უკვე ათასწლეულების განმავლობაში ემსახურებიან ადამიანებს. მით უმეტეს დღეს, როცა თანამედროვე ავტომობილი წარმოუდგენელია ბორბლის გარეშე.

თუმცა, ცალკეული გამომგონებლები, თუ სხვადასხვა კალიბრის კომპანიები მაინც არ იშლიან თავისას და ცდილობენ, რაიმე სიახლე შესთავაზონ საზოგადოებას. მათი ზოგიერთი ქმნილება ყურადღებასაც იმსახურებს, თუმცა თითქმის ყოველთვის, მათ ადგილს წარმოებაში კი არა, მუზეუმში მიუჩენენ ხოლმე.

მაგრამ როცა ახალი ბორბლის, უფრო სწორად, საბურავის გამოგონებაზე გვამცნობს საბურავების მწარმოებელი ისეთი გიგანტი, როგორიც ფრანგული "მიშლენია", მაშინ სიახლისადმი მეტი ყურადღების გამოჩენაა საჭირო. მით უმეტეს, რომ მისი ავტორი საბურავების წარმოებაში გადატრიალებას გვპირდება.

დეტროიტის წლევანდელ ავტოსალონზე ფრანგული კომპანიის პავილიონი დაეთმო უცნაური ტიპის საბურავს სახელად "ტვილ" (tweel - სიტყვების, tyre-საბურავი და wheel-ბორბალი, კომბინაცია), რომელიც "მიშლენის" ამერიკული შტოს ინჟინერთა მრავალწლიანი გარჯის შედეგია. მისი ავტორების მთავარი მიზანი იმ პრობლემის გადაჭრა იყო, რომელსაც ათეულობით წლების განმავლობაში ვერაფერს უხერხებენ საბურავების მწარმოებლები. კერძოდ, მათ მიზანს წარმოადგენდა ისეთი საბურავის დამზადება, რომელშიც ერთდროულად ორი ძირითადი - სირბილისა და ავტომობილის უზადო მანევრულობის უზრუნველმყოფი თვისებები იქნებოდა შერწყმული.

რა თქმა უნდა, სწორედ ამ პრობლემის მეტ-ნაკლებად მოსაგვარებლად მუშაობენ კონსტრუქტორები დაკიდების სისტემაზე და ბოლო ხანებში, თითქოს მიაგნეს კიდეც გამოსავალს აქტიური საკიდრის გამოყენებით. თუმცა, ასეთი სისტემა სიძვირით გამოირჩევა და, შესაბამისად, ავტომობილის ღირებულებაზე მოქმედებს. თანაც, ამ შემთხვევაშიც, საბურავებზე ბევრი რამაა დამოკიდებული.

სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ რბილი ბორბალი კომფორტული კია, მაგრამ მას არ შეუძლია ავტომობილის კარგი მართვადობის უზრუნველყოფა, რადგან ადვილად დამყოლია განივი რხევებისადმი. აქედან გამომდინარე, მაღალ სიჩქარეზე ასეთი საბურავით აღჭურვილ ავტომობილს მდგრადობა აკლია. სამაგიეროდ, ამ მხრივ, კარგია ხისტი საბურავი, მაგრამ მათი გამოყენების შემთხვევაში კომფორტზე ლაპარაკიც ზედმეტი იქნება.

რა თქმა უნდა, საბურავების მწარმოებლები და კონსტრუქტორები ნემსის ყუნწში ძვრებიან იმისათვის, რომ ორივე ამ თვისების მატარებელი საბურავები დაამზადონ და ნაწილობრივ აღწევენ კიდეც მიზანს, მაგრამ სრულყოფილებამდე მათს პროდუქციას მაინც ბევრი უკლია და ეს პირველ რიგში იმის ბრალია, რომ თანამედროვე საბურავების შიგნით ჰაერი იტუმბება.

ჰოდა, "მიშლენის" გამომგონებლებმა უჰაერო საბურავების შექმნა გადაწყვიტეს. რამდენად მიაღწიეს მიზანს, ჯერ ამაზე ლაპარაკი ძნელია, თუმცა სპეციალისტების ყურადღება რომ მიიქციეს, ეს ფაქტია.

"ტვილის" კონსტრუქციის მთავარი თავისებურება ისაა, რომ მასში იმ ადგილას, სადაც ჰაერი უნდა ყოფილიყო, გარკვეული, ცვალებადი განივკვეთის მქონე წკირებია (გინდა ჩხირები, სპიცები) განლაგებული, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებენ საბურავის გარე და შიდა რკალებს (გარე რკალზე პროტექტორია, შიდათი კი საბურავი ბორბალს ეყრდნობა).

ერთი შეხედვით, ყველაფერი მეტად მარტივია, მაგრამ რეალობაში, ამ კონსტრუქციის შექმნას მრავალი წლის მუშაობა დასჭირდა. ჯერ ერთი, ჩასატარებელი იყო ურთულესი გათვლები. მეორეც, ექსპერიმენტული სახით მსგავსი კონსტრუქციის საბურავის შექმნა გარკვეულ ტექნოლოგიურ სირთულეებთანაცაა დაკავშირებული.

სამაგიეროდ, ჩიტი ნამდვილად ღირდა ბდღვნად. "ტვილს" შესანიშნავი ენერგოშთანმთქმელი უნარი გააჩნია და ამ პარამეტრით, სჯობს კიდეც თანამედროვე, პნევმატურ საბურავებს. ის შესანიშნავად აქრობს დარტყმებს და ამით რბილ საბურავებს ჰგავს, თუმცა იმავდროულად, ადვილად უმკლავდება გვერდით რხევებსაც, რაც ხისტი საბურავების თვისებაა. სხვათა შორის, მისი სიხისტე ჩვეულებრივი საბურავისას 5-ჯერ აღემატება. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ბორბალზე მთლიანი რეზინია დახვეული, რომელსაც გარედან პროტექტორი აქვს დახატული.

რაღა თქმა უნდა, ამგვარი საბურავი მოსახვევის მაღალი სიჩქარით გავლისას, ავტომობილის იდეალურ მართვადობასა და მდგრადობას უზრუნველყოფს. არადა, საბურავს, რომელიც რეზინის "მონოლითია" (მთლიანად რეზინისაა) და დიდი სიხისტითაც გამოირჩევა, მსგავსი თვისება არ გააჩნია.

"მიშლენი" აცხადებს, რომ მის მიერ გამოგონებულ "ტვილს" დიდი პოტენციალი გააჩნია და მისი საშუალებით პრაქტიკულად გარდაიქმნება საავტომობილო, სამხედრო, სამშენებლო და სხვა ტექნიკა, რომლებიც ბორბლებს იყენებს. ამასთან, "ტვილის" მსგავსი საბურავების მოხმარება გაცილებით იაფიც დაჯდება.

"ტვილი" თითქმის ოცჯერ მსუბუქია ჩვეულებრივ საბურავებთან შედარებით და მათზე ამდენჯერვე ნაკლები წინააღმდეგობა აქვს რხევებზე, რითაც ის შესაშურ კომფორტს სთავაზობს მომხმარებელს. ამასთან, შეუძლებელია მისი გახვრეტა და აქედან გამომდინარე, ის ხიფათიც გამოირიცხება, რომელსაც მოძრაობის დროს საბურავის დაშვება იწვევს.

დეტროიტში სადემონსტრაციოდ, "მიშლენმა" დაამზადა არამხოლოდ ავტომობილისთვის განკუთვნილი საბურავი, რომელიც "აუდი A4-ზე" გამოიცადა, არამედ ამ ტიპის საბურავებით შემოსა გადაადგილების ისეთი ეგზოტიკური საშუალებანი, როგორებიცაა ინვალიდებისთვის განკუთვნილი რობოტოტექნიკური ურიკა "იბოტი" და უგზოობის, თვითბალანსირებადი სკუტერი სახელად "სეგვეი ცენტავრ".

დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინ "მიშლენმა" ავტომწარმოებლებს პირველმა შესთავაზა რადიალური საბურავები, რომლებიც თანამედროვე ავტომობილებში გამოიყენება. დღეს კი კომპანიის ამერიკული დივიზიონის შეფი ტერი გეტისი აცხადებს: "საავტომობილო მრეწველობაში რევოლუციები საუკუნეში ერთხელ ხდება. ახალი საუკუნე დაწყებულია და ესე იგი, მორიგი რევოლუციის დრო დადგა. მისი მოხდენა "ტვილს" შეუძლია, რომელმაც ტესტების დროს უკვე დაგვიმტკიცა, რომ ტრანსპორტის ძირეულად გარდაქმნა შეუძლია".

# გიგანტური ვარხვი ფრენისთვის ემზადება

კომპანია "ბოინგის" პერსპექტიულ პროექტებზე მომუშავე შტო "ბოინგ ფანტომ უორკსის" კონსტრუქტორები მუშაობენ სუპერგიგანტური თვითმფრინავის შექმნაზე, რომელიც დღეისათვის მსოფლიოში ყველაზე დიდ თვითმფრინავზე, უკრაინულ "ან-225 მრიაზე" ხუთჯერ მეტი ტვირთის გადატანას შეძლებს.

პროექტის სახელია "პელიკანი" და მისი განხორციელების შემთხვევაში, დამზადდება ამავე სახელწოდების მქონე თვითმფრინავი, რომლის ფრთის გაშლა იქნება 152 მეტრი, სიგრძე კი - 109 მეტრი. რაც შეეხება მის ტვირთამწეობას, იგი 1400 ტონა ტვირთის გადატანას შეძლებს, რაც დაახლოებით 17 ცალი ტანკ "M-1 აბრამსის" წონის ტოლფასია. იმისათვის, რომ ამ ტვირთით აფრენა და დაჯდომა შეძლოს, თვითმფრინავის ფიუზელაჟი დაეყრდნობა 38 ცალი ურიკისგან შემდგარ შასის, რომელსაც 76 ბორბალი ექნება.

კომპანიის მესვეურები არ მალავენ, რომ ამ პროექტს კონკრეტული დანიშნულება აქვს. კერძოდ, მათ არ აწუხობთ, რომ დღეისათვის მსოფლიოს ზღვისპირეული გადაზიდვების მხოლოდ ერთი პროცენტი მოდის ავიაციაზე, დანარჩენს კი სატვირთო გემები ახორციელებენ.

პროექტის ხელმძღვანელ ბლეინ როუდონის თქმით, "პელიკანი" ათჯერ უფრო სწრაფი იქნება სატვირთო გემებთან შედარებით და ტვირთის დაახლოებით ათი ათასი საზღვაო მილის სიშორეზე გადატანას შეძლებს. ამასთან, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, "პელიკანის" შენახვა გაცილებით იაფი დაუჯდება მის მფლობელ ავიაკომპანიას, ვიდრე თანამედროვე თვითმფრინავებისა.



საინტერესოა ისიც, რომ "პელიკანი" ფრენის მანერას ამავე სახელწოდების მქონე ჩიტისგან (ჩვენებურად ამ ჩიტს ვარხვი ჰქვია) გადაიღებს. კერძოდ, ოკეანის თავზე გადაფრენისას ის ზღვის დონისგან დაახლოებით 6 მეტრით იქნება დაშორებული, რათა უკეთ გამოიყენოს ეგრეთ წოდებული გრაუნდ ეფექტი, ანუ ისარგებლოს ჰაერის აღმავალი ნაკადით. სხვათა შორის, ამავე ეფექტს იყენებენ ეკრანოპლანები, რომლებმაც ჯერჯერობით ვერ ჰპოვეს გამოყენება თანამედროვე ავიაინდუსტრიაში.

ასეთ დაბალ სიმაღლეზე ფრენა დიდ ხიფათთანაა დაკავშირებული. ამიტომ, თვითმფრინავზე დამონტაჟდება სპეციალური სანავიგაციო სისტემა, რომელიც ავტომატურ რეჟიმში გააკონტროლებს ზღვის ზედაპირიდან დაშორებას და ამინდის გაფუჭების შემთხვევაში, გაზრდის ფრენის სიმაღლეს. დანიშნულების ადგილამდე მიღწევის შემდეგ, "პელიკანი" დიდ სიმაღლეს (დაახლოებით 7 ათასი მეტრი) აიღებს და დასაჯდომ მანევრს შეასრულებს.

"ბოინგი" იმედოვნებს, რომ ამ პროექტით ტვირთის გადამტანი კომპანიების გარდა, ამერიკელ სამხედროებსაც დააინტერესებს, რომელთა ახალი სამხედრო დოქტრინა (პროექტირების სტადიაში მყოფი) ითვალისწინებს 5 დღეში მთელი დივიზიის გადაყვანას დანიშნულების ადგილამდე, ერთ თვეში კი - 5 დივიზიისას.

სხვათა შორის, ამერიკულ სტანდარტულ სატანკო ასეულში 14 ტანკი შედის, "პელიკანს" კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთდროულად 17 ცალი "აბრამსის" გადატანა შეუძლია. ამ მონაცემებს "ბოინგი" იმიტომაც აქვეყნებს, რომ თავისი პროექტით ყველაზე სასურველი პოტენციური დამკვეთის, პენტაგონის დაინტერესებას მიაღწიოს.

გარდა ამისა, "პელიკანს" შესაძლებლობა ექნება, გადაიყვანოს მომავლის უპილოტო თვითმფრინავების მთელი ოცეული. უფრო მეტიც, შესაძლებელი გახდება მისი ახალი თაობის მრავალჯერადი კოსმოსური აპარატების გაშვების პირველ საფეხურად გამოყენება.

პროექტი პრაქტიკულად მომზადებულია, მაგრამ მის განსახორციელებლად უზარმაზარი ინვესტიციაა საჭირო, რაც პრობლემური საკითხია. და თუ დაფინანსება ვერ მოხერხდა, "პელიკანის" განხორციელება ძნელი წარმოსადგენი იქნება.

# ავტომობილები ფრენას სწავლობენ

დღემდე მფრინავი ავტომობილები ფილმებში თუ გვინახავს, მაგრამ ყველამ როდი იცის, რომ ასეთი აპარატები მხოლოდ რეჟისორთა ფანტაზიის ნაყოფი არაა და მათი შექმნის იდეა კარგა ხანია, მოსვენებას არ აძლევს გამომგონებლებს. ხანდახან, მთელ მსოფლიოს შემოივლის ხოლმე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მავანმა ინჟინერმა, ან საავიაციო კომპანიამ მფრინავი ავტომობილი შექმნა და ტესტებისთვის ამზადებს, თუმცა აქამდე იშვიათად თუ ყოფილა, რომ ასეთი ავტომობილის ქმედითუნარიანობა დადასტურებულიყოს.





ასეთ გამომგონებელთა რიცხვს მიეკუთვნება კალიფორნიელი ინჟინერი ატილა მელკატი, რომელსაც უკვე შეუქმნია კიდეც მის მიერ შემუშავებული მფრინავი ავტომობილი. ეს აპარატი სხვა მსგავსი მანქანებისგან ძლიერ განსხვავდება და რაც მთავარია, პრაქტიკულად მზადაა გამოსაცდელად. ეს საპასუხისმგებლო მისია იკისრა ამერიკულმა კომპანია "AMV ეარკრაფტმა", რომელიც თავად მელკატის დაარსებულია.

აპარატი სახელად AMV-211, ორადგილიანია და მის გადაადგილებას (ფრენას) უზრუნველყოფს მანქანის ძირში მოთავსებულ რგოლში ჩასმული ერთადერთი ხრახნი (პროპელერი). ხრახნის დიამეტრი 2.39 მეტრია და მას აქვს კევლარისგან დამზადებული ხუთი ფრთა (ნიჩაბი). ეს ხრახნი კორპუსთან ისეა შეერთებული, რომ პოზიციას მუდმივად ინარჩუნებს. სამაგიეროდ, მასთან მიმართებაში პოზიციას იცვლის აპარატის კორპუსი, რითაც მისი მანევრირება ხდება. პროექტის ავტორი ამბობს, რომ სწორედ ამგვარი კონსტრუქციით განსხვავდება მისი აპარატი სხვა მსგავსი მანქანებისგან.

ხრახნის ქვეშ განლაგებულია ჟალუზების სისტემა, რომლის საშუალებითაც ხდება მფრინავი ავტომობილის მართვა. ამ ჟალუზების საშუალებით, შესაძლებელია ჰაერის ნაკადის საჭირო მიმართულებით გადახრა, რითაც ხერხდება მანქანის სიმძიმის ცენტრსა და გამწევი ძალის მოდების წერტილს შორის მანძილის რეგულირება, ამას კი აპარატის ფრენის მიმართულების ცვლა მოსდევს.

აფრენის დროს ხრახნს ჰორიზონტალური პოზიცია უკავია და აპარატის ვერტიკალურ გადაადგილებას უზრუნველყოფს, ჰაერში აფრენის შემდეგ კი მანქანის კორპუსი წინ 26 გრადუსით იხრება და შესაბამისად, პოზიცია ეცვლება ხრახნსაც, რითაც უკვე გრძივ გადაადგილებას იწვევს.

უნდა ითქვას, რომ აქამდე შექმნილი მფრინავი აპარატებისგან განსხვავებით, AMV-211 ფრენის დროს ფრთებს იყენებს, როცა სხვა კონსტრუქციებში გადასაადგილებლად მხოლოდ ხრახნი გამოიყენება. ფრთების საშუალებით აპარატი გაცილებით ნაკლებ საწვავს მოიხმარს და ძრავსაც ზოგავს, სხვა აპარატებში კი ძრავები მუდამ კრიტიკულ რეჟიმში მუშაობენ.

ფრთებს სხვა მისიაც აკისრიათ. კერძოდ, თუ ძრავი დაზიანდება, მაშინ აპარატი სწორედ ფრთების მეშვეობით მოახერხებს პლანირებას და ხმელეთზე დაბრუნებას.

AMV-211-ში გამოყენებულია ტურბოკომპრესორით აღჭურვილი როტორული ძრავა, რომელსაც იაპონური საავტომობილო კომპანია "მაზდა" აწარმოებს. ეს აგრეგატი ტურბინის მეშვეობით 450 ცხენის ძალას ავითარებს, რაც სრულებით საკმარისია კომპაქტური აპარატისთვის, რომელიც მხოლოდ 572 კილოგრამს იწონის.

მფრინავი ავტომობილის სიგრძე სულ 6 მეტრია, ზუსტად იმდენი, რამდენიცაა მისი ფრთაშლილობა. გათვლებით, AMV-211-ის ფრენის ჭერი (სიმაღლე) 7.5 კილომეტრია, სიშორე კი - 1850 კილომეტრი. რაც შეეხება მაქსიმალურ სიჩქარეს, ის სულ რაღაც 280 კმ/სთ-ია.

რაც შეეხება თავად მელკატის, ის კომპანია "AMV ეარკრაფტის" დამაარსებელიცაა და მფლობელიც. მელკატი წარმოშობით ყოფილი იუგოსლავიიდანაა, საიდანაც აშშ-ში 1986 წელს გადასახლდა. იუგოსლავიაში მან შეისწავლა საავიაციო ტექნოლოგიები და ეს ცოდნა ოკეანის გაღმა გამოიყენა. იქ თავიდან ერთ-ერთი ავიახაზის უბრალო მექანიკოსად მუშაობდა, მაგრამ შემდეგ, კერძოდ კი 1996 წელს, სამუშაო მიატოვა, რათა მთელი თავისი დრო საკუთარი იდეის განსახორციელებლად გამოეყენებინა - მან მიზნად ვერტიკალური აფრენის უნარის მქონე პირადი საფრენი აპარატის შექმნა დაისახა.

2004 წელს მელკატის აპარატზე აშშ-ის საავიაციო სააგენტომ ფრენის ლიცენზია გასცა. ოღონდ, ლიცენზიაში მითითებულია, რომ ეს აპარატი ჯერ მხოლოდ ექსპერიმენტულია და კომერციული მიზნებისთვის მისი გამოყენება არ შეიძლება. სრულფასოვანი ლიცენზიის მისაღებად კი მან უნდა გაიაროს ტესტების სერია.

აღსანიშნავია, რომ მელკატიმ თავისი საფრენი აპარატი წელიწადზე მეტი ხნის წინ შექმნა, მაგრამ მისი საჰაერო გამოცდების დაწყებას არ ჩქარობს, რადგან კარგად იცის, არასრულყოფილი აპარატებით ფრენების ნაჩქარევად დაწყებას, არაერთი ნიჭიერი კონსტრუქტორი და ავიაგამომცდელი დაუღუპავს. აქვე იმის აღნიშვნაც ღირს, რომ თავის დროზე მის მიერ შექმნილი მფრინავი ავტომობილის გამოცდას არ ჩქარობდა ცნობილი კონსტრუქტორი პოლ მოლერი.

მელკატიმ კარგად იცის, რას ნიშნავს მანქანის სრულყოფა და ამიტომ, ტესტების სერიას ჯერ ხმელეთზე შეუდგა. პირველ ტესტებზევე გაირკვა, რომ მოდერნიზება სჭირდებოდა ძრავის გაგრილების სისტემას. მომდევნო ეტაპზე კიდევ რამდენიმე მსგავსი სამუშაო გახდა ჩასატარებელი.

მას შემდეგ, რაც ყველანაირი ტესტი ჩატარდება და აპარატი გამოსაყენებლად ვარგისად იქნება მიჩნეული, მელკატი მის შეკვეთებით წარმოებას აპირებს. უფრო სწორედ, მისი კომპანია დაამზადებს ეგრეთ წოდებულ კიტკომპლექტებს, რომელთაგან მყიდველს თავადვე ექნება მფრინავი აპარატის აგების საშუალება.

უფრო შორეულ მომავალში მელკატი გეგმავს AMV-211-ის 4 და 6 ადგილიანი, ასევე უპილოტო ვერსიების დამზადებას. ამასთან, უპილოტო აპარატები სამხედრო დანიშნულებისთვის იქნება განკუთვნილი.

**გვერდი მოამზადა**
**მერაბ ლორთქიფანიძემ**

სახელი ____

გვარი ____

ასაკი ____

სიმაღლე ____

მისამართი ____

საკონტაქტო ტელეფონის ნომერი ____

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა____________ თარიღი________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, გონებამახვილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, თქვენი სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

## სკანვორდი




## TV პროგრამა

28 აპრილი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ადამიანი-ობობა **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **22.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.20** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "ღმერთის საჭურველი" **15.25** ჩემპიონთა ლიგა. **18.30** პატრული **19.00** დოკ. ფილმი "იერუსალიმის უძველესი საოცრებანი" **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** ვის უნდა 50 ათასი **23.00** სერიალი "მატრიოშკები" **00.00** მხ. ფილმი "კინგ-კონგი" (18) (ჯესიკა ლანჟი) **02.40** პატრული

### TV5

**08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.55(შვეიცარია), 03.40(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **10.30** ტელეტურიზმი. **11.05** გადაცემა: საოჯახო ფოტოები. **12.20** მაშველები. ტელესერიალი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.25** ფრანს ევროპ ექსპრესი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** როცა ზღვა უკან იხევს. მხ ფილმი. რეჟისორი იენმანი. **24.25** შოაჰ. მხ. ფილმი. რეჟისორი კლოდ ლანზმანი. **04.20** ანა. მხ. ფილმი რეჟისორი პიერ კორალნიკი.

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "წინაპრები" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "მეფე არტური" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აზერბაიჯანულ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** "ბიოგრაფიული პორტრეტები" - სალვადორ დალი. **16.30** დოკ. ფილმი "კაციჭამიები ცავოდან" **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი როგორ" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერ. "შირლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" - "უდაბნოს შვილები" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "შედევრის პირადი ცხოვრება" **23.00** მედიატორი **23.30** ქართ. ფილმი "იავნანა" (გ) **02.00** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "ფოკუსის ისტორია" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **12.05** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **13.05** "ტაქსის მძღოლი" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ტაქსის მძღოლი" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "პოლიციელი ქალები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება. "გზა მაცხოვრისა". **00.00** მხ. ფილმი "შურისძიება" (გ) (ტერენს ჰილი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "კარიბის გული" **19.50** "ბაბილინა" **20.05** მულტ. სერიალი "ჟაკ კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავლები" **20.30** დოკ. სერიალი "ცეკვის ენა" **20.55** დოკ. ფილმი "ცხოველთა ბედი" **21.45** კინოსეანსი "მოკვეთილი"

### იმედი

**07.00** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "ცხელი ძაღლი-2" **12.20, 17.10, 03.30** იმედის მელოდიები **12.40, 15.20, 02.20** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "თავგადასავალთა მაძიებელნი" **15.00, 16.45, 18.00, 19.00, 22.00, 02.10** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** ერთხელ ჰოლივუდში **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.25** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ცხელი ძაღლი-2" **22.55** "ზ. პ. ჩვენი პარტნიორი" **23.10** "ათასიდან ერთი შანსი" **23.40** მხ. ფილმი "მოწინააღმდეგე მხარეები" (12) **02.55** ნუცას სკოლა (გამ.)

### აჭარა

8.00 მუსიკა 8.30 საინფ. დაიჯესტი 9.00 სერიალი "ჩემი სამი და" **10.00** მუსიკა **10.30** დოკ. ფილმი **11.30** კომედია "ციხესიმაგრე" **13.00** სათავ. ფილმი "რამდენიმე დოლარით მეტი" **14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **17.00** მუსიკა **17.55** მულტფილმი **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.55** მუსიკა **19.15** "წკიპურტები" **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.05** მხ. ფილმი "ყველაფერს დაესვას წერტილი" **22.35** "საგამომცემლო სიახლეები" **23.15** "ექსკლუზივი" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** თრილერი "მცველი" **02.00** გერმანული ტალღის ახალი ამბები

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"ЗВЕЗДА ЭПОХИ". 10.30, 18.40** Сериал **"КЛОН". 11.30** Дисней-клуб: "Утиные истории". **12.20** Нина Русланова в фильме **"ЗНАК БЕДЫ". 1**-я с. **13.40** Док. фильм "Страсти по Марине". **14.30** "Угадай мелодию" **15.20** Сериал **"НА УГЛУ, У ПАТРИАРШИХ". 16.20** "Пять вечеров". **17.30** Криминальная Россия. "Огненный след". **19.50** Сериал **"ОХОТА НА АСФАЛЬТЕ".** Закл. с. **21.00** Время. **22.40** "Человек и закон" **23.30** Ночное "Время". **23.50** Док. фильм "Бессмертная война. Сталин. Раб и властелин". **00.30** Ударная сила. "Триумф "Летучих лисиц". **01.20** Вэл Килмер в триллере **"КРАСНАЯ ПЛАНЕТА".** Недалекое будущее. Ресурсы Земли истощены настолько, что человечеству грозит реальное вымирание. Несколько научных кораблей, отправленных на Марс, чтобы выяснить пригодность планеты для жизни, не вернулись на Землю. О том, что случилось с экипажами, никому не известно. И вот космический корабль "Марс-1", оснащенный по последнему слову техники с научной экспедицией на борту вновь отправляется на "Красную планету". Но ответить, есть ли на далекой планете условия для жизни человека, смогут лишь те, кто вернется из этого похода живым... **03.20** Что? Где? Когда? Команда звезд Первого канала в финальной игре весенней серии. **04.40** Сериал **"МЕДИЦИНСКАЯ АКАДЕМИЯ".**

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Тайны разведки. **10.50** Сериал **"СТРОПТИВАЯ МИШЕНЬ". 11.55** Сериал **"ЧЕЛОВЕК ВОЙНЫ". 13.30** Чистосердечное признание. **14.05** Худ. фильм **"СЕКРЕТНЫЙ ФАРВАТЕР". 3**-я с. **15.35** Игры разума. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ-2. СМЕРТЬ В ПРЯМОМ ЭФИРЕ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ЧЕЛОВЕК ВОЙНЫ". 20.45** Сериал **"СТРОПТИВАЯ МИШЕНЬ". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** "К барьеру!" Ток-шоу **00.15** Сериал **"ЧЕЛОВЕК ВОЙНЫ". 01.20** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ-2". 02.25** Бильярд. **03.10** Сериал **"ФИЛАДЕЛЬФИЯ". 04.15** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА-3". 05.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ".**

# პირველად ქართველი მაყურებლის წინაშე

ნათია ვადაჭკორია





საფრანგეთის საელჩომ საქართველოში და დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრმა მსმენელს კიდევ ერთი მშვენიერი საღამო - კამერული მუსიკის კონცერტი აჩუქა. კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გუშინ მარინა შიშის (ვიოლინო) და ალექსანდრე გასპაროვის (ფორტეპიანო) შესრულებით ბრამსის ორი სონატა, პროკოფიევის სონატა სოლო ვიოლინოსთვის და ფრანკის დო-მაჟორული სონატა მოვისმინეთ.

მარსელელი მარინა შიში რუსული სავიოლინო სკოლის ტრადიციებს დავიდ ოისტრახის ნამოწაფრისგან - იან ტერ მერგერიანისგან ეზიარა. პარიზის ცეკვისა და მუსიკის უმაღლესი ეროვნული კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ პიერ ლორან ემარის ხელმძღვანელობით ავტორისეული ტექსტის ზუსტი აღქმა და ანალიზი, შესრულების მაღალი ოსტატობა განივითარა.

გამოჩენილ უნგრელ კომპოზიტორთან - გეორგ კურტაგთან შეხვედრამ ახალგაზრდა მევიოლინეზე ღრმა ფსიქოლოგიური გავლენა იქონია.

მარინა შიში დიდი წარმატებით უკრავდა რუსეთში, იტალიაში, მონაკოში, დანიაში, თურქეთსა და ფლორიდაში ისეთი ცნობილი მუსიკოსების გვერდით, როგორებიც არიან რენო და გოტიე კაპიუსონები, ჟერომ დუკრო და სხვანი. გარდა ამისა, მარინა შიში დასახელებული იქნა "კლასიკური მუსიკის 2003 წლის აღმოჩენად".

რაც შეეხება მოსკოვში დაბადებულ ალექსანდრე გასპაროვს, მან მოსკოვის კონსერვატორია ფორტეპიანოს, კამერული ანსამბლისა და კომპოზიციის სპეციალობით დაამთავრა. მისი, როგორც კომპოზიტორის აღიარება მოხდა შემდეგი ნაწარმოებებით: რაფსოდია ალტისა და ჩელოსთვის, სონატა ჩელოსა და ფორტეპიანოსთვის, კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისთვის, სიმებიანი კვარტეტი და სხვა.

მოსკოვში მოღვაწეობის შემდეგ, გასპაროვი საცხოვრებლად პარიზში გადავიდა, სადაც მოღვაწეობას როგორც კომპოზიტორი და პიანისტი აგრძელებს.

გამოჩენილ ვიოლონჩელისტებთან ერთად ქსავიე ფილიპსთან და ჰენრი დემარკეტთან შეხვედრამ მას ახალი წარმატება მოუტანა პარიზში გამართულ კომერციული მუსიკის საერთაშორისო კონკურსზე.

მუსიკოსები საქართველოში მხოლოდ ორი დღით სტუმრობდნენ.

**ალექსანდრე გასპაროვი:** "თბილისში პირველად არ ვარ. აქ 10-12 წლის ასაკში ბიძასთან ერთად ჩამოვდიოდი. ბავშვობის მოგონებები ჩემს გონებას დღემდე შემორჩა. ქართველი მაყურებლის წინაშე როგორც პიანისტი პირველად წარვდექი. ამ კონცერტზე ჩემი დიდი ხნის ნატვრა ახდა და მარინა შიშთან ერთად დავუკარი ბრამსის და ფრანკის სონეტები.

მარინას გარდა უამრავი პარტნიორი მუსიკოსი მყავს. მე და მარინას აქამდეც გვქონდა ერთად დაკვრის შესაძლებლობა და იმედია, კვლავაც გვექნება. პარიზში დიდი ხანია ვცხოვრობ, გარდა ამისა, პიანისტი ვარ, როგორც კომპოზიტორსაც კარგად მიცნობენ."

**- რამდენიმე წლის განმავლობაში თბილისის კონსერვატორიაში ფრანგმა მუსიკოსებმა ჟერომ პერნემ და ჟერომ დიუკრომ კონცერტი ჩაატარეს. ისინი შუბერტის ნაწარმოებების უბადლო შემსრულებლებად მოიაზრებოდნენ, თქვენ შემთხვევაში როგორ არის საქმე?**

- ისინი არა მხოლოდ შუბერტის შემსრულებლებად აღიქმებიან, არამედ ბეთხვოვენს და შოპენსაც მშვენივრად ართმევენ თავს. სხვათა შორის, სულ რაღაც სამ კვირაში ჟერომ დიუკროსთან ერთად საფრანგეთის ერთ-ერთ მუსიკალურ ფესტივალზე ოთხ ხელში დავუკრავ ფორტეპიანოზე ვოკალური კვარტეტის თანხლებით.

მართალია, ბრამსი და ფრანკი ჩემს უსაყვარლეს კომპოზიტორებად ითვლებიან, მაგრამ ვცდილობ, არ შემოვიფარგლო და არეალის გაფართოებისკენ მივისწრაფვი.

რაც შეეხება მევიოლინე მარინა შიშს, მასაც ძალიან მოეწონა თბილისი, განსაკუთრებით სიონის საკათედრო ტაძარი. თბილისის შემდეგ გერმანიაში მიემგზავრება კონცერტის ჩასატარებლად, ბოლოს კი, მშობლიურ საფრანგეთში დაბრუნდება.

# ჯექსონის ბრაზილიური თავგადასავლის შედეგები

პოპის მეფე ადვოკატმა მიატოვა



პოპის მეფობიდან პედოფილიის მეფობამდე ჩამოქვეითებული მაიკლ ჯექსონის ირგვლივ ატეხილი სკანდალი კვლავ აქტუალურია. მის წინააღმდეგ წამოწყებულ სასამართლო პროცესზე თითქმის ყოველდღე ახალი მოწმეები და ფაქტები ჩნდება. ამას ისიც ემატება, რომ ჯეკსონს ხშირად ტოვებენ ადვოკატები. ისინი მომღერალთან საკმაოდ სოლიდური ჰონორარის საფასურად მუშაობენ, მაგრამ, როგორც ჩანს, საქმე იმდენად რთულია, რომ მისგან თავის არიდებას არჩევენ.

კვირის დასაწყისში ჯექსონის ადვოკატთა გუნდი დატოვა ბრაიან ოკსმანმა, რაც მისი კლიენტისა და კოლეგებისთვის დიდი მოულოდნელობა იყო. ოკსმანის განცხადებით, ჯექსონის საქმემ უკვე იმდენად არასასიამოვნო ხასიათი შეიძინა, რომ მასთან მუშაობა ადვოკატის რეპუტაციას საფრთხეს უქმნის. ოკსმანი პირველი არ არის, რომელმაც პედოფილიაში დადანაშაულებული მომღერალი მიატოვა. 2004 წლის აპრილში ჯექსონის საქმეს უკვე გამოეთიშნენ მარკ ჯერაგოსი და ბენჯამინ ბრაფმანი.

ადვოკატების გარდა, მაიკლ ჯექსონს ფორტუნაც ღალატობს. ამ დღეებში სასამართლოზე მოწმის სახით გამოვიდა ერთ-ერთი ტურისტული სააგენტოს თანამშრომელი, რომელსაც ჯექსონის თანაშემწეებმა 13 წლის გევინ არვიზოსა და მისი ოჯახის წევრების ბრაზილიაში მოგზაურობის ორგანიზება დაავალეს. მოწმის განცხადებით, ეს დავალება მან იმ დღეებში მიიღო, როდესაც ტელევიზიით იხილა დოკუმენტური ფილმი, რომელშიც ჯექსონი და არვიზო დიდი ენთუზიაზმით ყვებიან, როგორ სძინავთ ერთ ლოგინში. ბრალდების აზრით, ბრაზილიაში ჯექსონი გევინ არვიზოსთან განმარტოებისთვის მიემგზავრებოდა, მისი ოჯახი კი თვალის ასახვევად მიჰყავდა.

ტურისტული სააგენტოს თანამშრომელმა ისიც თქვა, რომ ჯექსონის განკარგულებით, თვითმფრინავში შეიტანეს გაზიანი სასმელის ალუმინის ქილები, რომელშიც უალკოჰოლოს ნაცვლად ღვინო იყო ჩასხმული. ეს კი ჯექსონს თავისი არასრულწლოვანი თანამგზავრის დასათრობად უნდოდა. ჯექსონის ამ მეთოდს სხვა მოწმეებიც ადასტურებენ.

არ არის გამორიცხული, რომ მომდევნო დღეებში სასამართლოზე მაიკლ ჯექსონის ყოფილი მეუღლე დები როუც გამოვა. მას კი ნამდვილად ექნება სათქმელი...

საქართველოს
კონტროლის პალატის
გენერალური
ინსპექციის ცხელი
ხაზი:
95 30 81
96 71 78




## სწავლა დიდ ბრიტანეთში

ბრიტანეთის საბჭოს მიერ სერთიფიცირებული საგანმანათლებლო სააგენტო შპს **"ი ელ ელ"**-ი (**ELL. Ltd**) გთავაზობთ სწავლას დიდ ბრიტანეთში.

**ენის სასწავლო პროგრამები:**
- ინგლისური ენა - ზოგადი, ინტენსიური და საგამოცდო, 2 - 48 კვირა.
- ინგლისური ენა და დასვენება -საზაფხულო სკოლებში, 2 - 10 კვირა.
- ინგლისური ენის მასწავლებელთა სტაჟირება 2 - 4 კვირა.

**წინა საუნივერსიტეტო მოსამზადებელი პროგრამები:**
- **A-level** 1-დან 2 წლამდე. 16 წლიდან.
- **Foundation** 1 წლით 17 წლიდან (სკოლადამთავრებულთათვის).
- **Pre - MBA** 3 - 6 თვე.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
ქ. თბილისი ი. ჭავჭავაძის N74, მე-5 სართული; ოთახი 503;
ტელ: 22-59-57, 29-91-78 მობ: 899 50-40-12
**E-mail: n_makatsaria@yahoo.com**







## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.